ISSN 1512 - 4649

ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№4 2017 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

ბაღალახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საპენსიოდადებლო სიახლენი (საგეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირებულია:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ასტანა).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ-ფოსტა: loidk@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) HAS BEEN REVIEWED:

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Institute of Techinform

ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana).

ADDRESS: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
E-mail: loidk@yahoo.com
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №4(47), 2017

ლიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი; საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი); სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილავა; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაგვილავა; ლორდი სტივენ ლორდ ლიდ-ბაბრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი,ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; ეკატერინე ლომია (საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია; თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჯინავა; გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ომარ შუდრა; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხადური (საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე); ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია; მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი). ნანა ჯღარკავა.

შესაძლებელია, რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2017წ.

© გამომცემლობა „ლიი“

ფასი 10 ლარი

The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED 4(47), 2017

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration, Professor;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI (Director of the European Univercity's Institute of Research of economic and social problems of Globalization); ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Prorector of European University); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE(Head of Budget and Finance Committee of Parliament of Georgia); KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; EKATERINE LOMIA (Head of Department of International Relations); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; MARIAM MGEBRISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA; TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering"); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University)MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Head of the Georgian Competition Agency); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia"); MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

მეცნიერება

როზეტა ასათიანი - ახალი ნეოკლასიკური სინთეზი - ახალი ეკონომიკური მიმდინარეობა 7

კობა სოხაძე - ტექნოპარკის განვითარების პერსპექტივები 13

ლია პიტიურიშვილი, ნინელი თევდორაშვილი - აუდიტორული საქმიანობის სისტემის ფუნქციონირების თავისებურებები და მისი სრულყოფის მიმართულებები 17

მანანა ალფაიძე - მარკეტინგის სოციალური მიმართულებები და მენეჯმენტი 21

გურამ მეტივიშვილი - მიწის პოლიტიკის გავლენა სოფელი-ქალაქის შრომით მიგრაციაზე 24

გიორგი პაპაშვილი - შემოსავლების უთანაბრო განაწილების პრობლემა საქართველოში 30

თამარ კვანტალიანი - უმაღლესი განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები საქართველოში 37

ალექსანდრე ნაჭყებია - პერსონალის კონტროლინგი და მისი გამოყენების ინსტრუმენტები ორგანიზაციაში 44

რევაზ გერაძე - ფინანსური გლობალიზაციის ეკონომიკური შედეგები 48

მიხეილ ბაღდავაძე - საქართველოში სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების მენეჯმენტის საკანონმდებლო ბაზის შეფასება 55

მიხეილ ჯიბუტი - საქართველოში ეკონომიკური განათლების რეფორმის შესახებ (საკუთარი გამოცდილების მიხედვით) 60

მართვის ახალგაზრდული სკოლა

შალვა ფოფხაძე - კულტურა - საქართველო და მსოფლიო 76

ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები

ომარ შუდრა - პეტრე მელიქიშვილი 79

თამთა კაპანაძე - შალვა ნუცუბიძე - რუსთაველის მკვლევარის ამპლუაში (რუსთველოლოგი) . . . 81

რეცენზია 84

საინტერესო და მნიშვნელოვანი მოხსენება 85

თსუ - 100 86

SCIENCE

Rozeta Asatiani - The New Neoclassical Synthesis – New Economic Trend 7
Koba Sokhadze - Technological Park Development Prospects 13
Lia Pitiurishvili, Nineli Tevdorashvili - Peculiarities of functioning of the auditory system and directions of its perfection 17
Alpaidze Manana - Marketing Social Directions and Management 21
Guram Metivishvili - Impact of Land Policy on Village-Urban Migration 24
Giorgi Papashvili - Unequal distribution of income in Georgia 30
Tamar Kvantaliani - The ways of raising Competitiveness of higher education system in Georgia 37
Alexandre Nachkebia - Personnel controlling and tools for its use in the organization 44
Revaz Geradze - Economic effects of financial globalization 48
Mikheil BagdavaZe - The evalution of legislation base of state electronic purchase management in Georgia 55
Michael Jibuti - On Economic Education Reform in Georgia (Own Experience) 60

THE YOUTH SCHOOL OF MANAGEMENT 76

OUR FAMOUS COUNTRYMEN 79

REVIEW 84

AN INTERESTING AND IMPORTANT REPORT 85

TSU - 100 86

ახალი ნეოკლასიკური სინთეზი - ახალი ეკონომიკური მიმდინარეობა

როზეტა ასათიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ეკონომიკის ექსპერტი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი.
ელ.ფოსტა: marinassati@gmail.com

ნაშრომში განხილულია ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალი ნეოკლასიკური სინთეზის წარმოშობის ობიექტური წანამძღვრები, მიზნები, ამოცანები, დასაბუთებულია ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში ამ ახალი მიმდინარეობის გამოყენების აუცილებლობა.*

სტატიაში ახსნილია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ორგანული კავშირი ახალ ნეოკლასიკურ სინთეზთან და მისი როლი სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებების[1] ასახვა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევაა. ეს მიმართულებები აუცილებელია აისახოს ახალ ნეოკლასიკურ სინთეზში, რაც მისცემს სიახლეს ნეოკლასიკურ სინთეზს, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში წარმატებით გამოიყენებოდა აშშ-სა და სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. ნეოკლასიკური სინთეზის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ეკონომიქსში პირველი სახელმძღვანელოს ავტორს პოლ სამუელსონს.

საკვანძო სიტყვები: ახალი ნეოკლასიკური სინთეზი. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. საზოგადოებრივი დოვლათი. სამოქალაქო საზოგადოება. ახალი მსოფლიო წესრიგი. საკუთრების პლურალიზმი. ინსტიტუციური წესრიგი. სოციალური წესრიგი. ახალი ფისკალური ფედერალიზმი. ექსტერნალიები. მესამე სექტორი.

დღეს საქართველოში ხშირად მსჯელობენ ეკონომიკური მეცნიერების კრიზისის შესახებ, რაც მოკლებულია სიზუსტეს. საქმე ისაა, რომ ეკონომიკური მეცნიერება ფართო ცნებაა, მრავალ დარგს მოიცავს, ხოლო კრიზისი ეხება მხოლოდ ეკონომიკურ თეორიას (ფართო გაგებით) როგორც მეცნიერებას, სახელდობრ, მაკროეკონომიკურ თეორიას და არა მთელ ეკონომიკურ მეცნიერებას.

ეკონომიკური პოლიტიკის მეინსტრიმი (ძირითადი მიმართულება) რომ შესაცვლელია ანუ შესაცვლელია ის ეკონომიკური თეორია, რომელიც საფუძვლად უდევს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას, ამის შესახებ მსჯელობა დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს.[2] ამის „ეპიცენტრი“ ამერიკის შეერთებული შტატებშია და ყოველი ცვლილება ციტადელად აღიარებულ ამ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში, სწრაფად „აირეკლება“ სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით, ეკონომიკურად დაწინაურებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

„მეინსტრიმის“ შესახებ დისკუსია მნიშვნელოვნად გააქტიურდა 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, თუმცა, ეს თემა, ჯერ კიდევ, XX საუკუნის ბოლოს მომწიფდა, 90-იანი წლების დასაწყისში კი, როდესაც მილთონ ფრიდმენის ხელმძღვანელობით, ჩიკაგოელ

* სახელწოდება „ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“ შემოღებულ იქნა მ. გუდფრენდისა და ი. კინგის მიერ ნაშრომში: Goodfriend M., King R. The New Neoclasical synthesis and the Role of Monetary Policy. Macroeconomic Manual. 1997.

1. Asatiani R. Study of Public Sector Economics as Necessary Condition of Social Orientation. “Bulletin of the Georgian Academy of Sciences.” Volume 169, number 2, March-April, 2004; ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2017.

2. კრუგმანი პ. როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება? თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, #10; Экономическая теория на пороге XXI века. Под ред. Осипова Ю.М.; Зотовой Е.О. М., «Юрист», 2000; ასათიანი რ. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შეცვლის აუცილებლობა საქართველოში. „ეკონომისტი“, 2016, #1; ასათიანი რ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „სოციალური ეკონომიკა“, 2011, #1.

ეკონომისტთა მონეტარისტულმა თეორიამ ეკონომიკურ პოლიტიკაში ნეოკლასიკური სინთეზის ადგილი დაიკავა, ერთი ათეული წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გამოკვეთილიყო ამ თეორიის ნაკლოვანებები და ეკონომიკურ პოლიტიკაში მისი გამოყენების მიზანშეუწონლობა. მიუხედავად ამისა, ჩიკაგოს სკოლის მონეტარისტულ თეორიაზე აგებულ, სტაბილურობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების გარანტად აღიარებულ ნეოკლასიკურ ეკონომიკურ პოლიტიკას თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე ეყრდნობოდა აშშ-ისა და სხვა ქვეყნების ეკონომიკა. იგი ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტებას საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების შემცირების საფუძველზე და ფულად-საკრედიტო რეგულირებაში ფულის ფენომენის წინა პლანზე წამოწევას - სპეკულაციური ოპერაციებით, ფულით ფულის კეთებით (რომელსაც ჯერ კიდევ, არისტოტელემ ქრემატისტიკა უწოდა), ასევე, საბაზრო ძალების გაძლიერებით, სახელმწიფო სოციალური ხარჯების შემცირებით, სოციალური პროგრამების შეკვეცით, ხელფასის მინიმალური განაკვეთის „გაყინვით“, პროფკავშირების როლის შესუსტებითა და ა.შ.

მილთონ ფრიდმენსა და ჩიკაგოს სკოლის სხვა წარმომადგენლებს (დ. კეიგანს, ფ. ჰაიეკს, გ. ლუკას, ა. შვარცს, ე. მეტცლერსა და ა.შ.) ამ პერიოდში, ეკონომიკური პოლიტიკის საწყის ეტაპზე აღზევებული მონეტარიზმი მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებულ მოდელად მიაჩნდათ, თუმცა, ეკონომიკური კრიზისის დადგომის ნიშნები, განსაკუთრებით 2006-2007 წლებში ნელ-ნელა იკვეთებოდა. ფულის ფენომენის წინა პლანზე წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას. ფულის კეთების ხელოვნებამ დაფარა ეკონომიკის მართვის ხელოვნება. ეკონომიკურ პოლიტიკაში ფისკალური რეგულირების უკანა პლანზე გადაწევამ და საკრედიტო რეგულირების თვითდინებაზე მიშვებამ ფინანსური ეკონომიკა რეალურ ეკონომიკას მოწყვიტა და მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა, რომელიც შემდეგ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა, რაც აისახა კიდეც მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში. საკმარისია ავიღოთ თუნდაც ერთი გლობალური, მეგაეკონომიკური მაჩვენებელი, რომ წარმოდგენა შეგვექმნას იმდროინდელი მსოფლიო ეკონომიკის მძიმე მდგომარეობის შესახებ: საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტი 3,02%-დან 0,60%-მდე დაეცა.[3]

2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის პოლ კრუგმანის აზრით, „ჩიკაგოელი ეკონომისტების კომენტარები არის „ბნელი საუკუნის“ მაკროეკონომიკის პროდუქტი, სადაც რთულად მოპოვებული ცოდნა დავიწყებული იქნა, ხოლო უცნაური განტოლებებით „გამოპრანჭული“ ირაციონალური და არაპროგნოზირებადი თეორიები ძალიან შორს აღმოჩნდნენ რეალობისგან“.[4]

მიუხედავად აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მცდელობისა, გამოესწორებინა კეთილდღეობის გზიდან ეკონომიკის მნიშვნელოვანი გადახრები, პ. კრუგმანის ხატოვანი გამოთქმით, „ამერიკული ეკონომიკა აცდა სწორ გზას და ლიანდაგიდან გადავიდა“.[5] ამიტომ 2008 წლის კრიზისიდან დაწყებული, ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის უარყოფის საფუძველზე, დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმის შეცვლის აუცილებლობა, ვინაიდან ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებული მდგომარეობის ცვლილებების გარეშე გართულდებოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა. ამიტომაც იყო, რომ აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარების მიზნით, ფინანსურ ბაზრებზე ლიკვიდურობის პრობლემის გადასაჭრელად ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, შვეიცარიისა და კანადის ცენტრალურ ბანკებთან ერთად, 640 მლრდ დოლარი გამოყო ფინანსური ინსტიტუტების მხარდასაჭერად, ხოლო 800 მლრდ დოლარი _ სამომხმარებლო კრედიტის სახით.[6]

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ინსტიტუციურ და მეცნიერულ-ტექნოლოგიურ სფეროებში მომხდარი უდიდესი ცვლილებები მეტ-ნაკლები ზომით აისახა ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე. ამასთან, თანამედროვე ეპოქაში, წინა ეპოქისაგან განსხვავებით, დიდია გლობალიზაციის გავლენა. პოზიტიურთან ერთად, მისი ნეგატიური

3. http://ictsd.org/i/news/bridgesrussiandigest/69878
4. კრუგმანი პ. როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, #10, გვ. 80 (Krugman P. How did economists get it so wrong? “New York Times”, 2009, September 2).
5. იქვე.
6. «МЭиМО». 2009, №7, с.15.

ტენდენციებიც გამოვლინდა[7], რომელთა დაძლევის გარეშე ნებისმიერ ქვეყანაში, მითუმეტეს ტრანზიტულ, ნაკლებადგანვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში რთულია დისპროპორციების დაძლევა და ეკონომიკური განვითარება.** ამიტომაცაა, რომ „გლობალური იმპერიის ქოლგის“ ქვეშ მოქცეულ ქვეყნებში სუსტია სამართლებრივი ინსტიტუტები, დაბალია ცხოვრების დონე, მიზერულია საშუალო ფენა, მიუღწევადია სამართლიანობა და სოციალური თანხმობა.

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ახალი ეპოქა დაიწყო კაპიტალიზმის განვითარებაში - ინდუსტრიული საზოგადოება გადაიზარდა პოსტინდუსტრიულში, რამაც უდიდესი როლი შეასრულა ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში და ხელი შეუწყო კაპიტალიზმის გადაზრდას ახალ თვისებრიობაში - საბაზრო ეკონომიკაში ანუ სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაში, პრობლემა მაინც პრობლემად დარჩა, ვერ მოხერხდა ახალი ეკონომიკური თეორიის, სახელდობრ, ახალი ნოეკლასიკური სინთეზის და მის საფუძველზე ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც სისტემურ, კონცეპტუალურ მიდგომას მოითხოვს.

მაკროეკონომიკური რეგულირების კეინზიანური მოდელი და მისგან გამომდინარე „კეინზიანური რევოლუცია“, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში, დღესაც ყურადღების ცენტრშია ეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელთა შორის. ახალმა კეინზიანელებმა - ჯ. სტიგლიცმა, ა. აკერლოფმა, ო. ბლანშარმა, ა. გრინვალდმა, გ. მენქიუმ, ს. ფიშერმა, ჯ. ბერნანდმა, ა. ლინდბეკმა და ა.შ. ტრადიციულ კეინზიანურ ფასეულობებზე დაყრდნობით, გააფართოვეს კვლევის სფერო და შექმნეს მოდიფიცირებული კეინზიანური თეორია. მათ, გარდა მაკროეკონომიკური პრობლემებისა, დაიწყეს მიკროეკონომიკური პრობლემების ანალიზი. კვლევის ცენტრმა ეფექტიანი ერთობლივი მოთხოვნის ანალიზიდან ინდივიდუალიზმის პრინციპების მიკროეკონომიკურ პრობლემებზე გადაინაცვლა. ახალმა კეინზიანელებმა კვლევის ცენტრში ჩართეს ინსტიტუციონალიზმის ცალკეული დებულებები. ისინი არ ახდენენ კეინზიანური მაკროეკონომიკისა და ნეოკლასიკური მიკროეკონომიკის მექანიკურ შეერთებას, არამედ ეყრდნობიან იმ მტკიცებას, რომ ეკონომიკის წონასწორობის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკით, ხოლო ეკონომიკის უწონასწორობის დაძლევისათვის აუცილებელია, ღია ეკონომიკის მიღწევების გათვალისწინებით, სახელმწიფო რეგულირება.

მაგრამ ისმება კითხვა: ახალი კეინზიანელები რას გულისხმობენ სახელმწიფო რეგულირებაში? ნეოკლასიკური სინთეზი რატომ უნდა შეიცვალოს ახალი ნეოკლასიკური სინთეზით? საბაზრო ეკონომიკამ ხომ ახალი როლი მიანიჭა სახელმწიფოს, მერედა სად ჩანს ეს ახალი როლი? კეინზიანელები რატომ არაფერს არ ამბობენ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის როლსა და დანიშნულებაზე, მის ძირითად მიმართულებებზე, არადა, შეიძლება ითქვას, „ძაღლის თავი აქ მარხია“. ახალი ნეოკლასიკური სინთეზი „ნეოკლასიკური სინთეზისა“ და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებების შეერთებით მიღებული ახალი ეკონომიკური თეორიაა![8]

სახელმწიფომ, ეკონომიკური წონასწორობის მიღწევისათვის, ახალი ნეოკლასიკური სინთეზის შექმნითა და მისი ჩართვით ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა დაძლიოს ეკონომიკური კრიზისი.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, ეკონომიკური მეცნიერების შედარებით ახალი დარგის, ჩამოყალიბების საფუძველზე,

7. ასათიანი რ. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010.

** სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის (საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროს განვითარების ფონდის და ა.შ.) მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმების საფუძველზე განსხვავებულია მსოფლიოს ქვეყნების რაოდენობა., მაგ. გაეროს განვითარების ფონდის კლასიფიკაცია მოიცავს მსოფლიოს 194 ქვეყანას, მათ შორის განვითარებულია 35 ქვეყანა, აქედან, უფრო განვითარებული (more developed countries) - 24 ქვეყანა, რომელთა წილად მოდის მსოფლიოში წარმოებული მშპ-ის თითქმის 2/3. ნაკლებად განვითარებულია (less developed countries) 137 ქვეყანა, რომელთა წილად მოდის მსოფლიო მოსახლეობის 81%. ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი აღმოსავლეთ ევროპისა და СНГ-ს ქვეყნები, მაგრამ არსებობს 22 ქვეყანა, რომელიც ყველა კლასიფიკაციაში ხვდება, როგორც განვითარებული ქვეყანა. ეს ქვეყნებია: აშშ, იაპონია, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, კანადა, საფრანგეთი, შვეიცარია, შვედეთი, ავსტრია, ბელგია, იტალია, ნორვეგია, ლუქსემბურგი, ფინეთი, დანია, ისლანდია, ესპანეთი, ირლანდია, ნიდერლანდი, პორტუგალია, ავსტრალია, ახალი ზელანდია.

8. ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების წარმოშობის წანამძღვრები, მიზნები და ამოცანები. „ახალი ეკონომისტი“, 2017, #2.

ცივილიზებულ ქვეყნებში სახელმწიფო ასრულებს ახალ როლს, რაც გამოიხატება შემდეგში: სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაატაროს აქტიური სოციალური პოლიტიკა. მან არ უნდა დაუშვას თავისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკება და საზოგადოებრივი დოვლათი თითოეული მოქალაქისათვის გახადოს ხელმისაწვდომი (უფასო ან დოტაციური ფორმით), უნდა განსაზღვროს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გენერალური სტრატეგია, ხელი შეუწყოს დასაქმების ზრდასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; სახელმწიფოს ლაიტმოტივი უნდა იყოს მკვეთრი ქონებრივი უთანასწორობისა და ღრმა პოლარიზაციის არდაშვება; სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას; შეიმუშაოს და დაიცვას ეკონომიკური საქმიანობის კანონმდებლობა, ასევე, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა; უარყოფითი გარე ეფექტების, ექსტერნალიების წინააღმდეგ სახელმწიფომ უნდა გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, შეძლოს მათი დაძლევა;[9] აუცილებელია შეინარჩუნოს ბუნებრივი ანუ სახელმწიფო მონოპოლიები და არ მოახდინოს მათი პრივატიზაცია;[10] სახელმწიფომ უნდა დაიცვას კერძო საკუთრება და ხელი შეუწყოს მის განვითარებას; სახელმწიფოს პრეროგატივაა ახალი მსოფლიო წესრიგის მოთხოვნათა განხორციელება, პირველ რიგში კონკურენციის სფეროში წესრიგის დაცვა,[11] ასევე, ინსტიტუციური წესრიგისა (რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებას) და სოციალური წესრიგის დაცვას;[12] სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებას, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარებას, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში, ასევე, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში. მაკროეკონომიკური რეგულირება პირველ რიგში უნდა დაეყრდნოს საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირებასა და ახალ საბიუჯეტო ფედერალიზმს;[13] სახელმწიფომ გადასახადების მანევრირებით, პროგრესული დაბეგვრის გატარებით ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის სოციალიზაციის გაძლიერებას, ფულად-საკრედიტო რეგულირება კი არ უნდა გასცდეს თავისი ფუნქციონირების საზღვრებს, რათა სპეკულაციური ოპერაციებითა და ფულით ფულის კეთების მანევრირებით არ განმეორდეს 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი; სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, საშუალო ფენის რეალურად ჩამოყალიბებას; შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, ასევე, ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება; მაკროეკონომიკური რეგულირების შემადგენელი ნაწილია, ასევე, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებაც; სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური უსაფრთხოება,[14] აქტიური როლი უნდა შეასრულოს ბუნებათსარგებლობის სწორად წარმართვასა და ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში; სახელმწიფომ უნდა შეძლოს გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესის დადებითი, პოზიტიური ეფექტების გამოყენება და წინ აღუდგეს უარყოფით, ნეგატიურ ეფექტებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე ღია ეკონომიკაში.[15]

ის გარემოება, რომ სახელმწიფო, სოციალურ

9. ასათიანი რ. გარე ეფექტები და „გადასხმის“ ხარჯები. „ეკონომისტი“, 2009, #2.
10. ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; 1993, გვ. 42-43, 234.
11. Асатиани Р. Теории конкуренции и новые перспективы стран ориентированных на конкурентно¬способность. жур. «Кавказ и глобализация», Швеция, Ca&CC Press, 2015; ასათიანი რ. კეთილდღეობა ყველასთვის და კეთილდღეობა კონკურენციის გზით. „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, 2017.
12. ასათიანი რ. ახალი მსოფლიო წესრიგი და მისი პრინციპების რეალიზაციის არსებული მდგომარეობა საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკა“, 2013, #12; ასათიანი რ. ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2003, #4.
13. ასათიანი რ. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება - პირველი რიგის ამოცანა. „ახალი ეკონომისტი“, 2012, #4.
14. ასათიანი რ. ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია- ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინდიკატორი. „სოციალური ეკონომიკა“, 2012, #3.
15. ასათიანი რ. გლობალიზაცია, რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველო. `საქართველოს ეკონომიკა~. მთავარი რედაქტორი რ. ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012; ასათიანი რ. გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და საქართველოს ეკონომიკა ახალი გამოწვევების წინაშე. „გლობალიზაცია და ბიზნესი თანამედროვე გამოწვევების წინაშე“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 19-20 მაისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2017. Asatiani R. The Phenomenon of Globalization on an its Inflience on National Economics. “The Caucasus & Globalization”. Vol 1(3), Sweden, Ca&CC Press, 2007.

სფეროში აქტიური როლის შესრულებით „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ნიშნებს იძენს ახალი დროის გამოწვევაა, კაცობრიობის განვითარების განვლილ პერიოდთან შედარებით, იგი წინ გადადგმული ნაბიჯი და ახალი სიტყვაა უფრო მაღალი სოციალური და ამავე დროს ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით. კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე წინა პლანზე საზოგადოების სოციალური დაცვის ფუნქციამ წამოიწია, რომლის გარეშე შეუძლებელია ბაზრის პრინციპების რეალიზაცია და იგი ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებადაა აღიარებული.

ეკონომიკის სოციალიზაციის გაძლიერებით მსოფლიოს განვითარების კანონზომიერმა პროცესმა ახალი იმპულსი შეიძინა და ბიძგი მისცა ეკონომიკურ პროგრესს, რაც, სხვა მახასიათებლებთან ერთად, ტექნოლოგიურ ბუმში გამოიხატა. ამიტომაც გახდა აუცილებელი ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმისა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა.

ასეთია დღეს დიფერენცირებულ და კონტრასტულ სამყაროში მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის ლოგიკა. ეპოქალურმა მოვლენებმა და პროცესებმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, რომელმაც გამოკვეთილი ადგილი უნდა დაიკავოს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ახალ ნეოკლასიკურ სინთეზში და, შესაბამისად, ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ქვეყანა, რომელიც, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით, თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში ეყრდნობა ამ თეორიულ პოსტულატებს, ქმნის ქვეყნის განვითარების საკუთარ მოდელს. ბუნებრივია, ეს მოთხოვნები საქართველომაც უნდა გაითვალიწინოს. ასეთი მოდელი, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებზე დაყრდნობით, მრავალია დღეს მსოფლიოში, უფრო სწორად, რამდენი განვითარებული ქვეყნაცაა, იმდენია. საქართველოში კი, არასწორად გატარებული რეფორმების გამო, საბაზრო ეკონომიკამდე ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი.

ასეთია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები, ის ბერკეტები, რომლებზედაც მყარად დგას განვითარებული ქვეყნები და რამაც ამ ქვეყნებში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა გადაიზარდა სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში, საბაზრო ეკონომიკის უფრო განვითარებულ ფორმაში და განაპირობა კეთილდღეობის სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რომლებსაც სოციალიზმის „ყლორტებსაც“ კი უწოდებენ.[16]

საბაზრო ეკონომიკის ფორმირება საქართველოში ეკონომიკური განვითარებისადმი ახლებურ მიდგომას მოითხოვს და ახალ როლს მიანიჭებს სახელმწიფოს, რომლის დასტური საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებებია.

დღეს სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევაა. საქართველო ახალ გამოწვევათა წინაშეა, ამიტომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეკონომიკის შექმნის აუცილებლობა ობიექტურად განაპირობებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის მოთხოვნათა გათვალისწინებას საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mueler-Armack, Alfred: Wirtschaftsordnung und Wirtschaftspolitik., Bern/Stuttgart, 1976, S.236.
2. Erhard, Ludwig: Wohlstand fuer alle [1957]. Jubilaeumsausgabe. Duesseldorf, 2000.
3. Ordo 1, 1948, xi.
4. Roepke, Wilhelm: Civitas humana. Grundfragen der Gesellschafts- und Wirtschaftsreform [1944]. Bern/Stuttgart, 1979, S.193.
5. Klump, Reiner: Wege zur Sozialen Marktwirtschaft – Die Entwicklung ordnungspolitischer Konzeptionen in Deutschland vor der Waehrungsreform. In: Erich W. Streissler (Hg.): Studien zur Entwicklung der oekonomischen Theorie xvi. Berlin, 1997, S.129-160.
6. Goldschmidt, Nils: Entstehung und Vermaechtnis ordoliberalen Denkens. Walter Eucken und die Notwendigkeit einer kulturellen Oekonomik., Muenster, 2002.
7. Eucken, Walter: Grundsaetze der Wirtschaftspolitik [1952]. Tuebingen, 2004.

16. ასათიანი რ. სოციალური საბაზრო ეკონომიკა საბაზრო სისტემის უმაღლესი ფორმა. „ახალი ეკონომისტი“, #1, 2017.

8. Bluemle, Gerold/Goldschmidt, Nils: Walter Eucken und das ordoliberale Programm. In: WISU – Das Wirtschaftsstudium 32(2003), S. 1539-1543.

9. Homann, Karl/Blome-Drees, Franz: Wirtschafts- und Unternehmensethik., Goettingen, 1992, S.35.

10. Bude, Heinz: Die Ausgeschlossenen. Das Ende vom Traum einer gerechten Gesellschaft., Muenchen, 2008.

11. Fuchs-Goldschmidt, Inga/Goldschmidt, Nils: Inklusion als Zielpunkt einer modernen Sozialpolitik. In: Zeitschrift fuer Wirtschaftspolitik 59, H. 1(2010), S.62-76.

12. Ruestow, Alexander: Palaeoliberalismus, Kommunismus und Neoliberalismus. In: Franz Greiss (Hg.). Wirtschaft, Gesellschaft und Kultur – Festgabe fuer Mueller-Armack. Berlin, 1961, S.68.

13. Sen, Amartya: Oekonomie fuer den Menschen. Wege zu Gerechtigkeit und Solidaritaet in der Marktwirtchaft., Muenchen, 2000.

14. ვასილ ხიზანიშვილი, ეთიკური ეკონომიკა (სახელმძღვანელო), თბილისი, 2016, გვ.84.

The New Neoclassical Synthesis – New Economic Trend

Rozeta Asatiani
Doctor of Economy, Professor,
Expert in Economics at the National Academy of Sciences of Georgia

This work deals with the objective prerequisites for the origin of the "new neoclassical synthesis"* which is in the process of formation, goals, tasks; the need to use this new trend in the country's economic policy is justified.

An explanation is given to the organic linkage of the public sector economics with the "new neoclassical synthesis" and its role in the formation of viable economic policy. The reflection of the main directions of the functioning public sector economics the country's economic policy is a new challenge to modern civilization. This must be reflected in the "new neoclassical synthesis" which adds novelty to the "neoclassical synthesis" that was successfully used in economic policy of the US and other developed countries in the 1980s. A great contribution in its creation belongs to the author of the first textbook in economics Paul Samuelson.

ტექნოპარკის განვითარების პერპექტივები

კობა სოხაძე
ეკონომიკის დოქტორი

დღეისათვის როცა მიმდინარეობს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის შედარებით პროგრესული ფორმების ძიება, ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ტექნოლოგიური პარკების შექმნა და განვითარება. უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტექნოპარკები შეიძლება გახდეს ყველაზე უფრო ეფექტური წარმონაქმნი სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ამოცანების გადაწყვეტისა და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციაში. თავისი შინაარსით ტექნოპარკი არის დამაკავშირებელი რგოლი მეცნიერ-გამომგონებელსა და კომპანიებს შორის რომლებიც აღიარებენ ამ გამოგონებას და მიზანშეწონილად ჩათვლიან მის რეალიზაციას. აღსანიშნავია, რომ ტექნოპარკები დაინტერესებული არიან ტექნოლოგიების გაყიდვით, როგორც უშუალოდ ისე საშუამავლო ფირმების მონაწილეობით, ამასთან ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის სპეციალური საინფორმაციო თუ სხვა მომსახურეობით, (იჯარით და ა.შ.) თუმცა არის შემთხვევები როცა ტექნოპარკი ხდება კომპანიების თანადამფუძნებელი ან თვითონ აფუძნებს კომპანიას ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციის მიზნით.

თანამედროვე მსოფლიოში ტექნიკური პროგრესის დამკვიდრების პროცესის შეუქცევადი ხასიათი მიიღო და დიდადაა დამოკიდებული განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის პროგრესული ფორმების ძიებასა და მის პრაქტიკაში დანერგვაზე. პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ტექნოლოგიური პარკების ფართო ქსელის შექმნა. უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს,რომ ტექნოპარკები შეიძლება გახდეს ყველაზე უფრო ეფექტური წარმონაქმნი სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ამოცანების გადაწყვეტისა და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციაში.

თავისი არსით და დანიშნულებით ტექნოპარკი არის დამაკავშირებელი რგოლი მეცნიერ-გამომგონებელსა და კომპანიებს შორის რომლებიც აღიარებენ ამ გამოგონებას და მიზანშეწონილად ჩათვლიან მის რეალიზაციას. აღსანიშნავია, რომ ტექნოპარკები დაინტერესებული არიან ტექნოლოგიების გაყიდვით, ამასთან ზოგჯერ უშუალოდ არ მონაწილეობენ მისი გაყიდვის პროცესში, თუმცა ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის სპეციალური საინფორმაციო თუ სხვა მომსახურეობით.

პირველი ტექნოპარკის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს 1939 წელს აშშ-ში კალიფორნიის შტატის, პალო ალტოში შექმნილი ინოვაციური ცენტრი, რომლის დამფუძნებლებიც იყვნენ სტენფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. სტენფორდის ტექნოპარკი შეიქმნა 1951 წელს, რითაც იწყება ტექნოპარკების შექმნის პირველი ეტაპი. 1950-იანი წლების ბოლოდან როცა შეიქმნა პირველი საუნივერსიტეტო ტექნოპარკები სტენფორდში, კემბრიჯში და აშშ-ის და ინგლისის სხვა ქალაქებში. უნივერსიტეტებში იქმნებოდა ტერიტორიები, რომლებზეც გამომგონებლები წყვეტდენ პრაქტიკოსების მიერ შემოთავაზებულ ამოცანებს. სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული დასახელებების მიუხედავად, (აშშ და საფრანგეთში ფუნქციონირებენ ტექნოპოლისები, ბელგიასა და გერმანიაში მათ ეწოდებათ ინოვაციური ცენტრები, დიდ ბრიტანეთსა და ნიდერ-

ლანდებში მათ ეწოდებათ ტექნოპარკები), მათი გაერთიანების პრინციპები თითქმის ერთიანია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ყველა ქვეყანაში ისინი ეროვნული სპეციფიკიდან გამომდინარე ხასიათდებიან გარკვეული თავისებურებებით. მაგალითად ყოფილ საბჭოთა კავშირში 1956 წელს შეიქმნა ნოვოსიბირსკის აკადემქალაქი, რომელშიც განთავსდენ სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებების მიხედვით, რომლებიც დასავლეთის ტექნოპარკებისაგან განსხვავებით ორიენტირებულნი იყვნენ ქვეყნის წინაშე მდგომი დარგობრივი გეგმური ეკონომიკის ამოცანების გადაწყვეტაზე.

მიუხედავად გარკვეული სპეციფიურობისა ტექნოპარკებისათვის დამახასიათებელია ერთი მთავარი ნიშანი, რომ ტექნოპარკები ეს არის მთავრობის, მრეწველობისა და უნივერსიტეტების რესურსული პოტენციალის ორგანიზების მნიშვნელოვანი ფორმა, რომლის მიზანია ეროვნული მეურნეობისა და რეგიონების ეკონომიკის განვითარების სტიმულირება, მოსახლეობის სოციალური და საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

სპეციალისტების აზრით სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა შეადგენს ტექნოპარკების გულს. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ იაპონიის ტექნოპარკის "ნაგაოკი", რომლის ორგანიზაციის დროსაც აშენდა ახალი სწრაფი რკინიგზა, ექსპლოატაციაში შევიდა ახალი საცხოვრებელი მასივები, აშენდა კომუნიკაციები, კულტურული და გამოსაჯანმრთელებელი ცენტრები, პარკები და მწვანე მასივები. პროგრამის სხვა დანახასიათებელი ნიშანი იყო ყოველი ცალკეული ქალაქი-ტექნოპარკის სპეციალიზაცია. მაგალითად "ხამამატსუ' ვითარდებოდა, როგორც ელექტრონიკის, მექანიკის, ვიდეოინფორმაციული სისტემების წარმოების ცენტრი. "ტოიამა" სპეციალიზდება ფარმაკოლოგიაზე და ბიოტექნიკაზე, ხოლო "იამაგუტი" ახალი საამშენებლო მასალების და კერამიკის წარმოებაზე.

აშშ ტექნოპარკების მშენებლობას თან ახლდა ახალი აუთვისებელი ტერიტორიების სწრაფი ტემპებით ათვისება. გასული საუკუნის 50-იან წლებში სანტაკლარის ველის სამხრეთ-დასავლეთი წარმოადგენდა დაბალგანვითარებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონს განუვითარებელი ინფრასტუქტურით. სტენფორდის უნივერსიტეტის და რამდენიმე დამწყები ფირმების ძალისხმევის შედეგად რაიონში შეიქმნა ტექნოპარკი, რომელმაც დასაბამი მისცა დღევანდელ აშშ ყველაზე უფრო მაღალგანვითარებული ტერიტორიული კომპლექსის შექმნას. დღეისათვის "სილიკონ-ველი" წარმოადგენს აშშ "ელექტრონულ დედაქალაქს", რომელშიც კონცენტრირებულია აშშ ელექტრონული წარმოების თითქმის ნახევარი, სადაც დასაქმებულია კალიფორნიის შტატში დასაქმებულთა 30 %-ზე მეტი.

ტექნოპარკების განვითარების მეორე ეტაპი იწყება გასული საუკუნის 80-იან წლებში, რომელმაც ძირითადად მოიცვა დასავლეთ ევროპა და დაკავშირებულია მსოფლიო ენერგომატარებლებზე ფასების სწრაფ ზრდასა და ეროვნული მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების სტაგნაციასთან, როგორებიცაა: მეტალურგია, გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა. ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად საჭირო იყო გარკვეული ტექნიკური და ტექნოლოგიური ნახტომის გაკეთება და მრეწველობის ახალ ხარისხობრივ დონეზე აყვანა. აღნიშნული რეგიონის ქვეყნების ხელმძღვანელობა ხვდებოდა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის საუკეთესო გზა იყო ახალი, მეცნიერებატევადი დარგებისა და ბაზრების განვითარებისათვის ხელის შეწყობა. აღნიშნულ ეტაპზე ხდება ბიზნეს-ინკუბატორების არნახული ტემპებით განვითარება, რომლებსაც აქვთ ვიწრო დარგობრივი სპეციალიზაცია. 1983 წელს იაპონიაში მიღებული იქნა კანონი ტექნოპოლისების შესახებ.

ტექნოპარკების განვითარების მესამე ეტაპი იწყება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა ტექნოპარკები სულ უფრო მეტად იყენებენ ინოვაციებს, როგორც კონკურენტუნარიან საქონელს. ამასთან ახალი თაობის ტექნოპარკების კონკურენტუნარიანობა აისახება მათი გამოგონებითი საქმიანობის მრავალფეროვნებაში.

ტექნოპარკები პირობითად შეიძლება დავყოთ სამ მოდელად – ამერიკული (აშშ, დიდი ბრიტანეთი), იაპონური და შერეული (საფრანგეთი, გფრ).

ამერიკული მოდელის ტიპიური მაგალითია, სამეცნიერო პარკებიდან უძველესი – სტენფორდის პარკი, რომელიც განლაგებულია უნივერსიტეტის მიწებზე და 51 წლიანი იჯარით აქვთ გაცემული მაღალტექნოლოგიურ კომპანიებს, რომლებიც თანამშრომლობენ უნივერსიტეტებთან და რომლებშიც მეცნიერ-მუშაკებად და მასწავლებლებად მიწვეული არიან უნივერსიტეტის პროფესორები. კომპანიაში თავდაპირველად გაერთიანდენ 80 კომპანია და ელექტრონიკის, გეოლოგიური სამსახურის, აეროკოსმოსური, ქიმიური და ბიოტექნოლოგიური მიმართულებების.

ასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დასავლეთევროპის ქვეყნებში გავრცელდა ტექნოპარკე-

ბის ახალი ნაირსახეობა,რომელიც ორიენტირებულია წვრილ მაღალტექნოლოგიურ საწარმოებზე – ინოვაციურ ცენტრებზე, რომლებიც წააგავს ამერიკულ "ინკუბატორებს". მათი ამოცანაა შეაერთონ იდეები და გამოგონებები წარმოებასთან და მათ რეალიზაციაში ჩართონ საზოგადოებრივი და კერძო ფონდები მათთვის სასტარტო კაპიტალი. ინოვაციური ცენტრების ფუნქციები მოიცავს ინოვაციური პროცესების სხვადასხვა სტადიებს, განსაკუთრებით ექსპერიმენტალური წარმოებიდან ახალი პროდუქციის კომერციულ ათვისებამდე. აღნიშნულ შემთხვევაში ყოველთვის არ არის საჭირო ახალი კომპანიების შექმნა, ხშირად ინოვაციური ცენტრები გამომგონებელ-მწარმოებლებს აღმოუჩენენ დახმარებებს ახალ პროდუქტზე ლიცენზიების გაცემაზე.

რიგი ინოვაციური ცენტრებისა იმყოფება ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებაში, ხოლო შედარებით მსხვილები შედიან ევროპულ ქსელში, რომლის ბაზაც ბრიუსელშია და აერთიანებს სხვადასხვა ცენტრის დაახლოებით 40 ინოვაციურ ცენტრს. ვროპული ცენტრი ხელს უწყობს ფირმებს ტექნოლოგიების სხვადასხვა ქვეყნებს შორის ვაჭრობაში.

სამეცნიერო პარკების იაპონური მოდელი ამერიკულისაგან განსხვავებით, გულისხმობს სრულიდ ახალი ტიპის ქალაქების, "ტექნოპოლისების" მშენებლობაზე, რომლებიც თავს უყრიან სამეცნიერო კვლევების ჩატარებას მოწინავე, პიონერულ და წარმოების მეცნიერტევად დარგებში. ტექნოპოლისების შექმნის პროექტი "ტექნოპოლისი" სარეალიზაციოდ მიღებული იქნა 1982 წელს.

ტექნოპოლისების შექმნის მოდელად აღებული იქნა 19 ზონა რომლებიც განფენილი იყო ოთხ კუნძულზე. ყველა მათგანს უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი კრიტერიუმები:

* განთავსებული უნდა იყოს 30 წუთის სავალზე "ქალაქ-მშობლისაგან"(არა ნაკლებ 200 ათასი მცხოვრებით) და ტოკიოდან, ნაგოიდან ან ოსაკიდან ერთი დღის სავალზე.

* დაკავებული ფართობი 500 კვ. მილი ან ნაკლები.

* თანამედროვე სამეცნიერო-სამრეწველო კომპლექსის დაბალანსებული კომპლექსის, უნივერსიტეტის და კვლევითი ინსტიტუტის არსებობა თანამედროვე ინფრასტრუქტურასთან ერთან.

* განთავსებული უნდა იყოს მიმზიდველ რაიონებში და ჰარმონიზებული უნდა იყოს ადგილობრივ ტრადიციებთან და ბუმებრივ პირობებთან..

ტოკიოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 მილში მდებარეობს "ტვინების ქალაქი" – ცუკუბა, რომელშიც ცხოვრობს 11 500 ადამიანი. ისინი მუშაობენ 50 სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტებში და ორ უნივერსიტეტში. ცუკუბაში ფუნქციონირებს იაპონიის 98 წამყვანი სახელმწიფო კვლევითი ლაბორატორიებიდან 30 რის გამოც ეს პატარა ქალაქი აღიარებულია მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ცენტრად.

"შერეული მოდელის" მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ საფრანგეთის სამეცნიერო პარკები, რომლებიც ორიენტირნებულნი არიან, როგორც იაპონურ ისე ამერიკულ მოდელზე. საფრანგეთში უმსხვილესია "სოფია ანტიპოლისი", რომელიც განლაგებულია რივერში, 200 ჰა-ზე მეტ ფართობზე. მიწები მიეყიდათ კომპანიებს და კვლევით ინსტიტუტებს. განსაზღვრულია დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა 6 000 კაცი.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია პირველი ინგლისური ტექნოპარკის კემბრიჯის უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი, რომელიც შეიქმნა გასული საუკუნის 70-იან წლებში და უკვე 80-იანი წლების ბოლოსათვის მის ფირმებში მუშაობდა 18 ათასი კაცი. უნივერსიტეტისა და კვლევითი ლაბორატორიების მჭიდრო კავშირები იყო ურთიერთსასარგებლო. გავრცელებული იყო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის ფართის იჯარით აღების პრაქტიკა, რომელთა კვლევის შედეგებიც წარმატებით ინერგებოდა პრაქტიკაში. დღეისათვის ტექნოპარკში წარმატებით ფუნქციონირებს 400-ზე მეტი მაღალტექნოლოგიური ფირმა, რომლებიც დასპეციალებულნი არიან ელექტრონიკის, ხელსაწყოთ და მანქაანათმსენებლობაში, კომპიუტერულ ტექნიკაში, პროგრამულ უზრუნველყოფაში, ტელეკომუნიკაციაბში და ბიოტექნოლოგიაში. კომპანიების უმეტესობა მცირერიცხოვანია (30 კაცზე ნაკლები) და ახალშექმნილია (მათი არსებობის ვადა 5 წელს არ აჭარბებს).

შეიძლება გამოიყოს კემბრიჯის უნივერსიტეტის ტექნოპარკების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. უპირველეს ყოვლისა ეს არის მეცნიერებატევადი საწარმოების აღმოცენება, რომელთა რიცხვიც სულ უფრო იზრდება. საწარმოები ახალი ვენჩურული კომპანიებისათვის ასრულებენ ბიზნეს ინკუბატორის ფუნქციას. ტერმინი "ინკუბატორი" კემბრიჯში გამოიყენება ორი ძირითადი გაგებით: ფართო გაგებით როგორც ტექნოპარკის ნაირსახეობა, რომლის მთავარი ფუნქციაა, ახალგაზრდა ორგანიზაციებზე დახმარება და ვი-

ფრო გაგებით, როგორც ტექნოპარკის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

აღსანიშნავია ის, რომ კემბრიჯში იზრდება ინგლისის და აშშ-ის მსხვილი კონცერნების და ფინანსური ინსტიტუტების განყოფილებების რიცხვი. კემბრიჯის მცირე და საშუალო მეცნიერტევადი ფირმები უზრუნველყოფენ მოცემული რაიონის მოსახლეობის 20 %-ის დასაქმებას.

საინტერესოა ინგლისის ტექნოპარკების დაფინანსების პრაქტიკა. საუკუნის დასაწყისისათვის დიდი ბრიტანეთის 40 ტექნოპარკში დაბანდებული იყო 400 მლნ. ფუნტ სტერლინგამდე, რომელიც დახარჯული იქნა მიწების შეძენაზე, შენობების აშენებაზე და ინფრასტრუქტურის შექმნაზე. საბრუნავი საშუალებების ფორმირების ძირითადი წყაროა იჯარის შემოსავალი და მომსახურებიდან შემოსავალი. რაც შეეხება სამეცნიერო პარკების ძირითად შემოსავალს ის ფორმირდება შემდეგი ძირითადი წყაროებიდან: ა). დამფუძნემლებისა და სპონსორების შენატანები; ბ). მიწის არენდიდან შემოსავალი; გ). კომერციული კრედიტები; დ). პარკის კაპიტალიდან წილის გაყიდვა. ე). გრანტები და სახელმწიფო სუბსიდიები. ვ). მოგების რეინვესტირება; ზ). პარკის მიერ აშენებული შენობების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები.

დიდი ბრიტანეთის ტექნოპარკების შემადგენლობაში მყოფი ფირმების 60% მეტს წარმოადგენენ მცირე ფირმები, რომლებსაც უჭირავთ მხოლოდ ერთი ოფისი. მათში დასაქმებულთა რაოდენობა 5 დან 10 კაცამდეა. თანამშრომლები ძირითადად მუშაობენ გამოყენებითი კვლევების სფეროში, ამასთან საჭიროების შემთხვევაში უმაღლეს სასწავლებლებთან ან მსხვილ კორპორაციასთან.

როგორც ვხედავთ ტექნოპარკების დანერგვა და ფუნქციუნირება ხესაყრელ პირობებს ქმნის საზოგადოებაში ინივაციების დანერგვისა და მასში მაღალკვალიფიციური მუშახელის დასაქმებისათვის.

Some aspects of foreign experience in functioning of techno parks

Koba Sokhadze
Doctor of Economy

On the contemporary stage of evolution the comparatively progressive forms of science and high technology production are developed. One of the ways for the solution of such tasks is creation and development of technical parks. The foreign experience shows that techno parks may become the most effective formation in solution of scientific-technical and technological problems and in realization of innovative policy.

The essence of techno parks is to be the connecting link between scientist-inventor and companies who acknowledges the invention and considers reasonable its realization. It should be noted that techno parks are interested in technologies marketing, do not directly participate in marketing process though create favourable conditions for realization of innovative projects with special informational and other services (leasing, etc.), although there are cases when techno parks become the cofounders of companies.

In spite of definite specificity, techno parks are characterized with one main feature which is that techno parks are the important form of resource potential organizing for government, industry and universities the aim of which is stimulation of national economy and regional economy development and increase of population social and educational level.

აუდიტორული საქმიანობის სისტემის ფუნქციონირების თავისებურებები და მისი სრულყოფის მიმართულებები

ლია პიტიურიშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
ცირებული პროფესორი

ნინელი თევდორაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: n.tevdorashvili66@mail.ru

თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს წარმოადგენს აუდიტორის საქმიანობა, რომელიც ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში განვითარების რიგი თავისებურებებით ხასიათდება და მის გამართულ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობა. საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება წარმოუდგენელია აუდიტორული სამსახურის წარმატებული ფუნქციონირების გარეშე. სამსახურის მუშაობა უნდა ხასიათდებოდეს მაღალი ეფექტიანობით, მაღალი პასუხისმგებლობით და იმ საერთაშორისო სტანდარტებით, რაც განვითარებული ქვეყნების მიერაა შემუშავებული და აღიარებული. აუდიტორული მომსახურება და აუდიტორული დასკვნა კომერციული საქმიანობით დაკავებული საფინანსო სუბიექტებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, აქედან გამომდინარე, დიდია აუდიტორული საქმიანობისა და აუდიტის განმახორციელებელი სუბიექტების პასუხისმგებლობა, როგორც სახელმწიფოს, ასევე თითოეული ბიზნეს-სუბიექტის წინაშე.

აუდიტორული საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ელემენტია და მართვის დამოუკიდებელ ფუნქციად გვევლინება. კონტროლის მეშვეობით ხორციელდება ფინანსური სუბიექტის ორგანიზაციული და მეთოდური უზრუნველყოფა, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება. გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ნორმატიული რეგულირების სისტემაში აუდიტის სტანდარტების ადგილის განსაზღვრა, რაც დღეისათვის საკმაოდ ბუნდოვანია. ეროვნული სტანდარტების შემუშავებისას აუდიტორულ ფირმებს უნდა მიეცეთ დავალება დაიწყონ მუშაობა სტანდარტების მოთხოვნათა.....შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში დამრღვევთა მიმართ გამოყენებულ იქნეს ყველა ღონისძიება.

აუდიტის პრობლემაზე მომუშავე ნებისმიერი ქვეყნის პროფესიული ორგანიზაციები, უწინარეს ყოვლისა, სწავლობენ მისი გადაწყვეტის ვარიანტს სხვა იმ ორგანიზაციებში და ქვეყნებში, რომლებიც მუშაობენ ამ პრობლემებზე.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, აუდიტის ძირითადი აქტუალური პრობლემები (საკითხები), რომლებიც გულმოდგინე მეცნიერულ და პრაქტიკულ დამუშავებას საჭიროებენ, ჩვენს ქვეყანაში ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დასმულ იქნა 90 –იანი წლების დასაწყისში (ჯერ კიდევ სსრკ-ს პირობებში).

დასმულ პრობლემათა შორის უმთავრესს წარმოადგენდა:

1. აუდიტორების მთავარი პრინციპების, უმნიშვნელოვანესი პროცედურების და ტესტების დეტალური მეცნიერული დასაბუთება; აუდიტის კლასიფიკაცია, მისი ძირითადი ეტაპები, აუდიტორული დასკვნების შინაარსის, ადგილისა და როლის განზოგადება, სისტემატიზაცია და შედარებითი ანალიზი; სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტისათვის ყველაზე მისაღები კონტროლის ფორმის შერჩევა, რომელიც შეიძლება აგებულ იქნეს აუდიტორობის პრინციპებზე ან ტრადიციული კონტროლის პრინციპებზე, ანდა ამ პრინციპების კომბინირებულ შეხამებაზე;

2. აუდიტორული პროცესის ინფორმაციული, მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საკითხები, განსაკუთრებით სამეურნეო ობიექტების აუდიტორული შემოწმებისა, რომლებიც ახდენენ სააღრიცხვო-ანალიტიკური და საკონტროლო-სარევიზიო სამუშაოების ავტომატიზაციას;

3. აუდიტორულ საქმიანობაში ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების დაფუძნება და ფართო გამოყენება

4. შიდა და გარე აუდიტის სისტემური როლისა და კომპეტენციის გამიჯვნა, აგრეთვე მათი ხერხებისა და წესების დეტალურად დამუშავება;

5. დამოუკიდებელი აუდიტორების ფუნქციების, მათი უფლებების საქმიანობის ეთიკური ნორმების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების განსაზღვრა;

6. აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი, კომერციული და სახელშეკრულებო რეგულირების უზრუნველყოფა და იმ ობიექტების განსაზღვრა, სადაც მათი მომსახურება შეიძლება ყველაზე უფრო ნაყოფიერი იყოს;

7. აუდიტორულ პრაქტიკაში შიდა და გარე აუდიტისათვის გამოყენებული სტანდარტების დამუშავება და გამოყენება;

8. კონკრეტული სიტუაციების შესწავლა, რომლებშიც აუდიტორები ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს და სხვადასხვა სამეურნეო ობიექტების შემოწმებისას პროფესიული რისკის დონის განსაზღვრა;

9. მაკოორდინირებელი აუდიტორული ორგანოების შექმნა, რომელთა კომპეტენცია იქნება აუდიტორული საქმიანობის რეგულირების, მათ შორის სტანდარტების დამუშავებისა და დამტკიცების, აუდიტორული რისკების დაზღვევის და სხვა საკითხების გადაწყვეტა; საფინანსო, სამართლდამცავ და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან აუდიტორების ურთიერთობის რეგულირება.

დღეისათვის საქართველოში უკვე ჩატარებულია გარკვეული სამუშაოები ჩამოთვლილი საკითხების გადაწყვეტის მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად მიგვაჩნია რამდენიმე კონკრეტული საკითხის განხილვა, რომელთა წარმოშობა შესაძლებელია ამ სამუშაოს განხორციელებისას. საერთაშორისო ბიზნესის განვითარება მოითხოვს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ბუღალტრული ანგარიშგების მომხმარებლები «აუდიტის» ტერმინის ქვეშ გულისხმობდნენ საქმიანობას, რომლებიც პასუხობს საერთაშორისო ბუღალტერიისა და აუდიტის სტანდარტების გარკვეულ მოთხოვნებს. ამის გარდა, მოთხოვნათა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს შემდეგი:

- აუდიტი უნდა დაიგეგმოს წერილობითი სახით, რომლისთვისაც უნდა მომზადდეს საერთო დოკუმენტი - «აუდიტის გეგმა» და უფრო დეტალიზირებული დოკუმენტი - «აუდიტის პროგრამა»;

- აუდიტის პროცედურების განხორციელების პროცესი უნდა დაფიქსირდეს სპეციალურ სამუშაო დოკუმენტაციაში, რომელიც აუცილებლად უნდა გაფორმდეს ერთიანი მოთხოვნების შესაბამისად;

- აუდიტორები უნდა პასუხობდეს გარკვეულ პროფესიულ და კვალიფიციურ მოთხოვნებს;

- აუდიტორულმა ფირმებმა თავიანთი საქმიანობის ორგანიზაციისა და შემოწმებათა ჩატარების პროცესში უნდა განახორციელონ გარკვეული ღონისძიებები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს აუდიტორული შემოწმების ხარისხის შენარჩუნებასა და მის გაკონტროლებას; აუდიტის განხორციელების პროცესში საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ერთიანი მოთხოვნით იმისათვის, რომ სწორად იქნეს დადგენილი კლიენტის მიერ მიღებული ბუღალტრული ანგარიშგება, რამდენად ზუსტად შეესაბამება მის ისეთ შინაარსს, რომელიც აუდიტორის აზრით, ჩაითვლება სწორ ანგარიშგებად (სიზუსტის მოცემულ დონეს უწოდებენ «არსებითს» ანუ «მატერიალურს»);

- აუდიტორი არ არის ვალდებული, შეამოწმოს კლიენტის ყველა დოკუმენტი. დოკუმენტაციის შემოწმება შეიძლება განხორციელდეს შერჩევითი წესით.

- საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გამოცდილების თავალსაზრისით, ჩამოთვლილი დებულებები არ არის თავალნათელი, ხოლო ზოგიერთი მათგანი რიგი აუდიტორული ფირმების მიერ არ სრულდება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად აუდიტის მიზანს შეადგენს ის, რომ აუდიტორმა შემოწმების შედეგების მიხედვით გამოხატოს თავისი აზრი შემოწმებული ორგანიზაციის ბუღალტრული უტყუარობის შესახებ. აუდიტის მიზანი არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მხოლოდ დატაცების გამოვლინებამდე, ფინანსურ ბოროტმოქმედებათა ძიებამდე, საგადასახადო ანგარიშსწორებათა სისწორისა და ბიუჯეტში მათი გადარიცხვის თავისდროულობის შემოწმებამდე.

მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ აუდიტორული სტანდარტების ეროვნული სისტემა უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს სპეციფიკურ თავისებურებებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელ ნიშნებთან, ასევე ჩვენს ქვეყანაში არსებულ თავისებურებებთან.

ამასთანავე, თითოეული დასამუშავებლად რეკომენდირებული აუდიტის ქართული სტანდარტი უნდა ეფუძნებოდეს აუდიტის

საერთაშორისო სტანდარტებს. გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა ან ზოგიერთი ნორმატიული აქტი, რომლებსაც ასს-ში ანალოგი არ გააჩნიათ,

აუდიტის ეროვნულ სტანდარტებსა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს შორის არსებულ განსხვავებებზე შეიძლება გავლენა მოახდინოს შემდეგმა მიზეზებმა:

პირველი, საქართველოს აუდიტორული სტანდარტები უნდა დეფუძნოს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, რომელმაც შეიძლება ჩვენთან მიუღებელი გახადოს ასს-ს ცალკეულ დებულებათა გამოყენება. გარდა ამისა, ჩვენს ნორმატიულ აქტებში აუდიტორული ფირმების კლიენტები ხშირად განისაზღვრება ტერმინით «ეკონომიკური სუბიექტი», ხოლო ფინანსური ანგარიშგება ტერმინით «ბუღალტრული ანგარიშგება». აქედან გამომდინარე, აუდიტის ეროვნული სტანდარტების შემმუშავებელებმა არჩევანი უნდა გააკეთონ ასს-დან სიტყვასიტყვით თარგმანსა და ჩვენთან მიღებული შინაარსის სტილსა და ტერმინოლოგიურ აპარატს შორის (როგორც წესი, უკანასკნელთა სასარგებლოდ);

მეორე, ასს-ს ბევრი დებულება ეფუძნება დასავლეთის «საყოველთაოდ აღიარებულ ბუღალტრული პრინციპების სისტემას» (GAAP) და ხშირად ეწინააღმდეგება აღრიცხვის მოქმედ ქართულ პრინციპებს. ამიტომ, უნდა განხორციელდეს აუცილებელი ადაპტაცია, მიღებული უნდა იქნეს ჩვენთან არსებული აღრიცხვის ბუღალტრული დოკუმენტები და რეგისტრები, სპეციალისტების მუშაობის წესი და ა.შ;

მესამე, ასს-ს ბევრი დებულება ეფუძნება საქართველოში ნაკლებად ცნობილ რეალიებს. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს ისეთი დოკუმენტები, რომლებიც მოახდენენ საწარმოს შიდა კონტროლის სისტემისადმი გამოყენებული მოთხოვნების რეგლამენტაციას და ისეთიც კი, რომელიც თვით ამ ცნებას განსაზღვრავს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულ სტანდარტებში ეს განყოფილება შეიძლება დაიწეროს უფრო დეტალურად, ვიდრე ეს გაკეთებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში. ჩვენი ქვეყნისათვის ეროვნული აუდიტორული სტანდარტების შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი მომხმარებლის წრე შეიძლება საკმაოდ ფართო იყოს, ამიტომ ისინი გადმოცემული უნდა იქნეს უფრო მარტივი ენით, ჰქონდეს მეტი დანართები, კომენტარები, განმარტებები და ილუსტრაციები, გამოყენებული ტერმინების ჩამონათვალი და მათი განმარტებები.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში თანამედროვე პერიოდში პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები და ეთიკური ნორმები არასაკმარისისა, შესაძლოა, სტანდარტები, რომლებიც შემუშავებული იქნება საზოგადოებრივი გაერთიანების მხრიდან, მათი დაგეგმვის დაწყებიდანვე მიჩნეულ იქნეს, როგორც გამოსაყენებლად სავალდებულო ხასიათის ნორმატიული დოკუმენტები. საქართველოში სრულყოფილი აუდიტის ჩამოყალიბებასთან ერთად აუდიტის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლი თავისთავად შემცირდება აუდიტორთა საზოგადოებრივი გაერთიანების მხრიდან საზოგადოებრივი რეგულირების როლის შესაბამისი გაძლიერების ხარჯზე.

საზოგადოებრივი ზემოქმედების როლის ზრდა ასახული იქნება სტანდარტების საერთო მოცულობაში იმ წესების (სტანდარტების) წილის გადიდებაში, რომლებიც რეკომენდაციულ ხასიათს ატარებენ. გამორიცხული არა არის, რომ პერპექტივაში რიგი სტანდარტებისა შეიძლება წმინდა რეკომენდაციული ხასიათისა გახდეს. შემუშავებული აუდიტის ეროვნული სტანდარტები ეფექტს მოახდენს მაშინ, როცა ისინი გადაიქცევიან ნამდვილ მარეგლამენტირებელ ინსტრუმენტად. აუდიტორები, ინდივიდუალური მეწარმეები ან აუდიტორული ფირმები ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებენ სასარგებლო ინფორმაციას. გარდა ამისა, სტანდარტები შეიძლება გამოყენებული იქნეს აუდიტორების მომზადებისას, რაც ამჟამად წარმოებს უცხოური მასალების ბაზაზე. გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ნორმატიული რეგულირების სისტემაში აუდიტორული სტანდარტების ადგილის განსაზღვრა. ეროვნული სტანდარტების შემუშავებისას აუდიტორულ ფირმებს უნდა მიეცეთ დავალება დაიწყონ მუშაობა სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში დამრღვევთა მიმართ გამოყენებული იქნეს ზემოქმედების ყველა ღონისძიება (აუდიტორული ლიცენზიების ჩამორთმევაც კი).აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთაღნიშნული პირობების გათვალისწინება აუცილებელი და გარდაუვალია ეროვნული სტანდარტების ჩამოყალიბება-დანერგვისათვის, ამ დროს ქართულ ეკონომიკაში გარკვეული წინსვლებია მოსალოდნელი აუდიტორულ საქმიანობაში, ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვაში, ასევე მარკეტინგში. ყოველივე ამას უდავოდ ხელს შეუწყობს აუდიტორული

მომსახურების ხარისხიანი და მაღალეფექტური ჩატარება.ამით საქართველოში განხორციელებული აუდიტი თავისი პარამეტრებით მიუახლოვდება საერთაშორისო აუდიტს და შეძლებს შეამციროს უცხოელი ინვესტორებისათვის რისკების პრობლემა კაპიტალდაბანდებების შემთხვევაში. ამასთანავე დაბრკოლება უნდა შეექმნას უხარისხო აუდიტს. ამასთან ერთად, საქართველოში გამოჩნდენენ აუდიტორული ფირმები, რომლებიც უცხოელების სახელით ცრუ და არაკეთილსინდისიერ, სხვისი ინტერესების მატარებელ აუდიტს ატარებენ. რაც სახელს უტეხს როგორც ქართულ ასევე უცხოურ აუდიტორულ ფირმებს.

აუდიტორულ ორგანიზაციაში სრული და აქტუალური ინფორმაციის ბაზის არსებობა ზრდის მის ავტორიტეტს კლიენტებს შორის, რომელთაც შეუძლიათ ასეთი აუდიტორული ორგანიზაცია უზრუნველყონ აუცილებელი დოკუმენტაციით, მათ მიერ ნორმატიული აქტების ასლების გადაღებისა და მისთვის გაგზავნის გზით. კომპიუტერების გამოყენებით აუდიტორის მიერ მეთოდიკებით სარგებლობის აქტუალობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ბუღალტრული აღრიცხვა და კომპიუტერი განუყოფელი ცნება გახდა, როგორც ახლო წარსულში აღრიცხვა და კანტორის საანგარიშო იყო. სააღრიცხვო სისტემები, რომლებიც კომპიუტერულ პროგრამებს იყენებენ, აუდიტორს შესაძლებლობას აძლევს იმუშაოს კლიენტის კომპიუტერული ქსელით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ.,-საბანკო საქმე, თბილისი 2013 წ;
2. სრესელი ნ. აუდიტის თეორია, თბილისი, 2013 წ;
3. საქართველოს კანონი“კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“-1 იანვარი 2011 წ;
4. Chambers A.D. and Court J.M. Computer Auditing. London, Pitman publishing 1991;
5. Milichamp A.H. ''AUDITING'', 7th Edition 2001;
6. Ricchiute D.N. ``AUDITING``London 2003;
7. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/indvidual/sabanko_zedamx/shidaauditoruli220615.pdf
8. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/gare_auditis_wesi_24_07_14.pdf
9. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=404&lng=geo

Peculiarities of functioning of the auditory system and directions of its perfection

Lia Pitiurishvili
Associate Professor of SEU
Nineli Tevdorashvili
Associate Professor of SEU

One of the most interesting and challenging areas of contemporaru highly developed countries is the Auditor's activity, characterized by a number of developmental features in terms of transformative economy, and its performance is deeply depent on the efficiency of the entire economic system. Establishment of market relations Development is unthinkable without successful functioning of the audit service. The work of the service should be characterized by high efficiency, high responsibility and international standards developed and recognized by developed countries. Auditing service and audit report is of vital importance to financial subjects engaged in commercial activities. Therefore, there is a large amount of audit activity and auditing abligations to both the state and each business entity.

მარკეტინგის სოციალური მიმართულებები და მენეჯმენტი

მანანა ალფაიძე
სეუ-ს ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: alpaidze.m@gmail.com

ეკონომიკური განვითარება და საზოგადოების კეთილდღეობა ერთიან კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. მათი გაერთიანებისათვის საჭიროა სოციალური ინსტიტუციის ფორმირება, რომელსაც სოციალური მარკეტინგი წარმოადგენს. კომპანია ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილებები თავისი, მომხმარებლისა და საზოგადოების გრძელვადიანი ინტერესების გათვალისწინებით. სოციალური მარკეტინგი არ არის პოპულარული ქართულ სინამდვილეში და საჭიროა მსოფლიოს გამოცდილების გაზიარება.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, სოციალური მარკეტინგი, ბიზნესი.

თანამედროვე სწრაფად ცვალებადი მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე აყენებს საზოგადოებას, რომელიც ვალდებულია ინოვაციური გადაწყვეტილებებით მხარდამჭერი პოზიცია გამოხატოს ყველა სფეროს მიმართ. გამონაკლისი არც მდგრადი ეკონომიკა, ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი, მდგრადი მარკეტინგი და სხვა მრავალია. სიახლეები მოითხოვს ახალი იდეების, თეორიების, მიდგომების, მეთოდების შემუშავებას და პრაქტიკაში დანერგვას. სოციალური მარკეტინგი არის მარკეტინგის განსაკუთრებული მიმართულება და გულისხმობს სოციალური პროგრამების შედგენას, რეალიზაციას და კონტროლს.

დღეს განვითარებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური აგების ფორმას ,,მზრუნველ კაპიტალიზმსაც" ეძახიან. სოციალური მარკეტინგის დიდ მნიშვნელობაზე ისიც მოწმობს, რომ ხშირად ტერმინი ,,სოციალური მარკეტინგი" გაიგივებულია ,,საზოგადოებრივ მარკეტინგთან" და კომპანია ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილებები თავისი, მომხმარებლისა და საზოგადოების გრძელვადიანი ინტერესების გათვალისწინებით.

მარკეტინგულ მეცნიერებაში პირველად ტერმინი ,,სოციალური მარკეტინგი" გამოიყენა ფილიპ კოტლერმა, რომლის განსაზღვრებაში წამყვანი ფაქტორია ე.წ. კომუნიკაცია. თუ გასული საუკუნის 50-იანი წლებში ბიზნესმენები მიიჩნევდნენ, რომ აღარაა საკმარისი შექმნა პროდუქტი და ,,გამოყარო" იგი ბაზარზე. 60-იანი წლებიდან საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ მარკეტინგი შეიძლება იყოს სოციალური და წარმოადგენდეს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ამიტომ, სოციალური მარკეტინგი კომერციული, არაკომერციული და სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობის სახეობაა, რომელიც მიმართულია უშუალოდ სოციალურ პრობლემაზე. მკაფიოდ უნდა განვასხვავოთ სოციალური მარკეტინგი ქველმოქმედებისაგან. თანამედროვე სოციალური მარკეტინგი იყოფა სამ ნაწილად: სპონსორობა, ფანდრაიზინგი და გაყიდვების სტიმულირება. სპონსორობა გულისხმობს გარკვეული დახმარების გაწევას მოსახლეობისათვის. ფაქტიურად ამით კომპანია აკეთებს დემონსტრირებას საზოგადოებაზე ზრუნვის შესახებ. ფანდრაიზინგი - არის ღონისძიებათა კომპლექსი, მიმართული რეგიონში გაფანტული რესურსების და საშუალებების გაერთიანებისაკენ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გაყიდვების სტიმულირება არის აქცია იმისათვის, რომ მომხმარებელს შეუქმნას სურვილი თანამშრომლობისაკენ სოციალურად

სასარგებლო ან საქველმოქმედო ღონისძიებების მიმართ.

სოციალური მარკეტინგი არის საერთაშორისო მარკეტინგული პრაქტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიმართულია სოციალური სფეროს გაუმჯობესებისაკენ. განმარტების სიმარტივისა მიუხედავად, მისგან გამომავალი მიზნები წარმოადგენენ ახალ მიმართულებებს მრავალი ქართული ორგანიზაციების საქმიანობაში.

სოციალური მარკეტინგის კონცეფცია ეყრდნობა შემდეგ ჰიპოთეზებს: მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს იმ კომპანიას, რომელიც ზრუნავს მათ სურვილებზე და მოთხოვნებზე კეთილდღეობის ამაღლების მიზნით; კომპანიის მთავარი ამოცანაა მიზნობრივ ბაზრებზე ადაპტაცია, მყიდველების მიზიდვა და შენარჩუნება. ე.ი. სოციალური მარკეტინგის მიზანს წარმოადგენს სოციალური იდეის ან პრაქტიკის ადეკვატური აღქმა კონკრეტული მიზნობრივი აუდიტორიის მიერ. გაითვალისწინება მომხმარებელთა როგორც მოკლევადიანი საჭიროებების დაკმაყოფილება, ასევე კეთილდღეობის ამაღლება გრძელვადიან პერსპექტივაში.

სოციალური მარკეტინგი არის საერთაშორისო მარკეტინგული პრაქტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიმართულია სოციალური სფეროს გაუმჯობესებისაკენ. განმარტების სიმარტივის მიუხედავად, მისგან გამომავალი მიზნები შეადგენენ ახალ მიმართულებებს მრავალი ქართული ორგანიზაციების საქმიანობაში. სოციალური მარკეტინგის მიზანს წარმოადგენს სოციალური იდეის ან პრაქტიკის ადეკვატური აღქმა, კონკრეტული მიზნობრივი აუდიტორიის მიერ. სოციალური მარკეტინგის ამოცანებია: ბრენდის გამაგრება და მიზნობრივი ჯგუფის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

პრობლემების მოგვარება და მისი მენეჯმენტი არ არის იოლი პროცესი, იგი შედგება გარკვეული ეტაპებისგან. პირველ რიგში უნდა დადგინდეს რაში მდგომარეობს პრობლემის არსი, ვისზე და როგორ მოქმედებს იგი. ამისათვის საჭიროა პრობლემის გაცნობიერება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ, რომლებზეც მიმართულია აღნიშნული სოციალური პროგრამა და ადამიანების მრავალრიცხოვანი ჯგუფის გამოკითხვა, რომლებიც გავლენას მოახდენენ პრობლემის გადაჭრაზე.

სოციალური პრობლემის სწორი განსაზღვრა ხელს უწყობს მიზნობრივი აუდიტორიის ფორმირებას, რომლებზეც დაკვირვება გავლენას მოახდენს სოციალური მარკეტინგის პროგრამის განხორციელებაზე. პრობლემის გადაჭრის შემდეგ ეტაპზე მნიშვნელოვანია მიზნობრივი აუდიტორიის შესწავლა და მათი პრობლემების სწორად გაგება. კვლევის ინტერესებშია ადამიანების დამოკიდებულების შესწავლა მოსალოდნელი ქცევითი ცვლილებებისადმი. იმ მიზეზების დადგენა, რომელთა გამო შეიძლება ჯგუფმა უარი უთხრას აღნიშნულ ცვლილებებს, რამ შეიძლება დაინტერესოს ისინი ცვლილებების გატარებაზე, რა ინფორმაციულ წყაროს ეყრდნობა მათი გადაწყვეტილებები და სხვა მრავალი შეტყობინებები უდევს საფუძვლად სოციალური მარკეტინგის პროგრამას.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგი ეტაპი ეკუთვნის სოციალური მარკეტინგის გეგმას, რომელიც უნდა შეიცავდეს ოთხ აუცილებელ კომპონენტს: ახალი პროდუქტი და/ან ქცევის მოდელი, რომლებიც ჩაანაცვლებენ ძველს; ცვლილებების „ფასი“; ინფორმაცია სად და როგორ შეეძლებათ ადამიანებს მიიღონ აღნიშნული პროდუქტი; რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო კონკრეტული გეგმის მხარდასაჭერად. ამას მოყვება სოციალური მარკეტინგის სპეციალისტების მიერ დამუშავებული მოსალოდნელი ქცევითი ცვლილებების დეგეგმვა. გეგმის მიზანია გაუღვიძოს ადამიანებს მათთვის სასარგებლო ცვლილებების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება. ეს უნდა გაკეთდეს მარტივად, მსუბუქად და ეფექტურად ყოველგვარი ძალდატანების გარეშე.

ზოგადად ცნობილია, რომ პროდუქტის ღირებულება განისაზღვრება მის შეძენაზე გაწეული დანახარჯებით. სოციალური მარკეტინგის მიმართებაში, პროდუქტის ღირებულება ფულად გამოხატულებაში ხშირად არ მიიღება მხედველობაში, ვინაიდან ღირებულების არა ფულად გამოხატულებაში არსებული დანახარჯები - დროითი, გაწეული ძალისხმევის, ემოციის, ფსიქოლოგიური სტრესის და სხვა არის მაღალი. მარკეტიგული მიდგომა გულისხმობს ადამიანებმა, თუკი სურთ, ძველის სანაცვლოდ შეიძინონ ახალი პროდუქტი, რომ შეცვალონ თავისი ცხოვრება უკეთესობისაკენ.

პროგრამების საინფორმაციო ან პროპაგანდისტულ კომპონენტებად მოიაზრება - საზოგადოებასთან კავშირისთვის რეკლამები, ცნობადობის უზრუნველყოფა, პირადი კავშირები და პოპულარიზაციის სხვა საშუალებები. პროგრამების ყველა კომპონენტი უნდა ექვემდებარებოდეს კონტროლს, რათა დროულად გამოვლინდეს ნაკლოვანებები და პროცესშივე მოხდეს მათი გამოსწორება. სოციალური მარკეტინგის პროგრამის საბოლოო წარმატება განისაზღვრება მის წინაშე

დასახული მიზნების მიღწევის ხარისხით. შეფასების კრიტერიუმებია: კამპანიის მიღების ხარისხის მაღალი დონე, მიღების სიჩქარისა და მიღების ხანგრძლივობის დონეები და სხვა.

აშშ-ში სოციალური მარკეტინგით დაკავებულია მრავალი ორგანიზაცია. სახელმწიფო ორგანოებს შორისაა ეროვნული ინსტიტუტი თავისი კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრებით, ჯანდაცვის სამინისტრო, სოციალური უზრუნველყოფის სამსახური, გარემოს დაცვის სამსახური. არაკომერციული ორგანიზაციები, არიან ასობით: წითელი ჯვარი, ველური ბუნების ფონდი, კიბოსთან ბრძოლის ამერიკული საზოგადოება და სხვა მრავალი.

სოციალური მარკეტინგი ნათლად გვიჩვენებს საზოგადოებაში ცვლილებების გატარების თავის შესაძლებლობებს. ვინაიდან ეს შედარებით ახალი მიდგომებია ცოტა ადამიანს გააჩნია სპეციალური ცოდნა აღნიშნული მიმართულებით. მომავალში სოციალური მარკეტინგის პროგრამების განვითარებასა და დახვეწასთან ერთად გამოჩნდებიან ამ სფეროს პროფესიონალებიც. მიღწევები მედიცინაში, დიაგნოსტიკის ახალი ტექნოლოგიები, გარემოს დაცვის და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა იძლევა იმედს ადამიანების ქცევის სასურველი მიმართულებით წარმრთვაში და ცხოვრების გაუმჯობესების მიმართულებით.

დღეს, როგორც არასდროს საჭიროა ბიზნესის, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესთა თანხვედრა და მარკეტინგული სტრატეგიების ეფექტიანი ინტეგრირება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეკონომიკური განვითარება და საზოგადოების კეთილდღეობა ერთიან კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. მათი გაერთიანებისათვის საჭირო გახდა მძლავრი სოციალური ინსტიტუციის ფორმირება, რომელსაც ე.წ. სოციალური მარკეტინგი წარმოადგენს.

სოციალური მარკეტინგი ჯერ კიდევ არ არის პოპულარული ქართულ სინამდვილეში, თუმცა ზოგიერთ სოციალურ პრობლემასთან დაკავშირებით (მაგ. ჯანდაცვის პროგრამა) უკვე განხორციელდა გარკვეული ინტერვენციები, მაგრამ სასურველია გაცილებით მეტი. სოციალური მარკეტინგის კონცეფცია ეკონომიკური კეთილდღეობის და საზოგადოების განვითარების გარანტიას წარმოადგენს. ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე დისკუსიების წარმართვა აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე. ქართულ სივრცეში უნდა დაინერგოს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნა და დაინერგოს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება სოციალურ მარკეტინგში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნანიტაშვილი მ., შუბლაძე გ. - მარკეტინგის მენეჯმენტი, თბ. 2014, ,,უნივერსალი“
2. ჯაში ჩ. - სოციალური მარკეტინგის პრინციპები, თბ. 2012, ,,უნივერსალი“

Marketing Social Directions and Management

Alpaidze Manana
Associate Professor of SEU

Economic development and community wellbeing should be considered in a single context. For their unification it is necessary formating a social institution that is social marketing. The company is obliged to make decisions taking into account the long-term interests of its own, user and the public. Social marketing is not yet popular in Georgian reality and it is necessary to share the world experience.

მიწის პოლიტიკის გავლენა სოფელი-ქალაქის შრომით მიგრაციაზე

გურამ მეტივიშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის
ფაკულტეტის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: gmetive@yahoo.com
ტელეფონი: 577222506

წარმოდგენილი კვლევის კონცეფცია ემყარება საქართველოსათვის დამახასიათებელი ქალაქად მიგრაციული პროცესების რამდენიმე დეტერმინანტის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, როგორიცაა შრომის მწარმოებლურობა, სუსტად განვითარებული მიწის ბაზარი და ინფრასტრუქტურა და ფერმერების შემოსავლები.

სოციოლოგიური გამოიკითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რა ზეგავლენას ახდენს შრომითი მიგრაციის გამომწვევი ისეთ ფაქტორები, როგორიცაა შრომის დაბალი მწარმოებლურობა, მიწის ბაზარის ინსტიტუციური გარემო და შინამეურნეობების შემოსავლები მოსახლეობის შრომით მიგრაციაზე სოფლიდან ქალაქად და რამდენად განსხვავებულია ამ ფაქტორების გავლენა მიგრაციულ პროცესებზე.

გამოვლენილია, რომ სოფლიდან გადაადგილებული პირების მიერ მიწის სახელმწიფო პოლიტიკის აღქმის ინდექსი დადებით კორელაციაშია მიგრაციულ პროცესებთან. რაც უფრო გაუმჯობესდება მიწის პოლიტიკის ქმედითობა სოფლის მეურნეობაში, მით უფრო მეტ ზემოქმედებას მოახდენს იგი სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებაზე ქალაქში სამუშაოს საძებნელად თავის შეკავების შესახებ. ეს კორელაცია უფრო ძლიერია ვიდრე კორელაცია მიწის ფართობის გაზრდასა და სამუშაო მიგრაციას შორის.

საკვანძო სიტყვები: მიწის პოლიტიკა, მიგრაცია, სოფლისმეურნეობა.

მიწის პოლიტიკის გავლენა სოფელი-ქალაქის შრომით მიგრაციაზე

საქართველოს სოფლებიდან მოსახლეობის შრომითი მიგრაცია არის ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც მოქმედებს სოფლის მეურნეობის განვითარებზე. ჰარისის და ტიდაროს მოდელების თანახმად, მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქში არის უკეთესი და მაღალი გამომუშავებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ ლტოლვის შედეგი. ეს თეორია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ადამიანები გადაწყვეტილებას ღებულობენ მაშინ, როდესაც დარწმუნებულნი არიან, რომ ქალაქში უფრო მეტი სარგებელი შეიძლება მიიღონ, ვიდრე სოფელში. ეს გადაწყვეტილება ინდივიდუალურია, მაგრამ იგი შინამეურნეობების განვითარების მოდელის პირობა გახდა, რადგან სწორედ შინამეურნეობები ღებულობენ გადაწყვეტილებას მიგრაციის შესახებ. მიგრაცია არის შინამეურნეობების გადარჩენის სტრატეგია.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის გამოკვლეული, თუ რამდენად იმოქმედა სოფლის მეურნეობის განვითარების ფაქტორებმა სოფელი-ქალაქის მიგრაციაზე. სოფლის გარემო აღებულია როგორც მოცემულობა, რომელიც იმიგრაციის პირობებს ქმნის საქართველოში, მაგრამ დეტალიზაცია არ ხდება იმისა, თუ სოფლის მეურნეობის განვითარების რა ფაქტორები იწვევს იმიგრაციას და რამდენად განსხვავებულად ინტენსიურია ამ ფაქტორების ზემოქმედება.

ქალაქიდან სოფლად მიგრაციულ პროცესებს ადგილი აქვს განვითარებულ ქვეყნებშიც. როგორც კვლევები აჩვენებენ, მიგრაციას ძირითადად ღარიბი მოსახლეობა ეწევა. იგი მათი გადარჩენის გზაა. ამასთან დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ ქალაქში ცხოვრების დონის განსხვავებას სოფლის ცხოვრებისაგან. სხვა კვლევები კი ცდილობას ახსნას, თუ რატომ ხდება სოფლიდან მიგრაცია მაშინაც კი, როდესაც ქალაქად სამუშაო ადგილები მცირდება.

ჩვენი კვლევის კონცეფცია ემყარება საქართველოსათვის დამახასიათებელი ქალაქად მიგრაციული პროცესების რამდენიმე დეტერმინანტის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, როგორიცაა შრომის მწარმოებლურობა, სუსტად განვითარებული მიწის ბაზარი და ფერმერების შემოსავლები.

შრომის დაბალი მწარმოებლურობის მიზეზებს შორის არის მიწების დამუშავებისათვის არასაკმარისი რესურსი და სასაქონლი ბაზრების

მდგომარეობა. განსაკუთრებით მოქმედებს მიგრაციაზე მიწებისადმი ხელმისაწვდომობა. როდესაც სოფლად მაცხოვრებელს არ გააჩნია მიწა, მაშინ მისი მოტივაცია ქალაქად იშოვნოს შემოსავალი, განსაკუთრებით დიდია, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქებში სიღარიბე გაცილებით მწვავეა ვიდრე სოფლად. მიწების ლეგალური პრობლემები შესაძლებლია იყოს ამ პროცესების მასტიმულირებელი, ხოლო კოოპერატიული მეურნეობების მოწყობა კი - ქალაქად მიგრაციის შემაკავებელი ფაქტორი. ყოველივე აქედან გამომდინარე კვლევის მიზანია გამოვლინდეს თუ როგორ და რა ინტენსივობით ზემოქმედებს ინსტიტუციური მოწყობა მოსახლეობის ქალაქად მიგრაციაზე.

ეჭვს გარეშეა, რომ დაბალი შემოსავლები და მოუწყობელი სოციალური გარემო ხდება მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმ შემთხვევაში, თუ ფერმერების მიერ წინა ორი ფაქტორის - შრომის მწარმოებლურობის ამაღლება და მიწათმოწყობის ინსტიტუციური განვითარება - აღქმა იქნება არასაკმარისი პირობა იმისათვის, რომ შეჩერდეს მიგრაციული პროცესები. ამ თეზისების აპრობაციის მიზნით ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა,რომლის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რა ზეგავლენას ახდენს შრომითი მიგრაციის გამომწვევი ისეთ ფაქტორები, როგორიცაა შრომის დაბალი მწარმოებლურობა, სოფლის მეურნეობის ინსტიტუციური გარემო და პოლიტიკა და შინამეურნეობების შემოსავლები მოსახლეობის შრომით მიგრაციაზე სოფლიდან ქალაქად და რამდენად განსხვავებულია ამ ფაქტორების გავლენა მიგრაციულ პროცესებზე.

კვლევა ორიენტირებული იყო იმაზე, რომ შესწავლილი ყოფილიყო იმ ფერმერების დამოკიდებულება და მიგრაციის მოტივები, რომლებიც ალტერნატიულად ქალაქად ეძებენ სამუშაოს. ძირთად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ქ. თბილისში დასაქმებული სოფლად მცხოვრები ადამიანები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა თითქმის ნახევარს აქვს უმაღლესი განათლება მიღებული, ხოლო მეორე ნახევარს კი საშუალო განათლება. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს არავითარი სპეციალური განათლება მიღებული სოფლის მეურნეობის რომელიმე სფეროში. შესაბამისად ამ დარგის განვითარება კვლავინდებურად ტრადიციულად ბავშვობიდან მიღებულ და მემკვიდრეობით გადმოცემულ ცოდნასა და გამოცდილებაზეა დაფუძნებული. მათ/ოჯახის მიერ მიწის საკუთრების ფლობა 5-დან 15 წლამდე და მასზე მეტი ვადით განისაზღვრება. შესაბამისად სოფლის მეურნეობა არის მათი ოჯახის ტრადიციული სფერო. მიწიდან მიღებული მათი ყოველწიური შემოსავალი ძირთადად 1000 ლარის ფარგლებშია, ამიტომ ბუნებრივია, ისინი დასაქმების ძირითად სფეროდ არასასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასახელებენ.

კვლევისას ძირითადი ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო პოლიტიკა არის არაადექვატური, მაშინ ადამიანები ირჩევენ იმიგრაციას ქალაქად, რესპოდენტების დიდმა ნაწილმა მიიჩნია მართებულად. მათი მოთხოვნა სახელმწიფოს მართვისადმი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო.

კვლევა გვიჩვენებს, რომ შემოსავლები გავლენას ახდენს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიგრაციულ გადაწყვეტილებებზე. განათლების მიუხედავად ღარიბი მოსახლეობა ეწევა ხანგრძლივ მიგრაციას. მათი ცოდნის დონეს არ აქვს გავლენა მიგრაციულ გადაწყვეტილებაზე, რამდენადაც ქალაქად სამუშაოს როგორც უმაღლესი განათლების მქონე პირები, ასევე საშუალო განათლების და დაბალი კვალიფიკაციის ადამიანებიც პოულობენ.

გარდა ამისა, მიწის რესურსების დამუშავებით მიღებული შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ იგი გავლენას ახდენს ადამიანების გრძელვადიან და პერმანენტულ გადაადგილებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

აქედან გამომდინარე, მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურული განვითარება შეზღუდავს საშუალო შემოსავლის მქონე შინამეურნეობების წევრების მიგრაციას, თუმცა იგი ვერ გააბათილებს მათ რწმენას, რომ, შემოსავალი, რომლიც ჰიპოთეტურად მათ შეიძლება მიიღონ სოფლის მეურნეობიდან ქალაქში გამომუშვებული შემოსავლების ტოლფასად, მაინც ვერ ჩაანაცვლებს ქალაქში მიღებულ სარგებელს.

ამასთან გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ასახელებს იმ ფაქტს, რომ მიწის უფრო მეტი ფართობის ფლობის შემთხვევაშიც კი ისინი მაინც წავიდოდნენ ქალაქში სამუშაოს საძებნელად. ასეთი აღქმა როგორც ჩანს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბდა ადამიანებში და ტრივიალურ ფაქტად მიიიჩნევენ იმას, რომ ქალაქად ცხოვრება გაცილებით უკეთესია, ვიდრე სოფლად. ქალაქს აქვს მიმზიდველობა და იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ მიერ სოფლიდან ქალაქად გადასვლაზე.

გამოკითხულთა უმრავლესობა ასახელებს მიწასთან დაკავშირებულ რამდენიმე მიზეზს,

რომლებიც აიძულებდა მათ სამუშაო ქალაქებში ეძებნად.ამ მიზეზებს შორის არის კაპიტალის ნაკლებობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის და დაბალი შრომის მწარმოებლურობა და ინფრასტრუქტურა.

სახელმწიფოს მარეგულირებელ ნორმებს აბსოლუტური უმრავლესობა არ მიიჩნევს მიწების დამუშავების ბარიერად. მათთვის იგი ნეიტრალური ფაქტორია, თუმცა სახელმწიფოს მიერ მხარდამჭერი ღონისძიებებს, როგორიცაა გრანტები, პროგრამები, სუბსიდიები და სხვ, ანიჭებენ ყველაზე არსებით როლს მიწათმოქმედების განვითრებაში, ხოლო კოოპერატივების ფორმირება და ბიზნეს ასოციაციების მიერ გაწეული კონსულტაციები და სხვა მხარდამჭერი ფორმები, გაცილებით ნაკლებად მნიშვნელოვანია მათთვის. შესაბამისად, სახელმწიფოს ფინანსებზე და დახმარებებზე არის აქცენტირებული სოფლის მოსახლეობა, რაც აიხსნება იმით, რომ კვლავ ძლიერია მოთხოვნა სახელმწიფოდან ისეთ პატერნალისტურ დამოკიდებულება, რომელიც საბჭოთა სოციალისტური წარმოების წესს გააჩნდა. დღესდღეობით ისინი ძირითადად საკუთარი ძალისხმევაზე არიან დამოკიდებულნი და მიწათმოქმედების მხარდამჭერ ფორმად საკუთარი კაპიტალი მიიჩნევა. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი დასაყრდენ ფაქტორად მათი ოჯახის წევრის მიერ უცხოეთიდან მიღებულ ფულად ტრანსფერს ასახელებს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სამართლებრივი ნორმები არ არის სოფლის მეურნეობის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორი, იგი ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტად არის აღქმული ფერმერული მეურნეობის განვითარებაში.

მიწების დარეგისტრირებისას ყველაზე მეტად შეშფოთებას იწვევს გაუგებარი და ბუნდოვანი წესები. როგორ ჩანს მოსახლეობა კარგად ვერ ერკვევა დარეგისტრირების მოთხოვნებსა და მნიშვნელობაში. თუმცა როგორც გამოკითხულთა უმრავლესობა აღიარებს, სახელმწიფო ნორმები არ უქმნით მათ წინააღმდეგობებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიწის პოლიტიკა არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნებს და საჭიროა პოლიტიკის შეცვლა.

ამ თვალსაზრისით, მოსახლეობის მოთხოვნაა ქმედითი პოლიტიკა, რომელიც მეტად ხელს შეუწყობს მათი მეურნეობის განვითარებას. უნდა ვიგულისხმოთ ის ძირითადი ღონისძიებები, რომელიც დაკავშირებულია დაფინასებასთან, სუბსიდიებთან, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან და სხვ. მიწების ათვისების მნიშვნელოვან ფაქტორად აღიქმება სასოფლო სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება, მელიორაცია, გზების გაყვანა, გაზიფიკაცია და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში მათ მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა, ქალაქისაგან განსხვევებით სხვაობა ყველაზე მეტად შეიმჩნევა გზების მშენებლობასა და წყლის მიწოდებაში. ცუდი მდგომარეიბაა სკოლებისა და გაზიფიკაციაში. ქალაქსა და სოფელს შორის საკმაოდ დიდია სხვაობა ჯანდაცვის მომსახურებაში.

მიგრაციით მიწის მეპატრონეები სრულად არ რისკავენ რომ დაკარგავენ მიწას, რადგან პერიოდულად ისინი მიწას ამუშვებენ და უბრუნდებიან სოფელს. ამასთან, ოჯახის წევრის ავადმყოფობა, ან გამოუვალი სავალო მდგომარეობა აიძულებდა მათ გაეყიდათ მიწა. გამოკითხულთა ერთმა მესამედმა მიწის გაყიდვის არსებით მიზეზებს შორის დაასახელეს შვილის სწავლის გადასახადი და სიღარიბე.

მიუხედავად იმისა, რომ მიწა არ არის მათი შემოსავლის ძირითადი წყარო და მისგან მიღებული წილი შემოსავლებიც საკმაოდ დაბალია, მიწების გაყიდვა არ წარმოადგენს გამოკითხულთა სტარტეგიულ მიზანს. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ისინი გაყიდიან მას. სხვა დანარჩენ შემთხვევაში დაელოდებიან ხელსაყრელ დროს, რომელიც საშუალება მისცემს გაზარდონ მიწიდან მიღებული შემოსავლები.

ამდენად, შეზღუდული ფინანსური და ინფრასტრუქტურული რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა ახდენს სოფლიდან ქალაქში მიგრაციის სტიმულირებას. მიწის პოლიტიკამ შეიძლება შეამცირონ ეს პროცესები თუ იგი მიმართული იქნება სოფელსა და ქალაქის ცხოვრების დონეებს შორის სხვაობის შემცირებისაკენ. ურბანულ დასახლებებში სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების მეტობა სოფელთან შედარებით და სოფლად საცხოვრებელი პირობების გაუარესება მიგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორებია.

სოფლის მეურნეობის წახალისების მიუხედავად, კაპიტალისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ფაქტობრივად არარსებობა კვლავ რჩება შემზღუდველლ ფაქტორებად. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტია, მიწა ვერ უზრუნველყოფს სოფლის მოსახლეობას

მზარდი საარსებო წყაროთი. სოფლად კრიტიკულია ინფრასტრუქტურის-გზები, გაზის მიწოდება, საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და სხვა- მდგომარეობა. ეს ფაქტორებიც მნიშვნელვნად ზემოქმედებენ სოფლიდან ქალაქში მიგრაციაზე.

ზოგადად მიგრაციის კვლევების უმრავლესობა აღიარებს ეკონომიკური ფაქტორების ძირითად მნიშვნელობას მიგრაციის გადაწყვეტილებების მიღებაში. ამასთან, არსებობს ისეთი საწყისი მასტიმულირებელი ფაქტორები, როგორიცაა მიწის დაბალი ნაყოფიერება და ამ ფაქტორების გამაძლიერებელი პირობები, როგორიცაა მაგალითად, მიწის გადასახადი, სახელმწიფო რეგულირების სისტემა და სხვ, რომლებიც აჩქარებენ მიგრაციას. საქართველოში ეს ფაქტორები დიფერენცირებულია და მათგან ქალაქის ცხოვრება, სოფლად შრომის დაბალი ნაყოფიერება და ქალაქში გამომუშვებული შემოსავლები არის მოსახლეობის გადაადგილების მთავარი მიზეზები, ხოლო სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისის იმისათვის, რომ შეამციროს მიგრაციული პროცესები.

ამასთან, ძლიერია წარსულზე დამოკიდებულების განწყობა, რომელიც სოფლის მოსახლეობის ქცევების პოზიტიურ უკუგებასა და მისგან მიღებულ სარგებელს აღნიშნავს. კერძოდ, რაც უფრო დიდი ხნის არსებობის ისტორია აქვს ქალაქად უკეთესი ცხოვრების წარმოდგენას მით უფრო მეტად მყარდება ადამიანებში რწმენა სოფლის დატოვების შესახებ და მით უფრო რთულდება, განსაკუთრებით ახალგაზრდების სხვა მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა. ყალიბდება საყოველთაო წარმოდგენა, რომ ქალაქად მიგრაცია სარგებლის მომტანია და შესაბამისად, მომგებიანი.

ყოველივე აქედან გამომდინარე ინტეგრირებული მიწის პოლიტიკასა და მიგრაციას შორის ჩამოყალიბდა შემდეგი კავშირი (იხ. სქემა 1).

სქემა 1



კვლევით დგინდება, რომ შრომითი მიგრაციის ყველაზე ძლიერი გამომწვევი ფაქტორია შინამეურნეობების დაბალი შემოსავლები. საშუალოზე დაბალი ზემოქმედება აქვს მიწების დაბალ, ხოლო სოფლის ინფრასტრუქტურა თამაშობს სოფლიდან ქალაქად სამუშაოს საძებნელად გადაადგილების გამაძლიერებელი ფაქტორის როლს. ყველა ამ შემთხვევაში მიწების ფრაგმენტაცია და მცირე მიწიანობა არ არის შრომითი მიგრაციის გამომწვევი უშუალო ფაქტორი.

შინამეურნეობების მიწის ზომასა და ოჯახის წევრების სოფლიდან ქალაქად გადაადგილებისა და მიწის სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელობის აღქმასა და მიგრაციას შორის დამოკიდებულებას გამოხატავს პირსონის კორელაციის კოეფიციენტი.

პირსონის კორელაციის კოეფიციენტი აღწერს ორ ცვლადს შორის ურთიერთობას.

0-ის მნიშვნელობა მიუთითებს იმაზე, რომ არ არსებობს კავშირები ორ ცვლადს შორის. 0-ზე მეტი მნიშვნელობამიუთითებსპოზიტიურგაერთიანებას. ანუ, როცა ერთი ცვლადის ღირებულება იზრდება, სხვა ცვლადის მნიშვნელობაც იზრდება. 0-ზე ნაკლები მნიშვნელობა მიუთითებს უარყოფით კავშირზე; ანუ, როცა ერთი ცვლადის ღირებულება იზრდება, სხვა ცვლადის ღირებულება

მცირდება(Pearson Product-Moment Correlation).

პირსონის კორელაციური ინდექსის თანახმად, მიგრაციასა და მიწის ფლობას შორის არებობს დადებითი კორელაცია, თუმცა უმნიშვნელო (0.02). შინამეურნეობების თითო წევრი საშულოდ 0.3 ჰა მიწას ფლობს. მათი მიწის ფართობის გაზრდა მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის მათ მოტივაციას გადაადგილდნენ ქალაქში სამუშაოდ. ეს გარემოება განსაზღვრავს იმას, რომ სოფლიდან ქალაქში იმიგრაცია არის სტაბილური და მდგრადი მოვლენა, თუმცა რამდენადაც ეს მაჩვენებელი არის ნულთან ახლოს, ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ მიწების ფართის გაზრდა სოფლის მოსახლეობის საკუთრებაში ვერ მოახდენს ზემოქმედებას მიგრაციულ პროცესებზე. უფრო სწორედ მიწის ფართობი და მოსახლეობის მიგრაცია ნეიტრალურ კორელაციაშია ერთმანეთთან. საერთოდ მიგრაცია ქალაქად დაკავშირებულია მიწების ნაკლებობასთან, მაგრამ საქართველოში ეს დამოკიდებულება არ არის განმსაზღვრელი.

ცხრილი 1

პირსონის კორელაცია შინამეურნეობების მიწის ზომასა და მიგრაციას შორის.

ცვალებადი	შინამეურნეობების მიერ მიწის ფლობა (ჰა)	შინამეურნეობის ერთი წევრზე მიწის ფლობა
ოჯახის წევრი, რომელიც მიგრირებულია ქალაქად	91.0	0.38
მიგრანტების რაოდენობა სულ (გამოკითხულთა რაოდენობა გაყოფილი მათ მიერ მიწების ფლობის მოცულობაზე)	1.5	0.02

უფრო მნიშვნელოვანია სოფლიდან გადაადგილებული პირების მიერ სახელმწიფო პოლიტიკის აღქმა. გამოკითხულთა მიერ სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელობის აღქმის ინდექსმა შეადგინა 0,35 და იგი დადებით კორელაციაშია მიგრაციულ პროცესებთან. რაც უფრო გაუმჯობესდება პოლიტიკის ქმედითობა სოფლის მეურნეობაში, მით უფრო მეტ ზემოქმედებას მოახდენს იგი სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებაზე ქალაქში სამუშაოს საძებნელად თავის შეკავების შესახებ. ეს კორელაცია უფრო ძლიერია ვიდრე მიწის ფართობის გაზრდასა და სამუშაო მიგრაციას შორის. მისი მნიშვნელობა 0.58-ია. სახელმწიფო პოლიტიკის აღქმისა და მიგრაციის სიდიდეები არ არის ერთმანეთთან ნეიტრალური, მაგრამ ეს სიდიდე არც 1-ის ტოლია. იგი 0-სა და 1 -ს შორის საშუალოა. სახელმწიფო პოლიტიკა უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს სოფლიდან ქალაქში იმიგრაციაზე, ვიდრე მიწის რესურსის განვითარება, მაგრამ არც ეს ფაქტორია გადამწყვეტი.

ცხრილი 2

პირსონის კორელაცია მიწის სახელმწიფო პოლიტიკის აღქმასა და მიგრაციას შორის

ცვალებადი	შინამეურნეობებიდან მიგრანტთა რაოდენობა	მიგრანტების მიერ სახელმწიფო პოლიტიკის სიმძლიერის აღქმა (ინდექსი)
ოჯახის წევრი, რომელიც მიგრირებულია ქალაქად	60	0.35
პირსონის ინდექსი (პოლიტიკის აღქმის სიმძლიერე გაყოფილი მათ მიერ მიწების ფლობის მოცულობაზე)	-	0.583

ქალაქისკენ მიგრაცია დაკავშირებული არა მარტო დამატებითი შემოსავლების მიღებასთან და სიღარიბისგან თავის დაღწევასთან, არამედ ურბანული ცხოვრების იმ წესსთან და გარემოსთან, რომელიც იზიდავს სოფლის მაცხოვრებლებს. ურბანული ცხოვრების ფაქტორი ისეთივე ძალის რევერსულ ზემოქმედებას ახდენს სოფლის მოსახლეობაზე, როგორც სახელწმიფო პოლიტიკა, თუმცა ეს ორი ფაქტორი ერთმანეთის საპირისპიროდ ზემოქმედებენ მოსახლეობის იმიგრაციული გადაწყვეტილებების მიღებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ციტირებულია: Cornwell, K. and Inder, B. (2004). Migration and Unemployment in South Africa: When Motivation Surpasses the Theory. Department of Econometrics and Business Statistics, Monash University. Clayton. Australia. https://www.csae.ox.ac.uk/conferences/2004-GPRaHDiA/papers/5f-Cornwell-CSAE-2004.pdf

2. Zemen Haddis Gebeyehu (2014), Rural-Urban Migration and Land and Rural Dedvelopment Policies in Ethiopia., presentation at the "2014 World Bank Conference on Land and Poverty" The World Bank - Washington DC, March 24-27, 2014, გვ.4.

3. Zewdu G, and Malek M. Implications of Land Policies for Rural-urban Linkages and Rural Transformation in Ethiopia, ESSP II Working Paper 15, 2010, გვ.3. http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.227.1222&rep=rep1&type=pdf

4. Bilsborrow RE; Oberai AS; Standing G., (1984), Migration surveys in low income countries: guidelines for survey and questionnaire design, London, England, Croom Helm, 1984. https://www.popline.org/node/407690

5. Jeremy Desiré Rakotonirina, Jinhua Cheng. (2015), Research on the Impacts of Rural-to-Urban Migration on Demographic Characteristics Regarding Economic Development in Madagascar, American Journal of Industrial and Business Management, Vol.5 No.6, June 5, 2015, http://www.scirp.org/(S(351jmbntvnsjt1aadkposzje))/reference/ReferencesPapers.aspx?ReferenceID=1491644;Cornwell, K. and Inder, B. (2004) Migration and Unemployment in South Africa: When Motivation Surpasses the Theory. Monash University, Melbourne.

6. http://www.scirp.org/(S(351jmbntvnsjt1aadkposzje))/reference/ReferencesPapers.aspx?ReferenceID=1491644

Impact of Land Policy on Village-Urban Migration

Guram Metivishvili
Doctorate of the
The St. Andrews the First-Called Georgian University

The concept of research is based on the causal linkage between several determinants of migration processes, such as labor productivity, poorly developed land market, infrastructures and farmers' incomes.

The purpose of the social survey was to find out the impact of such factors like low labor productivity, institutional environment of the land market and income of households on the migration processes from village to urban.

It was revealed that the Index of perception ofland state policy by the people displaced from village is in positive correlation with migration processes. The greater the effectiveness of land policy in agriculture is, the more likely it affects the decision of the village population to refuse finding a job in the city. This kind of correlation is stronger than the correlation between the increase in land area and job migration.

Key Words:land policy, migration, agruculture

შემოსავლების უთანაბრო განაწილების პრობლემა საქართველოში

გიორგი პაპაშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ტელ.595 889 709
ელ.ფოსტა: papashvili.giorgi.90@gmail.com

სტატიაში - "შემოსავლების უთანაბრო განაწილების პრობლემა საქართველოში" - განხილულია მისი წარმოშობის ისტორია, დახასიათებულია მდიდრებსა და ღარიბებს შორის შემოსავლების განაწილებაში განსხვავებები, აღწერილია ლორენცის და კუზნეცის მრუდები და ა. შ.

ამ ფონზე სტატიაში გაანალიზებულია ჯინის კოეფიციენტი საქართველოში და ამ კოეფიციენტით დადგენილია შემოსავლების განაწილებაში დიდი უთანაბრობა ევროპის ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი შვედეთან შედარებით.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა შემოსავლების გადანაწილების შვედეთის გამოცდილების გაზიარების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: შემოსავალი, მდიდრები, ღარიბები, შემოსავლის უთანასწორობა, შემოსავლის გადანაწილება, ჯინის კოეფიციენტი, დეცილური კოეფიციენტი, ლორენცის მრუდი, კუზნეცის მრუდი.

შესავალი

ცნობილია, რომ საქონლის ან შემოსავლის ვერანაირი განაწილება ვერ გაზრდის რომელიმე ინდივიდის მიერ მოხმარებული საქონლის ან შემოსავლის რაოდენობას, თუ ამავე დროს არ შემცირდა სხვა ინდივიდის მოხმარება. მაშასადამე, როცა მოსახლეობის ერთი ნაწილის შემოსავლები მატულობს, მეორე ნაწილის იკლებს.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, სამართლიანია შემოსავლების არათანაბარი განაწილება კონკურენტულ ბრძოლაში მონაწილეობის შედეგების მიხედვით. მაგრამ ის, რაც სამართლიანია საბაზრო ეკონომიკის წესებით, უსამართლოა ზნეობრივი თვალსაზრისით. ამიტომ, სახელმწიფო თავის თავზე იღებს მოსახლეობის შემლებული ფენებიდან ღარიბ და სოციალურად დაუცველ ფენებზე შემოსავლების გადანაწილების ფუნქციას.

1. შემოსავლების უთანაბრო განაწილების ისტორია და მეცნიერები მის შესახებ

შემოსავლების უთანასწორობა მოსახლეობაში ყოველთვის არ იყო. იგი მონათმფლობელურმა წყობილებამ წარმოშვა. ადამიანთა პირველყოფილ საზოგადოებაში ეს განსხვავება არ არსებობდა, ვინაიდან არ არსებობდა ღარიბებად და მდიდრებად დაყოფა. მაშინ ადამიანები, რასაც მოიპოვებდნენ თანაბრად მოიხმარდნენ (განაწილება ხდებოდა თანაბრად). თუმცა, განსხვავება ამ ნიშნის მიხედვით ცალკეულ თემებსა (ტომებს) და რეგიონებს შორის მაინც არსებობდა ბუნებრივი რესურსების, უნარის, შრომის იარაღების და სხვა განსხვავებათა გამო. მდიდრებად და ღარიბებად დაყოფა იწყება მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიაში სხვადასხვა ფაქტორების გამო განაწილების სამართლიანობა ირღვევა, საზოგადოების გარკვეული მცირე ფენა, უმრავლესობასთან შედარებით, შემოსავლების მეტ ნაწილს ითვისებს და სხვებზე მდიდარი ხდება. მაგალითად, მონათმფლობელები - მონებზე, თავადაზნაურები - გლეხებზე, კაპიტალისტები - მუშებზე.

სიღარიბეში იგულისხმება განსხვავება არა მხოლოდ მატერიალური ქონების, არამედ სხვა ფასეულობათა მიხედვითაც (განათლება, კულტურა, თავისუფლების ხარისხი და ა. შ.). შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულად, ყველა მონა და გლეხი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ითვლებოდნენ მუდმივ ღარიბებად. კაპიტალიზმის პირობებში კი მდგომარეობა რადიკალურად იცვლება, ვინაიდან იურიდიულად მუშა (და გლეხიც) თავისუფალია და მისი იძულებით მუშაობა შეუძლებელია. ამდენად, კაპიტალისტი იძულებულია, შემოსავლებიდან მეტი დაუთმოს მას, ვიდრე ამას მონათმფლობელები

და თავადაზნაურები აკეთებდნენ. ბატონყმობის წიაღში წარმოიშობა საშუალო ფენა, რომელიც კაპიტალიზმის დროს საზოგადოების ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენს.

საშუალო ფენა უმეტესწილად დაკავშირებულია მის ეკონომიკურ მდგომარეობასთან (იგულისხმება არა მხოლოდ შემოსავლის დონე, არამედ განათლება, ინტელექტუალური საკუთრება, კვალიფიციური შრომის უნარი და სხვ.) და საზოგადოების ის მრავალფეროვანი ნაწილია, რომლის წევრების შემოსავალი მერყეობს საზოგადოების (ქვეყნის) წევრთა შემოსავლების საშუალო დონის მახლობლად, ე. ი. ამ ფენის წარმომადგენლები არც ღარიბები არიან და არც მდიდრები. მისი შემადგენლობა მობილურია. მის რიგებში შეიძლება იყოს თანამედროვე საზოგადოების სრულიად სხვადასხვა წრის წარმომადგენელი (მუშა, გლეხი, მეწარმე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, სპორტსმენი და ა. შ.). საშუალო ფენის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. იგი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მაკროეკონომიკურ და, საერთოდ, ქვეყნისსოციალურდაპოლიტიკურსტაბილურობას. სწორედ ამიტომაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში საშუალო ფენა საზოგადოების ყველაზე დიდი ნაწილია.

"საშუალო ფენის" ცნება პირველად გამოიყენა არისტოტელემ, ალბათ, ძირითადად, ხელოსანთა, ვაჭართა, მევახშეთა და მოსამართლეების იმ ნაწილის აღსანიშნავად, რომელთა მდგომარეობა მონათა ძირითად ნაწილზე უკეთესი იყო, ხოლო მონათმფლობელზე - უარესი. განვითარებულ ქვეყნებში დღეისათვის საშუალო ფენის ხვედრითი წონა იმდენად დიდია და ცხოვრების საერთო დონე იმდენად მაღალი, რომ საზოგადოების დაყოფა კლასებად საერთოდ კარგავს აზრს. ამიტომ საზოგადოების დაყოფა ხდება მხოლოდ "სტრატებად", ანუ "ფენებად", რომელთა შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობა არ არსებობს.

ისტორიული თვალსაზრისით, ადგილი აქვს სიმდიდრის ზრდის ტენდენციას. დროთა განმავლობაში ადამიანები გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე წინა საუკუნეებში. ამიტომ დღევანდელი ღარიბი წარსულის მდიდრებზე გაცილებით მდიდარი შეიძლება აღმოჩნდეს არა შემოსავლების, არამედ, ცხოვრების კომფორტის მიხედვით. მაგალითად, დღევანდელი განვითარებული ქვეყნის საშუალო ფენის წარმომადგენელი გაცილებით მდიდარია, ვიდრე ეგვიპტის ნებისმიერი ფარაონი ან რომის ნებისმიერი იმპერატორი (მიუხედავად მათი გაცილებით დიდი შემოსავლებისა), ვინაიდან მათი ცხოვრების პირობები ნაკლებ კომფორტული იყო - ვერ სარგებლობდნენ დღევანდელი დონის სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებით, ტელევიზიით, ვიდეო და აუდიოტექნიკით, კინომატოგრაფიით, ინტერნეტით და ა. შ.

ამრიგად, შემოსავლების უთანასწორო განაწილების პრობლემა წინა საუკუნეებშიც არსებობდა, დღესაც არის და როგორც ჩანს მომავალშიც იქნება. XX საუკუნეში მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლების თანასწორობის დამყარების მიზნით ევროპაში და აშშ-ში მრავალი ღონისძიება გატარდა, მაგრამ დღესაც, კი აშშ-ში ამერიკელი ოჯახების 0,05% ფლობს ქვეყნად არსებული მთლიანი პირადი ქონების 35%-ს, მაშინ როცა უფრო "დაბლა" მყოფი ოჯახების 90%-ის ქონება შეადგენს მხოლოდ 30%-ს". მართალია, ცნობილი მეცნიერი, პ. ჰაინე, ერთ თავის ნაშრომში შენიშვნას აძლევს შემოსავლების განაწილების ბიუროს, აშშ-ში ოჯახებს შორის "შემოსავლების უთანასწორობის გაზვიადებაში", რადგან ისინი მხედველობაში არ იღებენ ოჯახების სიდიდეს, პირად გადასახადებს და ნატურით დახმარებებს, მაგრამ ეს ასეც რომ იყოს, ფაქტი ერთია, მოსახლეობის შემოსავლებში უთანაბრობა ამერიკაშიც არის და სხვა ქვეყნებშიც. ამის დადასტურებას გვიჩვენებს ცხრილში 1 მოცემული ციფრები.

შემოსავლების თანაბარი განაწილება უცხოა საბაზრო ეკონომიკური სისტემისთვის. ამის მიზეზად მეცნიერები, ქართველებიც და უცხოელებიც, მთელ რიგ ფაქტორებს ასახელებენ. მაგალითად, ამერიკელი მეცნიერები კემბელ რ. მაკკონელი და სტენლი ბრიუ შემდეგ ფაქტორებზე მიუთითებენ:

1. ადამიანთა განსხვავებები უნარებში, კერძოდ ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებში. ინტელექტუალური უნარების მქონე ადამიანებს შეუძლიათ დაეუფლონ მაღალანაზღაურებად პროფესიებს.
2. სწავლის და განათლების დონე.
3. პროფესიული გემოვნება და რისკი.
4. ქონების ფლობა. ქონება ადამიანებს დიდ შემოსავალს აძლევს, განსაკუთრებით ფინანსური აქტივები - აქციები, ობლიგაციები და სხვა. ოჯახებს, რომელთაც ასეთი ქონება გააჩნიათ, სიმდიდრე და შემოსავლებიც (დივიდენდები, პროცენტები, კურსთა შორის სხვაობით მოგება და ა. შ.) მეტი აქვთ.
5. ბაზარზე ბატონობა.
6. "საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნა", ან პირიქით - უბედური შემთხვევა, მძიმე ავადმყოფობა, მარჩენალის სიკვდილი და ა. შ.

ცხრილი 1

შემოსავლების განაწილების უთანაბრობა მსოფლიოში (%-ში)

ქვეყანა	ყველაზე დაბალი 20%-ის	ყველაზე მაღალი 20%-ის	განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის
იაპონია	10,6	35,7	3,4-ჯერ
ბელორუსია	8,5	36,9	4,3-ჯერ
ინდოეთი	8,9	41,6	4,7-ჯერ
კანადა	7,0	40,4	5,8-ჯერ
დიდი ბრიტანეთი	6,1	44,0	7,2-ჯერ
აშშ	5,4	45,8	8,5-ჯერ
რუსეთი	4,9	51,3	10,5-ჯერ
ჩინეთი	4,7	50,0	10,6-ჯერ
ნიგერია	4,4	55,7	12,7-ჯერ
მექსიკა	3,1	59,1	19,1-ჯერ
ბრაზილია	2,0	64,4	32,2-ჯერ
სამხრეთ აფრიკა	2,0	66,5	33,2-ჯერ

ამ ფაქტორების დასახელებამდე კემბელ მაკონელი და სტენლი ბრიუ იმასაც აცხადებენ, რომ "საბაზრო ეკონომიკა უნამუსოა, მან არ იცის მორალური ნორმები და ვერ ეგუება შემოსავლების "სამართლიან" განაწილებას".

შემოსავლების უთანასწორობის ხარისხი შეიძლება დავინახოთ ლორენცის მრუდზე, სადაც "ოჯახების წილი" განლაგებულია აბცისის ღერძზე, ხოლო შემოსავლების წილი - ორდინატის ღერძზე (ნახაზი 1).



ნახაზი 1. ლორენცის მრუდი

თეორიულად შესაძლებელია შემოსავლის აბსოლუტურად თანაბარი განაწილება, რომელიც ნახაზზე ნაჩვენებია ბისექტრისით. იგი გვიჩვენებს, რომ ოჯახების ყოველი მოცემული პროცენტი შესაბამის პროცენტულ შემოსავალს იღებს: 20% ოჯახების წილი იღებს შემოსავლის 20%-ს, 40% - შემოსავლის 40%, 60% - შესაბამის პროცენტს და ა. შ., რომელიც შესაბამისი წერტილებით ბისექტრისაზეა აღნიშნული. ბისექტრისასა და ლორენცის მრუდს შორის არსებული სივრცე

მიუთითებს შემოსავლების უთანასწორობის ხარისხზე. რაც უფრო ფართოა ეს სივრცე, ანუ დაცილება სწორ ხაზსა და მრუდს შორის, მით უფრო მეტია უთანასწორობის ხარისხი. თუ შემოსავლის ფაქტობრივი განაწილება აბსოლუტურად თანასწორი იქნებოდა, მაშინ ბისექტრისა და ლორენცის მრუდი ერთმანეთს დაემთხვეოდა. ნახაზზე აგრეთვე ნაჩვენებია აბსოლუტური უთანასწორობის სიტუაცია,რომელიც მაშინ წარმოიშობა, როცა ოჯახების 1%-ის საკუთრებაში აღმოჩნდებოდა შემოსავლის 100%. ამ შემთხვევაში ლორენცის მრუდი დაემთხვეოდა ორდინატის ღერძს.

საერთოდ, შემოსავლების თანაბარი განაწილების საკითხი სადისკუსიო საკითხია. მას მომხრეებიც ყავს და მოწინააღმდეგეებიც. ერთსაც აქვთ სათანადო არგუმენტები და მეორესაც.

შემოსავლების თანაბარი განაწილების სასარგებლოდ ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ თანაბარი განაწილება მოცემული შემოსავლის სარგებლიანობის მაქსიმიზაციას იძლევა. ეს კონცეფცია უტილიტარიზმად იწოდება. უთანასწორობის კონცეფციის დამცველები გვთავაზობენ "მინიმალური სარგებლიანობის მაქსიმიზაციას" ანუ "მინიმაქსის კრიტერიუმს". მინიმაქსის კრიტერიუმი" საბოლოოდ დასაშვებად მიიჩნევს შემოსავლების უთანასწორობას, რადგან ეს გაამლიერებს შრომის სტიმულს და ქმნის შესაძლებლობას მეტი დახმარება გაეწიოთ ღარიბ ადამიანებს.

ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის და მეცნიერებს შორის ეს პოლემიკა დღესაც გრძელდება.

შემოსავლების არასამართლიანი განაწილება ყოველთვის აუცილებლად ეკონომიკური განვითარების დონესთან დაკავშირებული არ არის. იგი უფრო ჩამოყალიბებული ტრადიციებითა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილებით განისაზღვრება.

იკვლევდა რა ისტორიულ ჭრილში ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებებს განვითარებად ქვეყნებში, სვიმონ კუზნეცევი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თავდაპირველად ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობს განაწილების გაუარესების პირობებში, ხოლო შემდეგ, გარკვეულ დონეზე იწყება შემოსავლების გათანაბრება. ეს გრაფიკულად გამოისახება მრუდით, რომელმაც კუზნეცის მრუდის სახელწოდება მიიღო (იხ. ნახაზი 2).ამ მრუდის თეორიული ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული შემოსავლები უნდა გადანაწილდეს ბიზნესმენთა სასარგებლოდ, მათ რომ ეს თანხები წარმოებაში დააბანდონ, რითაც მიიღწევა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები. ამით გაიზრდება სამუშაო ადგილები და უმუშევარი ღარიბებიც დასაქმდებიან. მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ეს დებულება არასწორია, იგი ემსახურება მათ ინტერესებს, რომლებიც სარგებლობენ განაწილების უსამართლობით. კუზნეცის მოსაზრების საწინააღმდეგოდ გამოითქმება შემდეგი მოსაზრებები:



ნახაზი 2. შემოსავვლების გათანაბრების მრუდი

1. განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის მდიდარი ნაწილი არ არის მიდრეკილი საინვესტიციო დაგროვებისადმი. ისინი ამჯობინებენ შემოსავლები გამოიყენონ პირადი დაგროვების მიზნით: შეიძინონ ძვირფასეულობა, უძრავი ქონება, გახსნან ანაბრები საზღვარგარეთ და ა. შ.

2. მცირე შემოსავლების დროს დაბალია სამუშაო ძალის უნარი: ჯანმრთელობა, განათლება, კვალიფიკაცია და ა. შ.

3. გადანაწილება ღარიბი მოსახლეობის სასარგებლოდ გაზრდის მოთხოვნას სამამულო წარმოების საქონელზე, რაც ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთი ფაქტორი იქნება.

4. სამართლიანი განაწილების შემთხვევაში გაცილებით დიდია ქვეყნის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური სტაბილურობა, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ არ არის შეუძლებელი ერთდროულად ჰქონდეს ადგილი როგორც ეკონომიკურ ზრდას, ასევე განაწილების გაუმჯობესებას.

2. შემოსავლების უთანაბრო განაწილება საქართველოში

ეს საკითხი საქართველოსთვის ისეთივე მტკივნეულია, როგორც სხვა ღარიბი ქვეყნებისთვის. ჩვენთანაც შემოსავლები დიფერენცირებულია მოსახლეობის ფენებს შორის, ქალაქსა და სოფლის მოსახლეობას და ქვეყნის რეგიონებს შორის. სოფლად შემოსავლები რომ უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქად და ზოგიერთ რეგიონში კიდევ უფრო მცირეა.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ქვეყნის მოსახლეობა დაყოფილი აქვს 10 ტოლ ნაწილად, ანუ დეცილურ ჯგუფებად და გაანგარიშებული ჯგუფის წილით შემოსავლებში და დანახარჯებში ანგარიშობს და აქვეყნებს ჯინის ფაქტიურ კოეფიციენტებს (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ჯინის კოეფიციენტები საქართველოში

	მთლიანი შემოსავლების მიხედვით	მთლიანი ფულადი სარგების მიხედვით	მთლიანი სარგების მიხედვით	მთლიანი საბოლოო სარგების მიხედვით	მთლიანი ფულადი ნარჩენების მიხედვით	მთლიანი ნარჩენების მიხედვით
2010	0,46	0,52	0,48	0,43	0,50	0,46
2011	0,46	0,52	0,48	0,42	0,50	0,46
2012	0,43	0,49	0,46	0,41	0,49	0,45
2013	0,42	0,46	0,43	0,40	0,47	0,44
2014	0,41	0,46	0,43	0,40	0,48	0,45
2015	0,42	0,47	0,44	0,40	0,48	0,45
2016	0,40	0,47	0,41	0,39	0,46	

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, საქართველოში 2010-2016 წლებში ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების მიხედვით შემცირებულია 0,46-დან 0,40-მდე, ე. ი. 46%-დან 40%-მდე. ეს კარგი ტენდენციაა. ასეთივე ტენდენციაა მთლიანი ხარჯების მიხედვით, მ. შ. მთლიანი ფულადი ხარ¬ჯების მიხედვითაც, მაგრამ ორივე შემთხვევაში ჯინის კოეფიციენტი 40%-ზე მაღალია (45 და 46 პროცენტი შესაბამისად). ეს მიუთითებს შემოსავლების და ხარჯების არათანაბარ (მით უფრო როცა ვიცით, რომ მისი კრიტიკული ზღვარი 0,41-0,46-ის ფარგლებში მერყეობს) განაწილებაზე საქართველოს მოსახლეობაში. ამის დასადასტურებლად წარმოვადგენთ სხვა მეცნიერთა დასკვნებსაც. ქართველი მეცნიერ ი. მაკალათიას გაანგარიშებით, საქართველოში მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი შეადგენდა: 2004 წელს - 31,9-ს, 2005 წელს - 28,2-ს, 2006 წელს - 29,4-ს, 2007 წელს - 27,1-ს, 2008 წელს - 19,7-ს, 2009 წელს - 26,2-ს, 2010 წელს - 17,7-ს, 2011 წელს - 25,6-ს, ხოლო 2012 წელს - 19,8-ს. ამ გაანგარიშებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის ყველაზე ღარიბმა ფენამ ანუ პირველმა დეცილურმა ჯგუფმა, საქართველოში, ყველაზე მდიდარ ფენაზე ანუ მეათე დეცილურ ჯგუფთან შედარებით, 2012 წელს 19,8-ჯერ ნაკლები შემოსავალი მიიღო. ის იყო მთლიანი შემოსავლების 1,7%.

მართალია, დინამიკაში ეს მაჩვენებელი 2004-2012 წლებში შემცირებულია 31,9-დან 19,8-მდე, მაგრამ იგი მაინც მაღალია და მიუთითებს მდიდარი და ღარიბი მოსახლეობის შემოსავლებს შორის დიფერენციაციის მაღალ დონეზე. ახალი ინფორმაციით, 2015 წელს დეცილური კოეფიციენტი

1. მაკალათია ი. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური კვლევა, დისერტაცია, 2014, გვ. 96.

საქართველოში 18-ს შეადგენდა ანუ 2004 წელთან შედარებით იგი 13,9-ით, ხოლო 2010 წელთან შედარებით 0,3-ით არის გაზრდილი. მაშასადამე, საქართველოში 2014 წლამდე მიმდინარეობდა როგორც დეცილური კოეფიციენტის, ისე ჯინის კოეფიციენტის შემცირება, 2015 წელს კი 2014 წელთან შედარებით იგი 0,01-ით გაიზარდა, რაც მოსახლეობის ჯგუფებს შორის შემოსავლების დიფე¬რენციაციის გარღმავებაზე მიგვანიშნებს.

საქართველოში არსებულ მრავალ პრობლემას შორის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა არის სწორედ სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენებს შორის შემოსავლის განაწილებაში დიდი განსხვავებები. ამიტომ უთანასწორობის დონის შემცირების გზების ძიება ძალზე მნიშვნელოვანია.

მსოფლიოში შემოსავლების განაწილება-გადანაწილების ყველაზე წარმატებულ პრაქტიკას შვედეთი ახორციელებს. შვედეთში ჯინის კოეფიციენტი მხოლოდ - 0,26-ია, საქართველოში კი, როგორც ვნახეთ კიდეც - 0,40. ამას შვედეთი აღწევს შემოსავლის გადანაწილებით მაღალშემოსავლიანებიდან დაბალშემოსავლიანებზე. ეს კეთდება მოქნილი საგადასახადო პოლიტიკით. შვედეთში დაბეგვრა პროგრესული შკალით ხდება. მდიდრებს ახდევინებენ - 55%-ს, ნაკლებშემოსავლიანებს კი - 30%-ს. კიდევ უფრო დაბალი აქვთ გადასახადის განაკვეთები 25 წლამდე ასაკის და 66 წელზე მეტის ხანდაზმულ მომუშავეებს.

საქართველოში დაბეგვრა პროპორციული სისტემით ხდება, ანუ ყველა - მაღალშემოსავლიანიც და დაბალშემოსავლიანიც იხდის ერთნაირი განაკვეთით. ამიტომ არის შემოსავლების უთანასწორო განაწილება ასეთი მწვავე.

ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობა უნდა გაეცნოს შვედეთის პოლიტიკას ამ სფეროში და ჩვენთან დანერგოს.

დასკვნა

ჩვენთან და საზღვარგარეთ შემოსავლების განაწილება-გადანაწილების საკითხის შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ უთანასწორო განაწილების პრობლემა ყოველთვის იყო, მაგრამ ქვეყნების მთავრობები ცდილობდნენ მის შედარებით გამოთანაბრებას. მეცნიერებიც მუშაობდნენ ამ საკითხებზე. საქართველოში ეს პრობლემა მეტად მწვავედ დგას. მთავრობამ ქმედითი ღონისძიებები უნდა მიიღოს მის შესამცირებლად.

ლიტერატურა:

1. ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი. და სხვები. მიკროეკონომიკა, თბ., 2007.
2. აბესაძე რ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში, საქართ¬ველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, 11, თბ., 2013.Пол
3. Хейне, Экономический образ мышледния, М., 1991.
4. ლემონჯავა პ., აბრალავა ა., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2009.
5. Кемпелл Р., Макконел, Стенли Брю, Экономикс, М., 1992.
6. სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე., მიკროეკონომიკსი, თბ., 2006.
7. Тодаро П., Экономическое развитие, М., Юнити, 1997, გვ. 152.
8. "საქსტატის" მონაცემები.
9. მაკალათია ი. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური კვლევა, დისერტაცია, 2014.
10. თოდუა ხ., მოსახლეობის შემოსავლების დონის სტაბილიზაციის უცხოური გამოცდილება. საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული - ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, 1-2 ივლისი, 2016 წელი, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონო-მიკის ინსტიტუტი, თბ., 2016.

2. თოდუა ხ., მოსახლეობის შემოსავლების დონის სტაბილიზაციის უცხოური გამოცდილება, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის - „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში" - მასალების კრებული, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, 1-2/VII, 2016, გვ. 470.

UNEQUAL DISTRIBUTION OF INCOME IN GEORGIA

GIORGI PAPASHVILI
PhD student
Georgian Technical University

The article Unequal distribution of incomes in Georgia describes history of its development, differences in income distribution among the rich and poor, Lorenz and Kuznets curves, etc.

The article analyzes Gini coefficient in Georgia and based on this coefficient conclusion is made that there is a grave unequal distribution of income in Georgia compared with European countries, especially Sweden.

The author gives recommendations to adopt the model of Sweden in terms of income distribution.

Keywords: Income, the rich, the poor, unequal distribution of income, income distribution, Gene coefficient, decile coefficient, Lorenz curve, Kuznets curve

უმაღლესი განათლების სისტემის კონკურენტუნარინობის ამაღლების გზები საქართველოში

თამარ კვანტალიანი
კავკასიის უნივერსიტეტის დოქტორანტი
ტელ:(+995)595957181
ელ-ფოსტა:t_kvantaliani@cu.edu.ge

სტატიაში განხილულია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა, გაანალიზებულია მისი ეკონომიკური მაჩვენებლები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუანრიანობის ანგარიშებში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით. პრობლემების გამოვლენის შესაბამისად შემუშავებულია რეკომენდაციები და დასახულია მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, კონკურენტუნარიანობა.

განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია. „ნებისმიერი ქვეყნის წინსვლის, განსაკუთრებით კი ეკონომიკური აღმავლობის საფუძველთა საფუძველია მოსახლეობის განათლებისა და მეცნიერების განვითარების მაღალი დონე“ (პაიჭაძე ნ., 2015). ექსპერტთა შეფასებით, „ამჟამად ინტელექტუალური საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარი ტრადიციულ ბაზრებზე ხუთჯერ უფრო სწრაფად იზრდება“ (გელაშვილი ს., 2012). აღნიშნულიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სფეროს ეფექტიან მართვას, სადაც დიდი როლი ეკისრება უმაღლეს განათლებას.

დღესდღეობით საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ბევრი პრობლემა არსებობს, რომელთა აღმოფხვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპული ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური იკვლევს და აქვეყნებს მონაცემებს განათლების სფეროს შესახებ,რომელთა გაანალიზება დაგვეხმარება უმაღლესი განათლების სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენაში.მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშებში მოცემული ინფორმაცია საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ დამატებით წყაროს წარმოადგენს შედარებითი ანალიზის გაკეთებისთვის. აღნიშნული სტატია სწორედ ამ პრობლემების ადეკვატური რეკომენდაციების შემუშავებას ისახავს მიზნად.

განვიხილოთ 2008-2015 წლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესეულებებში სტუდენტთა და დოქტორანტთა რაოდენობა. ცხრილიდან ჩანს, რომსაქართვე¬ლოში2008-2015წლებშისტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაიზარდა 93.6 ათასიდან 138.9 ათასამდე (48.3 %). ამავე პერიოდში ასევე გაიზარდა დოქტორანტების რაოდენობაც 1588-დან 3765-მდე (137 %).

ცხრილი 1.

საქართველოში სტუდენტთა და დოქტორანტთა რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2008-2015 წლებში

	2008	2009	2011	2012	2013	2014	2015
სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ათასი	93.6	102.7	95.1	109.5	117.7	124.2	138.9
დოქტორანტების რაოდენობა, ერთეული	1588	2986	4266	3040	3213	3410	3765

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სტუდენტთა განაწილება პროგრამების მიხედვით კი შემდეგია: სოციალური მეცნიერება, ბიზნესი და სამართალი (47.3%), ჰუმანიტარული მეცნიერება და ხელოვნება (15.4%), ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (10.6%), საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები (9.2%), მეცნიერება (8.9%), მომსა¬ხუ-რება (4.9%), განათლება (2%) და ბოლოს, სოფლის მეურნეობა (1.9%).

ცხრილი 2

საქართველოში სტუდენტთა მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით 2012-2013; 2013-2014 და 2014-2015 სასწავლო წლებში

	2012-2013	2013-2014	2014-2015
სოფლის მეურნეობა	968	1064	2313
განათლება,ჰუმანიტარული მეცნიერება და ხელოვნება	20485	23130	21567
მომსახურება	5482	9215	6060
მეცნიერება	12054	10687	11034
საინჟინრო,დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	6138	7694	11384
ჯანდაცვა და სოც.-უზრუნველყოფა	12668	12859	13147
სოც.მეცნიერება, ბიზნესი და სამართალი	51718	52841	58718

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2013-14 სასწავლო წელთან შედარებით ერთი წლის მანძილზე მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა 2-ჯერ არის გაზრდილი სოფლის მეურნეობის, 48%-ით საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგების, 11.2%-ით სოციალური მეცნიერების, ბიზნესისა და სამართლის, 2.2%-ით ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის და 1.4%-ით მეცნიერების მიმართულებით. ამასთან, სტუდენტთა რიცხოვნობა 34.2%-ით არის შემცირებული მომსახურებისა და 8%-ით - ჰუმანიტარული მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრამებზე. ამ შედეგების გამომწვევ მიზეზთა შორისაა ის ფაქტი, რომ სახელწიფომ დაფინანსების თანხები წარმართა საინჟინრო, დამამუშავებელი, სამშენებლო და ასევე სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებისათვის.

საინტერესოა გავაკეთოთ საქართველოში უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯების მშპ-ს მიმართ შედარებითი ანალიზი სხვა ქვეყნებთან. უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ მშპ-ს 1.4% იხარჯება. ხოლო საქართველოში ეს მაჩვენებელი 2012 წელს იყო 0.5 %.

ცხრილი 3

საქართველოსა და სხვა ქვეყნებში უმაღლესი განათლების სექტორზე გაწეული ხარჯები მშპ-ს მიმართ 2012 წელი

ქვეყნები	მშპ-ს %
დანია	2.4
ფინეთი	2.2
რუსეთი	1
ევროკავშირი(საშუალოდ)	1.4
საქართველო	0.5

წყარო: სახელმწიფო ხაზინა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ცხრილი 4. კი გვიჩვენებს 2013-2016 წლის მონაცემებს. საქართველოში 2013 წელს უმაღლესი განათლების სექტორზე გაწეული ხარჯები მშპ-ს მიმართ იყო დაახლოებით 0.42 %,ხოლო 2016 წელს დაახლოებით 0.31 %.შესაბამისად,შეგვიძლია დავასკვნათ,რომ მდგომარეობა ამ მიმართულებით გაუარესებულია.

ცხრილი 4

საქართველოში უმაღლესი განათლებაზე გამოყოფილი სახსრების წილი მშპ-ში 2013-2016 წლებში

	2013	2014	2015	2016
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	26847.4	29150.5	31755.6	33921.6
საბიუჯეტო თანხები უმაღლეს განათლებაზელარი	113 281 325	138 162 000	154 972 400	106 613 000
მშპ-ს %	0.42	0.47	0.48	0.31

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საგულისხმოა, რომ ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რა წყაროებიდან მოდის უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება. როცა დაფინანსების წყაროებზე საუბრობენ, ერთმანეთისგან ანსხვავებენ ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას, შინამეურნეობების/ინდივდების მიერ გაწეულ ხარჯებსა და სხვა კერძო წყაროების მხრიდან დაფინანსებას.

ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან უმაღლესი განათლების დაფინანსებაში შინამეურნეობების მიერ გაწეული დანახარჯების მიხედვით. როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილში 5. ჩანს, ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია. შინამეურნეობებისა და ინდივიდების მიერ გაწეული ხარჯები ტრადიციულად მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო შედარებით ცოტას ხარჯავს უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე. ასე მაგალითად, ძალიან მაღალია ეს დანახარჯი ჩილესა და გაერთიანებულ სამეფოში (შესაბამისად 70% და 56%).

სახელმწიფო საბიუჯეტო თანხებისა და შინამეურნეობების დანახარჯების გარდა, განვითარებულ ქვეყნებში უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე სხვა კერძო წყაროებიდანაც საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება. ეს წყაროები ძირითადად სხვადასხვა ბიზნესი და ბანკია. დაფინანსების ეს დამატებითი წყაროებიც გასათვალისწინებელია დაფინანსების ჰიპოთეტური მოდელის წარმოდგენისასაც. სასურველია, მთლიანი დაფინანსების მინიმუმ 10% სხვა კერძო წყაროებიდან მოდიოდეს.

როგორც ცხრილიდან 5. ჩანს საქართველოში განათლებაზე დანახარჯების ყველაზე დიდი წილი 64% შინამეურნეობების დანახარჯებზე მოდის, როცა ნორმად მიჩნეულია 40%. რაც შეეხება კერძო დანახარჯს 10%-ის ნაცვლად ის 0%-ია.

ცხრილი 5

უმაღლესი განათლების დაფინანსების განაწილება წყაროების მიხედვით საქართველოსა და სხვა ქვეყნებში, 2010 წელი

.	საჯარო დაფინანსება	შინამეურნეობების დანახარჯი	კერძო დანახარჯი
ჩილე	22.1	70.1	7.8
გაერთიანებული სამეფო	25.2	56.1	18.7
აშშ	36.3	47.8	15.9
რუსეთი	62.2	28.2	9.6
შვედეთი	90	0	9.4
საფრანგეთი	81.9	10.1	8.0
საქართველო	36	64	0

წყარო: EPPM-განათლების პოლიტიკის დაგეგმვის, განვითარების და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

ცხრილში 6. მოცემულია განათლებაზე გამოყოფილი თანხების შეფარდება საბიუჯეტო სახსრებთან საქართველოში 2013-2016 წლებში.

ცხრილი 6

განათლებაზე გამოყოფილი თანხების შეფარდება საბიუჯეტო სახსრებთან საქართველოში 2013-2016 წლებში

	2013	2014	2015	2016
საბიუჯეტო სახსრები(ათას ლარებში)	6 917 329.4	7 223 613.4	7 868 460.1	8 257 415.8
განათლებაზე გამოყოფილი თანხები	113 281 325	138 162 000	154 972 400	106 613 000
შეფარდების %	1.63	1.91	1.97	1.29

წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვიტარების ორგანიზაცია,WWW.OECD.GE

განვითარებულ ქვეყნებში უმაღლეს განათლებაზე საშუალოდ მთლიანი საბიუჯეტო თანხების 3.1% იხარჯება.როგორც ვხედავთ საქართველოში 2016 წელს ყველაზე მცირე პროცენტი გვაქვს -1.29 %.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფინანსების მოდელსთუგანვიხილავთ,მეიერი(1992)ადგენს,რომ ამერიკის განათლების სისტემის განამასხვავებელი ნიშანია დაფინანსების და კონტროლის დეცენტრალიზაცია შტატისა და ადგილობრივ დონეზე. ფედერალურ მთავრობას აქვს მცირე კონსტიტუციური უფლებამოსილება, იმისთვის, რომ არეგულიროს განათლება. დაფინანსების უფლებამოსილება გადანაწილებულია მრავალ ფედერალურ სააგენტოზე. მეიერი ამ მოდელს უწოდებს ფრაგმენტირებულ ცენტრალიზაციას.

საინტერესოა საქართველოს განათლების სისტემის შეფასება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2008-2016 წლების ანგარიშების მიხედვით.

როგორც ცხრილიდან 7-დან ჩანს, იმის მიუხედავად, რომ ქვეყნის ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი ბოლო 9 წლის მანძილზე 31 პოზიციით გაუმჯობესდა, განათლების მიმართულებით არ არის მნიშვნელოვანი წინსვლა. განსაკუთრებით კი, უმაღლესი განათლების ეფექტიანობის ამსახველი მაჩვენებლების მიხედვით გაუარესებული მდგომარეობა გვაქვს. კერძოთ, განათლების სისტემის ხარისხის მაჩვენებელი გაუარესებულია 12 პოზიციით, მათემატიკური და სამეცნიერო განათლების ხარისხის მაჩვენებელი გაუარესდა 25 პოზიციით. ასევე, ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლები: კვლევებისა და ტრენინგების ხელმისაწვდომობა (8 პოზიციით), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი (5-ით), კვლევითი თანამშრომლობა (უნივერ-სიტეტი-წარმოება) (10-ით), ხოლო მეცნიერთა და ინჟინერთა ხელმისაწვდომობა (30-ით).

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, განათლების დონე მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა¬დასხვა სფეროებთან, ის განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ამას ადასტურებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებული კვლევებიც, რომლის მიხედვითაც ბიზნესის კეთების ხეიშშემშლელ ფაქტორებს შორის სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია უკანასკნელ წლებში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს.

უმაღლესი განათლების სისტემაში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ვფიქრობთ სასურველია განხორციელდეს:

- სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება უნივერსიტეტებში;
- სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
- მოთხოვნად პროფესიებზე მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის ზრდა;
- უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ზრდა და კერძო თანხების მოზიდვა;

ცხრილი 7

ქართველოს განათლების სისტემის შეფასება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2008-2016 წლების ანგარიშების მიხედვით

მაჩვენებლები	წლები								
	2008 – 2009	2009 – 2010	2010 – 2011	2011 – 2012	2012 – 2013	2103 – 2014	2014 – 2015	2015- 2016	2016- 2017
განათლებული ქვეყნების წილადენობა, ხელ	134	133	139	142	144	148	144	140	138
ეროვნული საკრედიტო ბირჟა	90	90	93	88	77	72	69	66	59
განათლების სისტემის ხარისხი	83	97	119	116	114	105	98	101	95
უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა	55	55	66	82	77	77	84	74	71
ეროვნული და საყოველთაო განათლების ხარისხი	75	84	104	100	101	106	105	97	100
კვლევების და ტრენინგების ხელმისაწვდომობა	117	96	125	115	119	130	116	116	125
საყოველთაო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი	113	123	119	117	125	124	119	119	118
კვლევითი თანამშრომლობა (უნივერსიტეტი-წარმოება)	109	122	134	126	134	132	128	128	119
ტექნიკური და ინოვაციური ხელმისაწვდომობა	84	96	122	120	124	126	122	113	115

წყარო: WE Forum GCR 2008-2009; 2009-2010; 2010-2011; 2011-2012; 2012-2013; 2013-2014; 2014-2015;2015-2016; 2016-2017.

- უმაღლესი განათლების დაფინანსებაში სახელმწიფოს, შინამეურნეობებისა და კერ¬ძო წყაროების დანახარჯთა შორის ბალანსის უზრუნველყოფა;
- მომავალ სტუდენტთა პროფესიული ორიენტაციის კუთხით ინფორმირებულობის ზრდა;
- ბიუჯეტიდან სოციალურ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთათვის მეტი სახრსების გამოყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელაშვილი ს., განათლებიდან მიღებული სარგებელი და მისი სტატისტიკური გაზომვის მეთოდები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2, თბ., 2012.

2.ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, www.oecd.org

3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

4. საქართველოს ფინანასთა სამინისტრო www.mof.ge

5. პაიჭაძე ნ.,ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს კანონზე უმაღლესი განათლების შესახებ, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №4, თბ., 2015.

6. Waine K.Hoy Cecil G,Miskel , Educational Administration,USA, 6TH Edition,2006,pp-637.

7. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2008-2009, 2009-2010, 2010-2011, 2011-2012, 2012-2013, 2013-2014, 2015-2016, Country/Economy Profiles, Georgia,

http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2008-09.pdf
http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2009-2010
http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2010-11.pdf
http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2011-2012
http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2012-13.pdf
http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2013-14.pdf
http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2014-2015
http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2015-2016

The ways of raising Competitiveness of higher education system in Georgia

Tamar Kvantaliani

The article discusses higher education system in Georgia,analyzes economic indicators based on information represented by National Statistics Office of Georgia,Ministry of Finance of Georgia, Organisation for Economic Co-operation and Development and The Global Competitiveness Reports of World Economic Forum.As problems are identified,advicies and the ways of increasing competitiveness are given.

პერსონალის კონტროლინგი და მისი გამოყენების ინსტრუმენტები ორგანიზაციაში

ალექსანდრე ნაჭყებია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ელ.ფოსტა: san_nachkebia@yahoo.com

საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ადამიანური რესურსების როლი იზრდება, რაც ძირითად ტექნოლოგიური პროგრესითა და ადამიანური რესურსების მიმართ წაყენებული მოთხოვნილებების ზრდის შედეგია. პერსონალის კონტროლინგი – ესაა ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული შიდა საფირმო დაგეგმვისა და კონტროლის სისტემა, რომლის საშუალებითაც მიიღწევა კომპანიის სტრატეგიის გარდაქმნა კონკრეტულ გეგმურ მაჩვენებლებად და ღონისძიებებად. იგი ხელს უწყობს კომპანიის პერსონალის ეფექტიან გამოყენებას.

კონტროლინგის ინსტრუმენტებს ერთის მხრივ მიეკუთნება, ყველა ის მეთოდი და მოდელი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას საწარმოოს მართვაში. ეს ინსტრუმენტები ემსახურება მენეჯერების მიერ გადაწყვეტილების მიღებასა და მის შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას. მეორეს მხრივ, კონტროლინგის ინსტრუმენტებს შორის გამოიყოფა ყველა ის მეთოდური, დამხმარე საშუალებები, რომლებიც კონტროლინგს ეხმარება დასახული მიზნების რეალიზაციაში.

თანამედროვე პერიოდში, როდესაც კონკურენცია როგორც ეროვნულ, ასევე მსოფ–ლიო ბაზარზე სულ უფრო მწვავდება, კომპანიები ობიექტურად აღმოჩნდნენ მართვის თვისობრივად ახალი კონცეფციებისა და ინსტრუმენტების ძიების აუცილებლობის წინაშე. ერთ–ერთი თანამედროვე მიმართულება მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობის ზრდას წარმოადგენს კონტროლინგის სისტემა. მასში განსაკუთრებული ადგილი უკავია პერსონალის კონტროლინგის სისტემას, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს კომპანიის სტრატეგიული რესურსის – პერსონალის ეფექტიანი გამოყენება.

პერსონალის კონტროლინგი - ესაა პერსონალის მართვის თანამედროვე კონცეფცია, რომელიც კომპანიებში ადამიანური რესურსების გაზრდილ მნიშვნელობას შეესაბამება. საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ადამიანური რესურსების როლი იზრდება, რაც ძირითად ტექნოლოგიური პროგრესითა და ადამიანური რესურსების მიმართ წაყენებული მოთხოვ–ნილებების ზრდის შედეგია. სწორედ ამიტომ, პერსონალის კონტროლინგი – ესაა ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული შიდა საფირმო დაგეგმვისა და კონტროლის სისტემა, რომლის საშუალებითაც მიიღწევა კომპანიის სტრატეგიის გარდაქმნა კონკრეტულ გეგმურ მაჩვენებლებად და ღონისძიებებად.

პერსონალის კონტროლინგის უმთავრესი ამოცანაა - განახორციელოს მუდმივი უკუკავშირი პერსონალის დაგეგმვასა და მისი გამოყენების ანალიზს, ასევე მათში არსებულ გადახრებს შორის.

პერსონალის კონტროლინგი წარმოადგენს საწარმოს საერთო კონტროლინგის შემად–გენელ ნაწილს. ამიტომ, მისი მიზნები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ საწარმოოს მიზნებს, არამედ უნდა გამომდინარეობდნენ მისგან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდანად, რამდენადაც პერსონალის მართვის სისტემა კომპანიის მართვის სისტემის შემადგენელი ნაწილია და მისი ეფექტიანობა მთლიანობაში, საწარმოოს საქმიანობის საბოლოო შედეგებით განისაზღვრება.

პერსონალის კონტროლინგში, რომელიც საწარმოს კონტროლინგის შემადგენელი ნაწილია გამოყოფენ ოპერატიულ და სტრატეგიულ ამოცანებს.

საწარმოში პერსონალის კონტროლინგის ოპერატიულ ამოცანებს მიეკუთნება: პერსონალის შერჩევა; კადრების განლაგება; მომუშავეების განვითარება; პერსონალის ხელმძღვანელობა; სერვისი მომუშავეებისათვის; პერსონალის

მარკეტინგი; მომუშავეების მოტივაცია; დათხოვნა.

პერსონალის კონტროლინგის სტრატეგიულ ამოცანებს მიეკუთნება: კონცეფცია პერსონალის სტრატეგიის სფეროში; პერსონალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების სტრატეგიული დაგეგმვა საწარმოს სხვა სტრატეგიულ გეგმებთან შესაბამისობაში; პერსონალთან დაკავშირებით სტრატეგიული მიზნების მიღწევების კონტროლი.

პერსონალის სტრატეგიული კონტროლინგი მიუთითებს პერსონალთან მუშაობის პერსპექტივებზე კომპანიის სტრატეგიული განვითარების შესაბამისად. მაგალითად, თუ დაგეგმილია ახალ ბაზრებზე გასვლა და პროდუქციის ხარისხის გაზრდა, მაშინ უნდა დაიგეგმოს ღონისძიებები მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად.

პერსონალის ოპერატიული კონტროლინგის მიერ ხდება სტრატეგიულ მიზნებზე ორიენტირებული ტაქტიკური ღონისძიებების რეალიზაცია. ოპერატიულ დონეზე პირველ რიგში დგას კადრების გამოყენების ეკონომიკური ფექტიანობის მიღწევის ამოცანა. მაგალითად, ისეთი მაჩვენებელების გაზომვა და შეფასება ხდება, როგორიცაა ერთ მომუშავეზე გამომუშავება ფულად ან ნატურალურ გამოსახულებაში, თვითღირებულებაში პერსონალზე დანახარჯების წილი და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ კონტროლინგის პრაქტიკული ასპექტები ძირითადად კონცენტრირებულია დანახარჯების მართვაზე, ეკონომიკურ ლიტერატურაში კონტროლინ-გის მეთოდების შესახებ ცალსახა დამოკიდებულება არ არსებობს. ასე მაგალითად, კონტროლინგის ინსტრუმენტებს ერთის მხრივ მიეკუთნება, ყველა ის მეთოდი და მოდელი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას საწარმოოს მართვაში. ეს ინსტრუმენტები ემსახურება მენეჯერების მიერ გადაწყვეტილების მიღებასა და მის შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას. მეორეს მხრივ, კონტროლინგის ინსტრუმენტებს შორის გამოიყოფა ყველა ის მეთოდური, დამხმარე საშუალებები, რომლებიც კონტროლინგს ეხმარება დასახული მიზნების რეალიზაციაში. მათ შორის, განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება გადახრების ანალიზი. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ კონტროლინგი თავისუფალია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზისთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიური რეგლამენტაციისაგან. საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, კონტროლინგის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე უშუალოდ საწარმოში განისაზღვრება.

კონტროლიორების საქმიანობაში, როგორც აღვნიშნეთ დიდი ადგილი უკავია სხვადასხვა სახის გადახრების ანალიზს. მიუხედავად ამისა, კონტროლიორმა ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე უნდა შეიზღუდოს გასაანალიზებელი გადახრების რაოდენობა ანუ შეირჩეს მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი. გადახრების შეფასების პირველ კრიტერიუმს წარმოადგენს დაშვების საზღვრის დადგენა. ამის შესაბამისად, ამ კრიტერიუმით გადახრის ანალიზი იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც რეალური ცალკეული სიდიდეები, მაგალითად დანახარჯები თვიური ხელფასის ფონდზე, ან ზოგადად პერსონალზე დანახარჯები, ადრე დაგაგმილი მაჩვენებელების დაშვების საზღვრებს სცილდება. გადახრების სელექციური შეფასებისათვისხშირადგამოიყენებადაშვებითობის ხაზობრივი საზღვრები, რომლებიც გამოისახებიან, როგორც პროცენტებში, ასევე აბსოლუტურ მაჩვე–ნებლებში. ამასთან, აუცილებელია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გადახრების გამოკვლევა. თუ ნეგატიური გადახრები იწვევენ დასახული მიზნების შეუსრულებლობას, დადებითი გადახრები მიუთითებენ დამატებითი სარგებლის მიღების შესაძლებლობაზე.

საზღვარგარეთის კომპანიებში ნეგატიური გადახრების დასაშვები საზღვრები საგეგმო მაჩვენებელს უფრო ნაკლებადაა დაშორებული, ვიდრე პოზიტიური გადახრა. ამ უკანასკნელის ანალიზის აუცილებლობა იმითაა ნაკარნახევი, რომ მისი გამომწვევი ფაქტორებზე ზემოქმედებამ დამატებითი დადებითი ეფექტი შეიძლება მოახდინოს საწარმოოს საქმიანობაზე.

კონტროლინგის პრაქტიკაში მრავალი მეთოდი გამოიყენება, მაგრამ მათ შორის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი არის ბიუჯეტირების მეთოდი, რომლშიც აისახება პერსონალზე გაწეული დანახარჯები დროის კონკრეტული პერიოდისათვის.

ბიუჯეტირების პროცესი წარმოადგენს კომპანიის ყველა ოპერაციულ და საფინანსო გეგმების ფორმირების, შეთანხმებისა და დამტკიცების პროცესს. ამასთან, ბიუჯეტირება უზრუნველყოფს ორგანიზაციაში ყველა მოვლენის მიზნობრივ ორიენტაციასა და კოორდინაციას; რისკების გამოვლენასა და მის შემცირებას; მოქნილობის ამაღლებას და ცვლილებებისადმი შეგუებას; უწყვეტ დაგეგმვას; კომპანიის საქმიანობაზე კონტროლსა და შედეგების შეფასებას; კანონებისა და ხელშეკრულებების მოთხოვნების შესრულებას.

ბიუჯეტის ფორმირებისას გაანგარიშებები წარმოებს დასახული ამოცანების რეალი–ზაციისათვის აუცილებელი თანხებისა და მათი წარმოშობის წყაროების დროულ განსაზღვრაში. სხვა ყველაფერთან ერთად, ბიუჯეტირება ორიენტირებულია ადამიანური რესურსების (პერსონალის) მართვაზე. პერსონალი თავის მხრივ განაწილებულია პასუხისმგებლობის ორგანიზაციულ ცენტრებში. მათზე დანახარჯები აისახება ხელფასის ბიუჯეტში, სამმართველო და პირობითმუდმივ ხარჯებში, საწარმოო ბიუჯეტში და სხვ.

პერსონალზე დანახარჯები ზოგიერთ შემთხვევაში შიდა ნორმატიული აქტებით განისაზღვრება, ზოგიერთ შემთხვევაში ქვეყნის კანონმდებლობით. პერსონალზე მთელი დანახარჯი აისახება პროდუქციის გეგმურ კალკულაციაში ძირითადი, დამხმარე, საერთოსაწარმოო და საერთო სამეურნეო ხარჯებშის შემადგენლობაში, ქვედანაყოფების ხარჯთა ნუსხაში.

დოკუმენტები, რომლშიც დასაბუთებულია დანახარჯები პერსონალზე, იქმნება საკადრო სამსახურში და გადაეცემა საგეგმოეკონომიკურ სტრუქტურებს, რომლებიც ამ დანახარჯებს კალკულაციის საშუალებით, ასახავენ პროდუქციის თვითღირებულებაში. შემდგომში დოკუმენტები გადაიგზავნება საფინანსო განყოფილებაში პერსონალზე დანახარჯების ბიუჯეტის ფორმირებისათვის. კალკულაცია ხორციელდება ყოველთვიურად – პროდუქციის წარმოებაზე რესურსების მართვისათვის. ბიუჯეტები თავის მხრივ, შეიძლება შედგეს ყოველწლიურად, თვეების მიხედვით – ფულადი სახსრების მართვის მიზნით.

პერსონალზე დანახარჯების საბიუჯეტო სტრუქტურა შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან დარგობრივი კუთვნილებიდან გამომდინარე.

პერსონალის მუშაობის ეფექტიანობის შეფასებისას გამოიყენება, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამასთან, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ განსხვავებული ინსტრუმენტები. მაგალითად, რაოდენობრივი შეფასებები შეიძლება ეხებოდეს პერსონალის შედეგიანობის ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა ფულადი ნაკადები ერთ მომუშავეზე. ხარისხობრივი მაჩვენებელი - ხელმძღვანელობისადმი მომუშავეების ლოიალურობის ხარისხი.

პერსონალის კონტროლინგის სისტემაში ხარსხობრივი მაჩვენებლების გაზომვისა და შეფასებისათვის მეთოდების შერჩევას უნდა მიუდგეთ არაფორმალურად. მიზანშეწონილია გამოვიყენოთ გამოკითხვით მონაცემები და ვერბალური საექსპერტო შეფასებები.

მაგალითად, პერსონალის საშუალო ასაკის გამოთვლა საშუალოარითმეტიკული სიდიდებით არაკორექტულია. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამ მეთოდით მიღებული ასაკის არცერთი თანამშრომელი არ მუშაობდეს ორგანიზაციაში. თუ მომუშავეების ნახევარი 25-30 წლისაა, ხოლო დანარჩენი - 50-60 წლისაა, მაშინ საშუალო ასაკი იქნება 40 წელი, მაშინ როდესაც შეიძლება კომპანიაში ასეთი არავინ მუშაობდეს. ამიტომ, სწორი იქნება თუ განვსაზღვრავთ საშუალო ასაკის ინტერვალს. მოცემულ შემთხვევაში გი შეადგენს 30-50 წელს.

ვერბალური (სიტყვიერი) შეფასება უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც მოვლენა ძნელი გასაზომია. მაგალითად, მომუშავეების პასუხისმგებლობის დონე ციფრებში რომ წარმოვიდგინოთ რთულია, როგორც წესი იგი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „დაბა-ლი“. „საშუალო“, „მაღალი“.

საწარმოს საქმიანობის შედეგებსა და პერსონალის შესახებ მონაცემებს შორის დამოკი-დებულების დასადგენად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი, როცა განისაზღვრება რაოდენობრივი დამოკიდებულება მომუშავის მწარმოებლურობასა (დროის ერთეულში გამომუშავება) და კვალიფიკაციას ან მუშაობის შტატს შორის.

პერსონალის კონტროლინგის სისტემაში მთელი ინფორმაცია პერსონალზე გროვდება ერთიან ბაზაში, სტრუქტურირდება და დოკუმენტების სახე ეძლევა. იგი ემსახურება სამუშაო ადგილებისა და კადრების შესახებ მონაცემების მიღებას, დაგროვებას, გადამუშავებას, შეფასებასა და გადაცემას.

პერსონალის კონტროლინგის დოკუმენტალური უზრუნველყოფა გულისხმობს:

- საქმიანობის მიზნების ფორმულირება. მიზნების ნათლად ჩამოყალიბება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს კონტროლინგის ტექნოლოგიის გამოყენებისათვის. ქვედანა-ყოფის მენეჯმენტისათვის განსახორციელებელ მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს კომპანიის მართვის ზემდგომი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება;

- ამ მიზნების ასახვა მაჩვენებელთა სისტემაში;

- საგეგმო საქმიანობა და საგეგმო მაჩვენებლების განსაზღვრა. მოქმედების გეგმა წარმოგვიდგება დროში მიზნისკენ მოძრაობის სახით;

- მაჩვენებლების ფაქტიური მნიშვნელობების რეგულარული გაზომვა (კონტროლი). გეგმის შესრულების კონტროლი ხორციელდება მთელი საგეგმო პერიოდის მანძილზე მაჩვენებლების ფაქტიური სიდიდეების გაზომვით;

- ფაქტიური მაჩვენებლების საგეგმოდან გადახრის მიზეზების გამოვლენა და ანალიზი;

- დადგენილი გადახრების საფუძველზე სამმართველო გადაწყეტილებების მიღება.

პერსონალის კონტროლინგის სამსახურის ადგილი საწარმოში შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

- როგორც კონტროლინგის ცენტრალიზებული სამსახურის შემადგენელი ნაწილი. ამ შემთხვევაში იმის საშიშროება, რომ მისი ხელმძღვანელობა, რომელიც ორიენტირებულია ძირიტადად ეკონომიკურ-საფინანსო მაჩვენებლებზე და ანგარიშგებზე, საშუალებას არ იძლევა შეიქმნას პერსონალის კონტროლინგის სისტემა, რომელიც გაითვალსიწინებდა პერსონალის მენეჯმენტის თავისებურებებს;

- როგორც საშტაბო სტრუქტურა, რომელიც უშუალოდ კომპანიის პირველ პირებს დაექვემ–დებარება;

- შევიდეს პერსონალის განყოფილებაში იმავე რანგით მართვის იერარქიაში, როგორც მაგალითად, განვითარების სამსახური. თუმცა, ამ შემთხვევაში არსებობს იმის საშიშროება, რომ პერსონალის კონტროლინგი დაკარგავს თავის განსაკუთრებულ, კოორდინატორისადასაინფორმაციომხარდამჭერის როლს სხვა ქვედანაყოფებისათვის მომუშავეების მართვის სფეროში;

- როგორც საშტაბო სტრუქტურა, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საწარმოში პერსონალზე პასუხისმგებელ პირს.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ პერსონალის კონტროლინგი არ უნდა გადავაქციოთ ცენტრალიზებულ და სტანდარტიზებულ სისტემად, რომელიც მხოლოდ ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის მონეტარული მაჩვენებლებით შემოიფარგლება. პერსონალის კონტროლინგის ქვედანაყოფმა საკუთარ მუშაობაში უნდა გამოვიყენოს მომუშავეების ფიზიოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საწარმოს მთავარი რესურსის - პერსონალის ობიექტურ შეფასებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Вебер Ю., Шеффер У. Введение в контроллинг: пер. с нем./Под ред. и с предисл. С.Г.Фалько.- М.: Изд-во НП «Объединение контроллеров», 2014.- 416 с., с.30.

2. Контроллинг как инструмент управления предприятием /под ред. Н.Г. Данилочкиной. - М.: Аудит, ЮНИТИ. - 2001. - 279 с.

3. Küpper H.-U.: Controlling – Konzeptionen: Aufgaben, Instrumente: Stuttgart, 2005.

4. Старцева, Н. Н. Аудит и контроллинг персонала : учеб. пособие / Н. Н. Старцева. – Екатеринбург : УрГУПС, 2016.

5. Хан Д. Планирование и контроль: концепция контроллинга //пер. с нем. – М.: Финансы и статистика, 2005. – 800 с.

Personnel controlling and tools for its use in the organization

Alexandre Nachkebia

PhD student of Sokhumi State University

The role of Human Resources has been increasing in every sphere of activity. It is a result of technological progress and increase of requirements set forth to Human Resources. Personnel controlling is the organization's internal planning and controlling system with regards to Human Resources. Because of Personnel Controlling, a company's strategy can be turned into a concrete planned indicators and events. It promotes an effective management of the company's staff.

Controlling instruments include, on the one hand, all the methods and models that can be used for enterprise management. These instruments serve the decision-making process by the managers and later control over its execution. On the other hand, all the methods and supporting means, which help Controlling realize its aims, stand out from the rest of controlling instruments.

ფინანსური გლობალიზაციის ეკონომიკური შედეგები

რევაზ გერაძე,
თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო
პროგრამის დოქტორანტი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი
ელ. ფოსტა: r.geradze@iset.ge,
ტელ: +995 598 12 71 64.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური გლობალიზაციის პროცესი ხასიათდება რიგი დადებითი შედეგებით, იგი მნიშვნელოვანი რისკის შემცველია მცირე ზომის განვითარებადი ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის. შესაბამისად, სახელმწიფოს მიზანია ლიბერალიზაციის პროცესის ეფექტიანი მართვა, რადგან შესაძლო უარყოფითი გავლენები მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, ხოლო პოტენციური დადებითი შედეგები მაქსიმალურად იქნას ათვისებული.

მოცემულ ნაშრომში განხორციელებული ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, ამავე დროს, საერთაშორისო ფინანსური კრიზისები ანელებს ეკონომიკურ ზრდას. ასევე, დადგინდა, რომ წლების მანძილზე საქართველოს ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს ინვესტიციები წარმოადგენს, ხოლო რეალური ექსპორტი და მოხმარება საკმაოდ მცირე როლს თამაშობს ზრდაში.

მიღებული დასკვნების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია და დანაზოგების დონის ზრდის წახალისება. ექსპორტის დივერსიფიკაციის შესაძლებლობების ათვისება, მათ შორის, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ასოცირების შეთანხმების მაქსიმალური გამოყენება და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის გაფართოება არის საგარეო მოთხოვნის დაცემის უარყოფითი ეფექტების მნიშვნელოვანი შემსუბუქების საშუალება. მეორე მხრივ, დანაზოგების დონის ზრდა ჩვენს ქვეყანას საშუალებას მისცემს არ იყოს მუდმივად დამოკიდებული საგარეო კაპიტალზე (არ იყოს კაპიტალის მუდმივი იმპორტიორი) და ამ გზით შეამციროს რეგიონალური კრიზისების დროს კაპიტალის მოულოდნელი გადინების რისკი.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური გლობალიზაცია, ფინანსური კრიზისი, ეკონომიკური ზრდა, ინვესტიცია, ექსპორტი, დანაზოგების დონე.

მიმდინარე ტენდენციების ანალიზი. საქართველოს მსგავსი მცირე ზომის ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. რეგიონში მსყიდველობითი უნარის დაცემას, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, რუსეთის ეკონომიკის შესუსტებასა და დოლარის კურსის გლობალურ გამყარებას მნიშვნელოვანი უარყოფითი გადადინების ეფექტი ჰქონდა საქართველოს ეკონომიკაზე. აღნიშნული ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ექსპორტის მკვეთრ ვარდნაში, ფულადი გადმორიცხვების მოცულობის შემცირებასა და ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურებაში გამოიხატა.

ფულადი გზავნილების მოცულობის კლებამ მნიშვნელოვნად შეამცირა საქართველოს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა, რაც ეკონომიკური აქტივობის შენელების პროცესს აძლიერებს. 2014 წლიდან, კლება იწყო საქართველოდან განხორციელებულმა ექსპორტმაც და გაუარესდა სავაჭრო ბალანსი. აღნიშნულ პერიოდში საქართველოდან ექსპორტის მოცულობის კლება ძირითადად განპირობებული იყო ოთხ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში: აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და უკრაინა ექსპორტის მოცულობის შემცირებით. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან

კრიზისების უარყოფითი გადადინების ეფექტები მნიშვნელოვნად აზარალებს ქართულ ექსპორტს და ფულადი გზავნილების მოცულობას. ეს განსაკუთრებით საგრძნობია უარყოფითი საგადასახდელო ბალანსისა და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურების ფონზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან გამოწვევას საგარეო შოკების მიმართ ქვეყნის მოწყვლადობა წარმოადგენს. მოწყვლადობის ძირითადი წყარო მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი და დოლარიზაციის მაღალი დონეა. საქართველოს ისტორიულად მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი აქვს. 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა და მშპ-ს 13.3% შეადგინა. დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროს და შესაბამისად ფინანსური ანგარიშის მთავარ კომპონენტს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს. 2016 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 74.9% პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსდა[1] .

გრაფიკი №1.

ფინანსური ანგარიშის კომპონენტები, საგადასახდელო ბალანსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

ფინანსური გლობალიზაცია რამოდენიმე არხით შესაძლებელია დაკავშირებული იყოს საერთაშორისო კრიზისებთან. ფინანსურმა გლობალიზაციამ შეიძლება დააზარალოს ქვეყანა თუ ის ზედმეტად ხდება საგარეო ფაქტორებზე დამოკიდებული. ამ ნაშრომში შევეცდებით ფინანსური ლიბერალიზაციის მაღალი დონის პირობებში ვნახოთ რა გავლენა აქვს საერთაშორისო ფინანსური კრიზისების ეპიზოდებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე საგარეო მოთხოვნის შემცირებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ფულადი გზავნილების შემოდინების მკვეთრი შემცირების გზით.

1. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304, 30.07.2017

გრაფიკი №2.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამხსახური, ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სტატისტიკის ეროვნული სამსახურები, http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

თუ განვიხილავთ ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიციას დანახარჯების მიხედვით ვნახავთ, რომ 2010 წლის შემდეგ ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ინვესტიციებია. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის მეორე კვარტლიდან ეკონომიკურ ზრდაში უარყოფითი წვლილი საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტმა შეიტანა, რაც იმპორტის ზრდით იყო გამოწვეული. მომსახურების ექსპორტის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში ტრადიციულად დადებითი იყო.[2]

საქართველოს ეკონომიკისთვის გარდა ინვესტიციების მნიშვნელობისა რათქმაუნდა საგარეო ვაჭრობის უდიდესი როლიც უნდა იქნას განხილული, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში წმინდა ექსპორტის წვლილი ეკონომიკის ზრდაში ძირითადად უარყოფითია. აქ მოცემული კვლევის კონტექსტში მნიშვნელოვანია საგარეო მოთხოვნის დაცემისა და საქართველოდან განხორციელებული საქონლის ნომინალური ექსპორტის კავშირს დავაკვირდეთ. თუ გადავხედავთ ისტორიულ მონაცემებს, ვნახავთ რომ ჩვენი ქვეყნის ექსპორტი პირდაპირ არის მიბმული ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკების მდგომარეობასთან და ექსპორტის დაბალი დივერსიფიკაციის პირობებში რეგიონალური კრიზისები რამოდენიმე კვარტლის დაგვიანებით უარყოფითად აისახება საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტზე.

ეკონომეტრიკული ანალიზი. ეკონომეტრიკული ანალიზის განსახორციელებლად საჭირო მონაცემები მოიცავს 2003-2016 წლების კვარტალურ მაჩვენებლებს და ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ სტატისტიკას. ასევე გამოყენებულია მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური მონაცემები.

მოდელის პროგრამული უზრუნველყოფა ხორციელდება ეკონომეტრიკულ პროგრამა Eviews-ში. ეკონომეტრიკული ანალიზი ორ ეტაპად განხორციელდება: უმცირეს კვადრატთა მეთოდის (OLS) და ცდომილების კორექციის მეთოდის (ECM) გამოყენებით.

რადგან მოდელში მოცემული ცვლადები კოინტეგრირებულები არიან, რასაც ადასტურებს იოჰანსენის კოინტეგრაციის ტესტი (იხილეთ ცხრილი №1), ანალიზისთვის ცდომილების

2. რეალური მოხმარების და ინვესტიციების შეფასებისას გამოყენებულია სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ხოლო რეალური ექსპორტის შეფასებისას მშპ დეფლატორი.

კორექციის მოდელის გამოყენება მოხდება. მათ შორის გრძელვადიან კავშირების არსებობაზე. ცვლადების კოინტეგრირებულობა მიგვანიშნებს

ცხრილი №1

იოჰანსენის კოინტეგრაციის ტესტის შედეგები

Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Trace Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None *	0.532140	87.28302	69.81889	0.0011
At most 1	0.328271	47.02498	47.85613	0.0597
At most 2	0.312574	25.58621	29.79707	0.1306
At most 3	0.105611	6.071739	15.49471	0.6870
At most 4	0.002942	0.156176	3.841466	0.6927

ძირითადი მოდელის აგებამდე, საჭიროა განხორციელდეს დამხმარე ეკონომეტრიკული ანალიზი. პირველ რიგში უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით განვახორციელებთ შეფასებას, რის შემდეგაც მოდელში მიღებულ ცდომილებას გამოვიყენებთ ცდომილების კორექციის მოდელში.

ცხრილი №2

მშპ-ს შეფასების ცდომილების კორექციის მოდელის შედეგები

ცვლადი	კოეფიციენტი	სტანდარტული	t-სტატისტიკა	ალბათობა
D(RMPR(-4))-D(RMPR(-4))				
წარმ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	-0.001342	0.000598	-2.246190	0.0306
DLOG(REER_SA(-1))-DLOG(REER_SA(-5))				
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი	-0.078508	0.051707	-1.518311	0.1372
DLOG(WGDPC_SA(-1))-DLOG(WGDPC_SA(-5))				
მთლიანი ბიუჯეტი	0.485081	0.118898	4.079794	0.0002
DLOG(FDI_SA(-3))-DLOG(FDI_SA(-7))				
პირ	0.012658	0.003915	3.233715	0.0025
RESIDUZ(-4) (ცდომილება)	-0.855584	0.160617	-5.326865	0.0000
Structural051 (ფიქტიური ცვლადი)	0.064970	0.013489	4.816450	0.0000
Crisis083 (ფიქტიური ცვლადი)	-0.105859	0.014307	-7.398968	0.0000
Crisis093 (ფიქტიური ცვლადი)	0.074183	0.014149	5.242870	0.0000
Structural124 (ფიქტიური ცვლადი)	-0.032556	0.013663	-2.382761	0.0223
Structural134 (ფიქტიური ცვლადი)	0.054749	0.013557	4.038796	0.0003
Crisis152 (ფიქტიური ცვლადი)	-0.026453	0.014431	-1.833104	0.0746

R-squared	0.868711	Mean dependent var	-0.000909
Adjusted R-squared	0.834162	S.D. dependent var	0.032786
S.E. of regression	0.013352	Akaike info criterion	-5.599628
Sum squared resid	0.006774	Schwarz criterion	-5.174934
Log likelihood	148.1909	Hannan-Quinn criter.	-5.438500
Durbin-Watson stat	2.282421		

სადაც, RESIDOLS(-4) ცვლადი წარმოადგენს უმცირეს კვადრატთა მეთოდით განხორციელებული ანალოგიური ანალიზიდან მიღებულ ცდომილებას. ხოლო, GDP: არის ლარში გამოსახული საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი; RMPR: არის რეალური მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი; REER: არის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი (%, საბაზისო წელი 2010); WGDPC: არის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების შეწონილი საშუალო მთლიანი შიდა პროდუქტი. წონები გამოთვლილია 2010-2015 პერიოდში აღნიშნული ქვეყნების საქართველოს ექსპორტში არსებული საშუალო მაჩვენებლებით; RG: არის რეალური სახელმწიფო დანახარჯები და წარმოადგენს ნომინალურ დანახარჯებს დაკორექტირებულს სამომხმარებლო ფასების ინდექსით CPI; FDI: არის საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; დამოკიდებული ცვლადი არის ლარში გამოხატული საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ლოგარითმი, განხორციელდა აღნიშნული ცვლადის პირველი რიგის სხვაობა და სეზონურად შესწორება.

ეკონომეტრიკული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, პირველ რიგში, უნდა აღნინიშნოს, რომ ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფუნდამენტური ფაქტორების (რეალური მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი) გაკონტროლების შემდეგ, დამატებით მოდელში ფინანსური ლიბერალიზაციის ცვლადების ჩართვა, როგორებიცაა საგარეო მოთხოვნა, საერთაშორისო ფინანსური კრიზისები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ ცვლის ფუნდამენტური ცვლადების მნიშვნელოვნობას და ფინანსური ლიბერალიზაციის ამსახველი სამივე ცვლადი აჩვენებს მნიშვნელოვან გავლენას საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე. კერძოდ, ცდომილების კორექციის მოდელის თანახმად საგარეო მოთხოვნის მოკლევადიანი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე +0.49-ს წარმოადგენს, შედარებით მოკრძალებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე და +0.013-ს შეადგენს, რაც იმით აიხსნება, რომ მოდელი ვერ ზომავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადადინების ეფექტებს სხვა სექტორებზე. გარდა ამისა, მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკა მგრძობიარედ რეაგირებს საერთაშორისო ფინანსურ კრიზისებზე და ქვეყანაში მომხდარ სტრუქტურულ ცვლილებებზე. 2008-2009 და 2015 წლების კრიზისების ცვლადებს აქვს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე შესაბამისად -0.11; 0.07 და -0.03, ხოლო 2005, 2012 და 2013 წლების სტრუქტურულ ცვლილებებს კი აქვს მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე შესაბამისად +0.06, -0.03 და +0.05 ელასტიურობით.

დასკვნა. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური გლობალიზაციის პროცესი ხასიათდება რიგი დადებითი შედეგებით, იგი მნიშვნელოვანი რისკის შემცველია მცირე ზომის განვითარებადი ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის. შესაბამისად, სახელმწიფოს მიზანია ლიბერალიზაციის პროცესის ეფექტიანი მართვა, რადგან შესაძლო უარყოფითი გავლენები მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, ხოლო პოტენციური დადებითი შედეგები მაქსიმალურად იქნას ათვისებული.

ნაშრომში ჩამოყალიბებულ თეორიულ მოდელში განსახილველად შერჩეულ იქნა საგარეო მოთხოვნის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლადები. ასევე, განხილულ იქნა საერთაშორისო ფინანსური კრიზისების და ქვეყანაში სტრუქტურული ცვლილებების ცვლადების ეფექტები.

ცდომილების კორექციის თეორიული მოდელის საფუძველზე შეფასდა საქართველოს ეკონომიკაზე რეალური მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის, საგარეო მოთხოვნის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და საერთაშორისო ფინანსური კრიზისების ეფექტები. ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, ამავე დროს, საერთაშორისო ფინანსური კრიზისები ანელებს ეკონომიკურ ზრდას. ასევე, დადგინდა, რომ წლების მანძილზე საქართველოს ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს ინვესტიციები წარმოადგენს, ხოლო რეალური ექსპორტი და მოხმარება საკმაოდ მცირე როლს თამაშობს ზრდაში.

მიღებული დასკვნების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია და დანაზოგების დონის ზრდის წახალისება. ექსპორტის დივერსიფიკაციის შესაძლებლობების ათვისება, მათ შორის, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ასოცირების შეთანმების მაქსიმალური გამოყენება და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის გაფართოება არის საგარეო მოთხოვნის დაცემის უარყოფითი

ეფექტების მნიშვნელოვანი შემსუბუქების საშუალება. მეორე მხრივ, დანაზოგების დონის ზრდა ჩვენს ქვეყანას საშუალებას მისცემს არ იყოს მუდმივად დამოკიდებული საგარეო კაპიტალზე (არ იყოს კაპიტალის მუდმივი იმპორტიორი) და ამ გზით შეამციროს რეგიონალური კრიზისების დროს კაპიტალის მოულოდნელი გადინების რისკი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლანიშვილი დ., საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, ივერიონი, თბილისი, 2015.
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2014.
3. მექვაბიშვილი ე., ეკონომიკური ზრდისა და გლობალიზაციის ზემოქმედება ფულად საკრედიტო პოლიტიკაზე საქართველოში, ბანკიN2, თბილისი, 2000.
4. Geradze R., "The Role of Credit Rating Agencies and Spillover Effects of Financial Liberalisation", Journal of Association 1901 "SEPIKE", ed. 15, pp. 62-66, Poitiers, France, 2016.
5. Hall, R. E., "Stochastic Implications of the Life Cycle-Permanent Income Hypothesis: Theory and Evidence," Journal of Political Economy, 86. 971-987, 1978.
6. Ковзанадзе И., Уроки Миравого Экономического Кризиса и Формирование Новой Модели Развития, Тбилиси, 2016.
7. Kovzanadze I. Economic and Banking System Development Trends and Prospects for Countries in Transition, iUniverse, Inc., New York Bloomington, 2008.
8. Kovzanadze I. Systemic and Borderline Banking Crises, Lessons Learned for Future Prevention, iUniverse, Inc., New York Bloomington, 2010.
9. Mckinnon, R. I., "Money and Capital in Economic Development", Washington, D. C.: Brookings Institution, 1973.
10. Mankiw N. G., Campbell J.Y., "Permanent Income, Current Income, and Consumption" Journal of Business & Economic Statistics, , Vol. 8, No. 3, 1990
11. Shaw, E., "Financial Deepening in Economic Development", New York: Oxford University Press, 1973.

internet wyaroebi:

12. www.economy.ge
13. www.geostat.ge
14. www.imf.org
15. www.mof.ge
16. www.nbg.gov.ge
17. http://www.armstat.am/en/
18. http://www.stat.gov.az/
19. http://www.turkstat.gov.tr
20. http://www.gks.ru/
21. http://ukrstat.org
22. http://www.stats.gov.cn

Economic effects of financial globalization

Revaz Geradze
PhD student of
PhD Program in Business Administration of the
Faculty of Economics and Business, TSU
Associate Professor, finance and banking, Business School

Abstract

Despite the positive aspects of financial globalization, it always constitutes significant risks for small open economies. Respectively, the main object of the country is to effectively manage process of financial integration and maximize possible outcomes of the globalization process.

This research studies various views about the effects of the financial liberalization. In the fundamental empirical literature several variables of financial openness are introduced, such as free capital mobility, tax exemptions, free trade indicators ect. Using these and other important financial market and macroeconomic indicators this research suggests that Georgian economy is heavily depended on the development tendencies of the main trade partner countries. At the same time, global financial crises slow economic growth of the country. The research also shows that the main driver of economic growth in Georgia is investments, but real exports and consumption play insignificant role in growth.

According to the conclusions of this work, for further economic growth divercification of the country's economic functions and significant growth in the savings rates are important. The use of export diversification capabilities, including the utilization of deep and comprehensive association agreement with the European Union (DCFTA) and extension of free trade with China is an opportunity to reduce risks of falling foreign demand. On the other hand, the growth of the savings level will not allow our country to be constantly dependent on foreign capital inflows and in this way reduce the risk of sudden outflow of capital during the regional crises.

საქართველოში სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების მენეჯმენტის საკანონმდებლო ბაზის შეფასება

მიხეილ ბაღდავაძე,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი
ტელ: 595 01 61 95
E-mail: mikheilbagdavadze@gmail.com

სტატიაში _ „აქართველოში სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების მენეჯმენტის საკანონმდებლო ბაზის შეფასება“ _ განხილულია საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და 2017 წლის 14 ივნისს დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“. უფრო დეტალურად განხილულია ეს უკანასკნელი და ავტორის მიერ გამოყოფილია ექვსი (3, 6, 18, 23, 26 და 34) მუხლი, რომელთა ჩასწორებას, სრულყოფას და დაზუსტებას იგი საჭიროდ თვლის. მესამე მუხლში იგი იძლევა წინადადებას, რომ გაიშიფროს ინგლისურენოვანი აბრევიატურები, მეექვსე მუხლში არა შესაძლებლად, არამედ, სავალდებულოდ მიიჩნევს სატენდერო კომისიაში გარედან მოწვეული პირის ჩართვას, 23-ე მუხლში მოითხოვს ჩანდეს ელექტრონული გარანტიის სახელით გადახდილი თანხა გამარჯვებულსაც უბრუნდება უკან თუ არა და ა. შ.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვა, ელექტრონული შესყიდვა, კანონი, ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

შესავალი

სახელმწიფო შესყიდვების რეგულირება ყველა ქვეყანაში ხდება. საქართველოში ეს წესი დაინერგა 2006 წლიდან, როცა მიღებული იქნა კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. მაგრამ ამ კანონში არის ბევრი ისეთი მუხლები, რომელბიც მოითხოვენ მეტ სიცხადეს. სწორედ ამ საკითხს ეხება წინამდებარე სტატია.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში ელექტრონულ შესყიდვებს არეგულირებს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ (დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება #12-ით).

საქართველოს კანონში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შევიდა ცვლილება, რომელიც შეეხო ელექტრონულ სახელმწიფო შესყიდვის საშუალებებს (მუხლი 10-1). თუ კანონის ადრეული ვარიანტით ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდებოდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის საშუალებით (მუხლი 10-1, პუნქტი 1), ახალი ვარიანტით „ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონკურსის, ელექტრონული ტენდერის და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით“ [1]. იქვე მითითებულია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით გამარტივებული შესყიდვაც შეიძლება განხორციელდეს ელექტრონულად, თუმცა, სავალდებულო არ არის.

მაშასადამე, საქართველოში როგორც ელექტრონული ტენდერი, კონკურსი და კონსოლიდირებული ტენდერი, ისე გამარტივებული ელექტრონული ტენდერი რეგულირდება საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

ამ კანონის ძალით გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შესყიდვის განხორციელების ვალდებულება შემსყიდველ ორგანიზაციას წარმოეშობა იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო შესყიდვების

კლასიფიკატორის ერთ ერთგვაროვნებაზე წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესაბამისად განსაზღვრული აქვს 5000 ლარზე მეტი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი 200 000 ლარზე მეტი აღმოჩნდება, მაშინ ამ კანონის მიხედვით იგი ვალდებულია შესყიდვა განახორციელოს ელექტრონული ტენდერით. მაშასადამე, საქონლის ან მომსახურების შესყიდვა 5000 ლარიდან 200 000 ლარამდე ღირებულებით შეისყიდება გამარ¬ტივებული ელექტრონული წესით, 200 000-ზე მეტი კი ელექტრონული ტენდერით. თუ საქონლის ღირებულება 5000 ლარზე ნაკლებია, მას ელექტრონული ვაჭრობა არ ეხება [2]. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ზღუდავს ტენდერების გამოყენებას იმ შემთხვევაშიც კი როცა ერთგვაროვნებაზე დასახარჯი თანხის მოცულობა წლის განმავლობაში 5 000 ლარზე ნაკლებია. მაგალითად, თუ შემსყიდველ ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს ლაზერული პრინტერების შესყიდვა (CPV-30232110) საერთო ღირებულებით 3000 ლარი და კომპიუტერის აქსესუარები (CPV-30232110) ღირებულებით 2100 ლარი, რადგანაც ეს ორი შესყიდვის ობიექტი ერთგვაროვანია (მათი CPV კოდები 302-ზე იწყება) და ჯამში 5 000 ლარს სცდება ამ შემთხვევაში შესყიდვის საშუალებად გამოყენებულ უნდა იქნას გამარტი-ვებული ელექტრონული ტენდერი ხოლო იმ შემთხვევაში თუ მაგალითად, წლის განმავ¬ლობაში დაგეგმილია კომპიუტერის მაგიდები (CPV-39134100) ღირებულებით 120 000 ლარი და საარქივე თაროები (CPV – 39134100) ღირებულებით 81 500 ლარი გამოყენებულ უნდა იქნას ელექტრონული ტენდერი რადგანაც ორივე შესყიდვის ობიექტი ერთგვაროვანი საქონელია სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკატორის მიხედვით (CPV – 39100000) და შესაბამისად მათი ღირებულება წლის განმავლობაში ჯამურად 200 000 ლარს აჭარბებს [3, გვ. 198]. აქვე ის გარემოებაც უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვის ობიექტის განსაზღვრის დროს მნიშვნელობა არა აქვს შესყიდვა ერთჯერადად განხორციელდება თუ დაიყოფა და რამდენიმე ეტაპად მოხდება შესყიდვა.

იგივე კანონი არეგულირებს კონკურსს (მუხლი 10-2), ელექტრონულ ტენდერს (მუხლი 11-19) და კონსოლიდირებულ ტენდერს (მუხლი 20-2), რადგან საქართველოს სახელმწიფო ელექტრონულ შესყიდვებში ძირითადი ხვედრითი წონა ელექტრონულ ტენდერებს უკავია, და, რადგან ელექტრონული ტენდერების ჩატარების წესი ახალი დამტკიცებულია (14.06.2017 წ.) მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ამ წესის უფრო დეტალურად განხილვა. ეს წესი 43 გვერდის მოცულობისაა და 41 მუხლისგან შედგება [4]:

მუხლი 1 _ წესის მიზანი.

მუხლი 2 _ ტერმინთა განმარტებები.

მუხლი 3 _ ელექტრონული ტენდერის ჩატარების მეთოდები საქართველოში.

მუხლი 4 _ ელექტრონული ტენდერის ჩატარების პრინციპები.

მუხლი 5 _ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები.

მუხლი 6 _ სატენდერო კომისია.

მუხლი 7 _ მიმოწერა შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის.

მუხლი 8 _ განმარტების მიღების უფლება.

მუხლი 9 _ ალტერნატიული შესყიდვა.

მუხლი 10 _ ელექტრონული ტენდერის ერთობლივად ჩატარება.

მუხლი 11 _ ელექტრონული ტენდერის ჩატარება პრეისკურანტის საფუძველზე.

მუხლი 12 _ ელექტრონული ტენდერის შეჩერება და შეწყვეტა.

მუხლი 13 _ სისტემის გაუმართაობა.

მუხლი 14 _ სისტემაში შემსყიდველი ორგანიზაციის არასწორი ქმედების ტექნიკური კორექტირება.

მუხლი 15 _ სატენდერო პირობების დამტკიცება.

მუხლი 16 _ სატენდერო განცხადება.

მუხლი 17 _ სატენდერო დოკუმენტაცია.

მუხლი 18 _ მოთხოვნები მიმწოდებლისადმი. შესყიდვის ობიექტის აღწერის წესი.

მუხლი 19 _ სატედნერო პირობებში ცვლილებების შეტანა.

მუხლი 20 _ სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადები.

მუხლი 21 _ სატენდერო წინადადების წარდგენა.

მუხლი 22 _ საფასური.

მუხლი 23 _ ელექტრონული გარანტია.

მუხლი 24 _ ელექტრონულ ტენდერში ამხანაგობის მონაწილეობა.

მუხლი 25 _ მიმწოდებელთა შეფასების ზოგადი წესი.

მუხლი 26 _ მიმწოდებელთა რანჟირება.

მუხლი 27 _ ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასების წესი.

მუხლი 28 _ ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტების შეფასების წესი.

მუხლი 29 _ გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენა.

მუხლი 30 _ სარეგისტრაციო (უფლებრივი) მონაცემების ამსახველი დოკუმენტების შეფასების წესი.

მუხლი 31 _ ხელშეკრულების დასადებად მიწვევა.

მუხლი 32 _ ხელშეკრულება.

მუხლი 33 _ ხელშეკრულების დადება გამარჯვებულ მიმწოდებელთან,

მუხლი 34 _ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

მუხლი 35 _ ანაგრიშსწორების პირობები.

მუხლი 36 _ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

მუხლი 37 _ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

მუხლი 38 _ ხელშეკრულების სტატუსი.

მუხლი 39 _ ტენდერის ჩატარება ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონა¬ცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე.

მუხლი 40 _ ელექტრონული ტენდერის განსხვავებული წესით ჩატარება სამუშაოს შესყიდვის მიზნით.

მუხლი 41 _ ელერტრონული ტენდერის ჩატარება პრეკვალიფიკაციით.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, რადგან ეს დოკუმენტი მეტად მასალატევადია (43 გვერდი), ამიტომ, მოცემულ კოლოკვიუმში ჩვენ განვიხილავთ და შევაფასებთ მის ზოგიერთ მუხლებს, რომლებიც ჩვენი თვალთახედვით დაზუსტებას, სრულყოფას, ანდა შეცვლას ექვემდებარება. ასეთებად ჩავთვალეთ მუხლები 3, 6, 18, 23, 26, 34.

მუხლი 3 _ ელექტრონული ტენდერის ჩატარების მეთოდები. ამ მუხლში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ოთხმა აბრევიატურამ - SPA, NAT, DAP, MEP da TEP. ისინი შეესაბამება ელექტრონული ტენდერის ჩატარების რომელიღაც წესს. მაგალითად, ელექტრონული ვაჭრობა დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე აღინიშნება NAT -ით, ელექტრონული ვაჭრობა სამუშაოს შესყიდვის მიზნით_DAP-ითდა ა.შ.საჭიროიყოამდოკუმენტის შემდგენლებს იქვე, სადაც ეს აბრევია¬ტურები არის დაფიქსირებული ფრჩხი¬ლებში ინგლისურ-ქართულად გაეშიფრათ ისინი. ამაზე უკეთესი კი ის იქნებოდა, თუ აბრევიატურები ქართულად შეიქმნებოდა და არა ინგლისურად.

მუხლი 6 _ სატენდერო კომისია. ამ მუხლებში ვკითხულობთ: „ელექტრონულ ტენდერს ატარებს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული სატენდერო კომისია“. უპირველესად საჭირო იყო დასახელებულიყო თვითონ კანონი („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“), რომ წამკითხველისთვის გასაგები ყოფილიყო თუ რომელ კანონზეა საუბარი. ამის გარდა, ამ კანონის მე-11 მუხლის 1-3 პუნქტით ვიგებთ, რომ სატედნერო კომისია მთლიანად შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლე¬ბიდან აირჩევა. მხოლოდ მე-5 პუნქტი გვამცნობს, რომ „სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიაში ექსპერტებად და კონსულტანტებად სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები“. ასეთ დროს საზღვარგარეთ საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეულია სწორედ სატენდერო კომისიაში დამოუკიდებელ ანუ მიუკერძოებელ პირთა (არა აქვს მნიშვნელობა იგი ექსპერტი იქნება, კონსულტანტი თუ სხვა) ჩართვა გარედან. მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული კომისია, თანაც როცა ამავე კანონის ძალით ამ კომისიის თავმჯდომარედ ან თვითონ შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელია ან მის მიერ დანიშნული პირი, რაღა თქმა უნდა, მიუკერძოებელი ვერ იქნება. ასეთი კომისია უკვე კომისია კი არ არის, არამედ არის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანამოაზრეთა გუნდი, ამიტომ იგი კორუფციის საშიშროების ელემენტებს შეიცავს. თუ მასში გარედან ჩაერთვება დამოუკიდებელი წევრი, რომელსაც ექნება არა სათათბირო ხმა, არამედ, სრული ხმა, მაშინ ამის საშიშროება შემცირდება (შევნიშნავთ, რომ საზღვარგარეთის პატარა ქვეყნები _ ანდორა, ლუქსემბრუგი და სხვები, ამ დამოუკიდებელ წევრად არა თავისივე მოქალაქეს, არამედ სხვა ქვეყნის მოქალაქეს იწვევენ. ჩვენს მიერ ამის გათვალისწინებაც არ იქნება ურიგო).

მუხლი 18 _ მოთხოვნები (პრეტენდენტებისადმი) და შესყიდვის ობიექტის აღწერის წესი. ამ მუხლში (პუნქტი 3) ვკითხულობთ: „პრეტენდენტთა მიმართ მოხოვნები შესაძლებელია დადგინდეს მათი ცოდნის, გამოცდილების, სანდოობის, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასების მიზნით“. ჩვენი აზრით, წინადადებაში სიტყვა „შესაძლებელია“ უნდა ამოღებულ იქნეს. მოცემული წინადადება ასე უნდა ჩასწორდეს „პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნები დგინდება მათი ცოდნის, გამოცდილების, სანდოობის, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასების მიზნით“.

მუხლი 23 _ ელექტრონული გარანტია. ეს

არის სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით მომწოდებლის (პრედენტენდის) მიერ შესყიდვების სააგენტოსთვის სისტემის მეშვეობით წარდგენილი გარანტირების მექანიზმი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით (მუხლი 2, პუნქტი 3-2). მაშასადამე, მიმწოდებელი ტენდერში მონაწილეობისთვის იხდის წინადადების წარდგენის 50 ლარ საფასურსაც (მუხლი 22) და ელექტრონულად საგარანტიო თანხასაც _ შესასყიდი საგნის ღირებულების 1%-ს. თუ შესასყიდი საგანი სავარაუდოდ შეფასებულია 200 000 ლარად, მაშინ მის ყველა მიმწოდებელმა, რომლებმაც ტენდერში შეიტანეს წინადადება ამ საგნის მიწოდებაზე თითოეულმა უნდა გააიხადოს 2050 ლარი. აქედან, 50 ლარი წინადადების საფასურია, 2000 ლარი კი წინადადების უზრუნველყოფის გარანტია. მთელი ეს მუხლი ისეა აგებული, რომ ფაქტიურად ძნელი გასაგებია, რისთვის იხდიან მიმწოდებლები 2000 ლარს. როგორ უნდა გავიგოთ „წინადადების უზრუნველყოფა“? 23-ე მუხლის მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ ელექტრონული ტენდერისთვის შემდეგი სტატუსების _ „ხელშეკრულება დადებულია“, „ტენდერი შეწყვეტილია“, „ტენდერი უარყოფითი შედეგით დასრულებულია“ _ მინიჭებიდან 10 დღის ვადაში პრეტენდენტებს უბრუნდებათ ელექტრონული გარანტია (გარდა იმათი ვისი დისკვალიფიცირებაც მოხდა და ვინც ელექტრონული ვაჭრობის მიმდინარეობისას უარი თქვა სატენდერო წინადადებაზე). არც მოცემულ მუხლში და არც სხვაგან არ ჩანს გამარჯვებულ პრედენტენსაც უბრუდნება უკან ელექტრონული გარანტიის სახელით გადახდილი თანხა?

მუხლი 26 _ მიმწოდებელთა რანჟირება. ამ მუხლის მე-2 პუნქტში ვკითხულობთ: „იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტი ელექტრონულ სისტემაში მიუთითებს წინადადების ყველაზე დაბალ ფასს, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა ყველაზე დაბალი ფასი“. ჩვენი აზრით, ეს ეხება ისეთ შემთხვევას, როცა ეს დაბალი ფასი ერთნაირია. ეს ამ განმარტებაში გამორჩენილია. და მეორე, თუ პრეტენდენტებმა ელექტრონულ სისტემაში ერთდროულად დააფიქსირეს ეს დაბალი ფასი, მაშინ როგორ ხდება გამარჯვებულის არჩევა? განმარტებაში არც ეს არის ნაჩვენები.

მუხლი 34 - ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. ამ მუხლის 2-ა პუნქტში ვკითხულობთ, რომ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვრება 2%-დან 5%-ის ჩათვლით. იმავე მუხლის მე-4 პუნქტში ვკითხულობთ: „შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენისგან შესაძლებელია გათავისუფლდეს გამარჯვებული პრეტენდენტი მისი საქმიანი რეპუტაციის და მის მიერ წარმოებული საქონლის მომსახურების ან/და შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით, აგრეთვე თეთრ სიაში რეგისტრირებული მომწოდებელი“.

ჩვენი აზრით, ეს პუნქტი საერთოდ ამოსაღებია ამ მუხლიდან. ჯერ ერთი, ტენდერში მონაწილეობის მიღება ეკრძალებათ შავ სიაში რეგისტრირებულებს, მეორეც თუ საქართველოს სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაცია „ვიღაც - ვიღაცეებს“ გაანთავისუფლებს ხელშეკრულების შესრულების“ უზრუნველყოფის საგარანტიო თანხის გადახდისგან, ამ „ვიღაც _ ვიღაცეებში“ უპირველესად მოხვდებიან სატენდერო კომისიის თავჯდომარისთვის ცნობადი სახეები. ეს მუხლი აუცილებლად გახდება კორუფციის წყარო. ამიტომ არავის არ უნდა მიეცეს შეღავათები. ნებისმიერ გამარჯვებულისთვის პირობები უნდა იყოს ერთნაირი, ან ყველამ უნდა გადაიხადოს, ან - არავინ.

ჩვენ ვთვლით, რომ თუ საქართველოში ელექტრონული ტენდერის ჩატარების 2017 წლის 14 ივნისს დამტკიცებული წესი ჩვენი და სხვა მეცნიერების შენიშვნების და სურვილების მიხედვით ჩასწორდება, იგი მიიღებს უფრო სრულყოფილ სახეს და კორუფციის სურვილს დაუკარგავს მის მონაწილეებს. ელექტრონული ვაჭრობის ყველაზე დიდი სარგებელი კი სწორედ ის არის, რომ ვაჭრობა მიმდინარეობს გამჭირვალედ, საჯაროდ, ყველას შეუძლია კომპიუტერის მეშვეობით მისი თვალყურის მიდევნება.

დასკვნა

ამრიგად, ჩვენ შევაფასეთ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. ჩვენი აზრით, კანონის ექვსი მუხლი სრულყოფას და დაზუსტებას მოითხოვს. ეს მუხლებია 3, 6, 18, 23, 26, 24. კანონის მე-3 მუხლში ინგლისური აბრევიატურებია გასაქართულებელი, მე-6 მუხლს სასურველია დაემატოს მიუკერძოებელი პირის ჩართვა სატენდერო კომისიაში და ა. შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.matsne.gov.ge
2. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. თბ., 2006, მუხლი10-1, პუნქტი 2
3. კიკვაძე ო.შესყიდვების ადმინისტრაცია. თბ., 2017, გვ. 198.
4. ელექტორნული ტენდერის ჩატარების წესი. www.procurement.gov.ge

THE EVALUATION OF LEGISLATION BASE OF STATE ELECTRONIC PURCHASE MANAGEMENT IN GEORGIA

MIKHEIL BAGDAVADZE
Doctoral of Georgian Technical University

SUMMARY

In the article - The evaluation of legislation base of state electronic purchase management in Georgia it is considered Georgian law “About State purchasing” and “The rule of electronic Tender” which was proved in 2017 14th of June. The last one is discussed in details and the author separates six (3, 6, 18, 23, 26, 34) paragraphs which should be corrected and accurated. In the third paragraph he offeres us to decipher English abbreviations, he thinks that it is obligatory to involve another person from outside in the tender commission, in the 6th paragraph, he demands that it must be seen in the 23d paragraph if the winner can return their sum paid as the name of electronic guarantee and etc.

Key words: State purchase, Electronic purchase, Law, Electronic Tender, Simplified electronic Tender.

საქართველოში ეკონომიკური განათლების რეფორმის შესახებ (საკუთარი გამოცდილების მიხედვით)

მიხეილ ჯიბუტი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი.
ელ.ფოსტა: m_djibuti@yahoo.com

საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991წ.) უწყვეტად მიმდინარეობს რეფორმები უკლებლივ ყველა სფეროში. ბევრ შემთხვევაში რეფორმები მერამდენჯერმე ხორციელდება პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილების მიხედვით. ქვეყანაში სახეზეა რეფორმების კრიზისი. ერთ-ერთი ყველაზე რთული ფორმა მიიღო რეფორმებმა განათლების სფეროში. სწორედ ამ სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებაა საუბარი სტატიაში. ავტორი პროცესებში უშუალო მონაწილეა და შიგნიდან დანახული მოვლენების საფუძველზე განაზოგადებს საკუთარ გამოცდილებას.

1. შესავლის მაგიერ - ჩემი გამოცდილება

თავიდანვე უნდა ავღნიშნო, რომ ჩვენი თხრობა, უმაღლესი განათლების ტრანსფორმაციაზე პოსტსაბჭოთა პერიოდში, ეფუძნება ამ სისტემისა და მისი გარდაქმნის პროცესების ცოდნას შიგნიდან, ჯერ როგორც სტუდენტისა და ლექტორის საბჭოთა კავშირის პერიოდში და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, და დღემდე, როგორც პროფესორის.

საბჭოთა კავშირის დროს, 1972 – 1977 წლებში მე ვსწავლობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტებში. დავამთავრე ამ უკანასკნელის ეკონომიკის ფაკულტეტი პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით. 1977-1980 წლებში დავამთავრე ასპირანტურა. დავიცავი დისერტაციები საბჭოთა კავშირის დროს მიღებული ორსაფეხურიანი სამეცნიერო ხარისხებიდან ორთავეს - მეცნიერებათა კანდიდატისა და მეცნიერებათა დოქტორის ხარისხების მოსაპოვებლად. 1980 წელს გავხდი ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო 1990 წელს - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. 1979 წლიდან ვეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას, ჯერ როგორც მასწავლებელი, შემდეგ - დოცენტი (1980 წლიდან), 1991 წელს გავხდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. თუმცა, როგორც პროფესორი, საქმიანობა დავიწყე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და დღემდე მიკავია ეს თანამდებობა სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ამჟამად ვარ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, სწავლების სამივე საფეხურის - ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის - ეკონომიკის მიმართულების ხელმძღვანელი. 2005-2006 წლებში ვიყავი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი.

ამრიგად, ჩემი ნარატივი ეფუძნება უწყვეტ მონაწილეობას უმაღლესი განათლების სფეროში 46 წლის მანძილზე, აქედან 19 წელი - საბჭოთა კავშირის პერიოდში და 27 წელი პოსტსაბჭოთა პერიოდში. უკანასკნელი პერიოდი მოიცავს გამოცდილებას საქართველოში, რომელიც იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არსებულ 15 ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკათა შორის და რომელმაც 1991 წელს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა[1]. ამასთან, ჩემი გამოცდილება საქართველოს ეკონომიკის მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის წევრის პოზიციებიდან პოსტსაბჭოთა პერიოდში

1. სსრკ - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. მასში შედიოდა 15 რესპუბლიკა: რსფსრ - რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ბელორუსის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, მოლდოვას, ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

განათლების სისტემის დემონოპოლიზაციის განხორციელებასა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილეობის გამოცდილებასაც მოიცავს.

2. განათლების სისტემის საბჭოთა კონტექსტი

თავშივე უნდა ითქვას, თუ რა სისტემა იყო საბჭოთა უმაღლესი განათლების სისტემა, რომ გავიგოთ განსაბჭოების (დესოვეტიზაციის) პროცესი.

საბჭოთა კავშირის დროს განათლების სისტემა:

1. იყო მონოპოლიზებული სახელმწიფოს მიერ. განათლების ყველა დაწესებულების, დაწყებული ბავშთა ბაღებით (სკოლამდელი დაწესებულებები) და დამთავრებული ასპირანტურით, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსებით, უკლებლივ ყველა მათგანის საქმიანობის განსაზღვრა ხდებოდა ცენტრალიზებულად, ერთიანი წესებითა და ინსტრუქციებით, სტანდარტიზებული სასწავლო პროგრამებითა და გეგმებით. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ბაგა-ბაღი, ყველა სოფლის სკოლა და ყველა უმაღლესი სასწავლებელი (უნივერსიტეტი, ინსტიტუტი) იმართებოდა მოსკოვიდან, რა თქმა უნდა, გაშუალებული რგოლების გამოყებებით.

2. იყო სახელმწიფო საკუთრება. კერძო საკუთრების სასწავლო დაწესებულებები არ არსებობდა. უფრო მეტიც, აკრძალული იყო კერძო პედაგოგიური პრაქტიკა. მოსწავლეთა მომზადება მასწავლებელთან (რეპეტიტორობა) იყო აკრძალული და მასწავლებელი, რომელიც ასეთ საქმიანობას ეწეოდა, ითვლებოდა დამნაშავედ. რეპეტიტორობა, რა თქმა უნდა, არსებობდა, მაგრამ წარმოადგენდა აკრძალულ საქმიანობას, ისე როგორც ნარკოტიკებით, ან იარაღით ვაჭრობა (ამიტომ რეპეტიტორობა ხორციელდებოდა „იატაკქვეშეთის“ პრინციპით).

3. იყო იდეოლოგიზებული. სწავლება უნდა დაფუძნებოდა და განხორციელებულიყო საბჭოთა კავშირში მმართველი (და ერთადერთი) პარტიის იდეოლოგიას. საბჭოთა კავშირში ერთპარტიული სისტემა იყო. მმართველი პარტია იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია (სკკპ). სკკპ ფორმალურად უშუალოდ არ მონაწილეობდა მართვის პროცესებში, თუმცა არაფორმალურად აკონტროლებდა ყველაფერს დეტალებამდე. არაფორმალური მართვა დაფუძნებული იყო პრინციპზე „სკკპ მართავს ქვეყანას მისი წევრების მეშვეობით“. ყოველი წამყვანი თანამდებობა, როგორც წესი, სკკპ წევრებს ეკავათ და მათი უმთავრესი საზრუნავი იყო კომუნისტური პარტიის იდეოლოგიის დაცა ყველგან, ყველაფერში და ყველას მიერ. ეს იდეოლოგია იყო კომპარტიის მიერ თავისი მოქმედების საფუძვლად გადაქცეული მარქსიზმ-ლენინიზმი. ის, დაფუძნებული კ.მარქსისა და ფ.ენგელსის შეხედულებებზე, ჩამოყალიბებული ვ.ი.ლენინისა, და მის შემდეგ განვითარებული ი.ბ.სტალინისა და კომპარტიის, პარტიული დადგენილებებით განმტკიცებული, წარმოადგენდა მოქმედებათა სავალდებულო ჩარჩო პრინციპებს ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროსათვის.

შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებელს უნდა ეფუნქციონერა მარქსიზმ-ლენინიზმის მოთხოვნების შესაბამისად და განეხორციელებია მარქსიზმ-ლენინიზმის საყოველთაო სწავლება.

მარქსიზმი, ვ.ი.ლენინის მიხედვით შედგება „სამი წყაროსა და სამი შემადგენელი ნაწილისაგან.“ სამი წყაროს ქვეშ იგულისხმებოდა: გერმანული კლასიკური ფილოსოფია, ინგლისური (ბურჟუაზიული) პოლიტიკური ეკონომია და ფრანგული უტოპიური სოციალიზმი, ხოლო სამი შემადგენელი ნაწილის ქვეშ: მარქსისტული ფილოსოფია (დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული კომუნიზმი). მარქსიზმ-ლენინიზმი ყველას უნდა ესწავლა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ეს სამი შემადგენელი ნაწილი ისწავლებოდა უმაღლეს სასწავლებლებში ყველგან და ყველა სპეციალობაზე, ერთნაირი პროგრამითადაერთიდაიგივესახელმძღვანელოთი.

განათლების სისტემის მონოპოლიზებაც ამაში იყო გამოხატული. სწავლების ერთიანი საგანმანათლებლო პროგრამა და საგნის სწავლების გეგმა, სასწავლო კურსის პროგრამა (დღეს გამოყენებადი ტერმინოლოგიით: კურიკულუმებისა და სილაბუსები) დამტკიცებული იყო ცენტრში (მოსკოვში) და შემდეგ ხდებოდა მისი დაყვანა ადგილებზე.

უკვე მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ი.სტალინი დიდ ყურადღებას უთმობდა მარქსისტულ-ლენინური სწავლების ერთიანი სისტემის შექმნას. ეწყობოდა ე.წ. საკავშირო დისკუსიები, რომლის საფუძველზეც ხდებოდა სტანდარტული სახემძღვანელობის შექმნა. ასე მაგალითად, პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს შექმნის მიზნით ჩატარდა 1951 წლის ეკონომიკური დისკუსია, რომელსაც თვითონ ი.სტალინი ხელმძღვანელობდა. პოლიტიკური ეკონომიის ეს სახელმძღვანელო საბჭოთა კავშირში იყო ნორმატიულად დამტკიცებული და

გამოიყენებოდა 1988 წლამდე! სულ 2-3 დამხმარე სახელმძღვანელო გამოვიდა მასთან ერთად და მის შემდეგ პოლიტეკონომიაში.

მარქსიზმ-ლენინიზმი თვითკმარ სისტემად იყო წარმოდგენილი,რომელიცსაზოგადოების,ბუნებისა და აზროვნების შესწავლას უზრუნველყოფს. დადგენილი იყო, რომ ის ამასთან ადგენს კანონზომიერებებს ფილოსოფიის, ეკონომიკის სხვა სოცალურ სფეროებში, და წარმოადგენს ერთადერთ ჭეშმარიტ მეცნიერულ სისტემას. ამ პარადიგმიდან გამომდინარე უარყოფილი იყო სხვა მეცნიერული სისტემების სწავლება, ან თუ განიხილებოდა ასეთი, მხოლოდ კრიტიკის მიზნით (მაგალითად, ბურჟუაზიულ ეკონომიკურ თეორიათა კრიტიკა).

მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება თუ ჩემი სტუდენტობის დროს (გასული საუკუნის 70-იან წლებში) გამოიხატებოდა უკმაყოფილებაში, რომ რასაცვსწავლობთრეალობასარასახავს(მაგალითად, „სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია“), 80-იანი წლების დასაწყისში უკვე ხშირი იყო საუბარი მათ არა საჭიროებასა და არაშედეგიანობაზე (განსაკუთრებით უკმაყოფილებას გამოხატავდნენ საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და სხვა სპეციალობის წარმომადგენლები, ეკონომისტებსა და ფილოსოფოსებთან შედარებით. ამ უკანასკნეთა შორის იზრდებოდა კრიტიციზმი, განსაკუთრებით 1980 წლის შემდეგ, რომელიც სკკპ პარტიის 1961 წლის პროგრამით კომუნიზმში შესვლის თარიღად იყო გამოცხადებული და რომელსაც საბჭოთა კავშირი სამომხმარებლო საქონლის ტოტალური დეფიციტით შეხვდა). 80-იანი წლების ბოლოს მარქსიზმ-ლენინიზმის კრიტიკა საბჭოთა კავშირის კრიტიკის სისტემური ნაწილი გახდა. მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლებამ სრული დისკრეტიზაცია განიცადა. საყოველთაო გახდა მისი სწავლების გაუქმების მოთხოვნა. პროცესების შემდგომი განვითარების შესახებ ჩვენ ვიმსჯელებთ არა ზოგადად მარქსიზმ-ლენინიზმზე, არამედ პოლიტიკური ეკონომიის მაგალითზე, რადგანაც 80-იან წლებში ამ საგანს ვასწავლიდი.

4. იყო უფასო. განათლების მომსახურების ხარჯები მთლიანად იფარებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება ხდებოდა მისაღები გამოცდების მეშვეობით. იყო სწავლების დასწრებული და დაუსწრებელი ფორმები. საბჭოთა კავშირის დროს უმუშევრობა დეკრეტულად არ არსებობდა და ამასთან, შრომითი საქმიანობა ნებაყოფლობითი კი არა, არამედ სავალდებულო იყო. შრომითი ვალდებულების სფეროში ხვდებოდა სტუდენტების კატეგორიაც. დასწრებული სწავლებისას იყო დღის და საღამოს სწავლება. დასწრებული სწავლების სტუდენტები გათავისუფლებული იყვნენ შრომით ვალდებულებებისაგან, უფრო მეტიც მათ არ შეეძლოთ ეშრომათ სრული და მუდმივი დატვირთვით და ყველა მათგანი ღებულობდა სახელმწიფო სტიპენდიას. წარჩინებულთა სტიპენდია იყო უფრო მაღალი. შედარებისათვის: სახელობითი სტიპენდია იყო უფრო მაღალი, ვიდრე ზოგიერთი ხელფასი. მე ვიღებდი კარლ მარქსის სტიპენდიას 100 რუბლის ოდენობით, ხოლო დამხმარე მუშაკთა ხელფასი იყო 60 რუბლი.

საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებს ევალებოდათ რომ ეშრომათ და ისინი სტიპენდიას არ იღებდნენ.

3. როდის დაისვა განათლების საბჭოთა სისტემის გარდაქმნის საკითხი?

მთლიანად საბჭოთა კავშირში და საქართველოში 1988-1989 წლებში არასტაბილური მდგომარეობა იყო. საქართველო მოიცვა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. საბჭოთა კავშირის სისტემურ კრიზისს საქართველოში ეროვნული განთავისუფლების საუკუნოვანი მოძრაობის მიზნის მიღწევის საშუალებად განიხილავდნენ. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის იდეას საყოველთაო მხარდაჭერა ჰქონდა. საქართველოში განვითარდა პროცესები: 1988 წლის ნოემბრის მასობრივი შიმშილობა; 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია , როდესაც საბჭოთა ჯარისკაცებმა მშვიდობიანი მომიტინგეები დახოცეს; 1990 წლის 28 ოქტომბერს პირველი მრავალპარტიული არჩევნები; 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმით საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე; 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი უმაღლესი საბჭოს მიერ; სამხედრო კონფლიქტები და დაუმორჩილებალი ანკლავების შექმნა აფხაზეთში (1992-1993); ცხინვალის რეგიონში (1991-1992)... რთული პროცესები მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, რასაც შედეგად მოჰყვა მისი დაშლა. 1991 წლის 26 დეკემბერს სსრკ უმაღლესი საბჭოს რესპუბლიკების საბჭომ მიიღო დეკლარაცია სსრკ არსებობის შეწყვეტის შესახებ. მთელი სახალხო ენერგია მიმართული იყო საზოგადოებრივ - სახელმწიფოებრივი და ეროვნული საკითხებისადმი.პირველი რიგის ამოცანები იყო: საბჭოთა კავშირის

დაშლა, ეროვნული სახელმწიფოს შექმნა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, კომუნისტური პარტიის დიქტატურისაგან განთავისუფლება, რასაც მოგვიანებით განათლების სისტემის ცვლილებაც მოჰყვა.თუმცა განათლების სისტემის ცვლილების საკითხი სტიქიურად 1991 წლამდე - საბჭოთა კავშირის დაშლამდე დაისვა. უკვე 1988-1990 წლებში სტუდენტები პროტესტს აცხადებდნენ „საბჭოთა საგნების“ – „სკკპ ისტორია“, „პოლიტიკური ეკონომია“, „მეცნიერული კომუნიზმი“,“დიალექტიკური მატერიალიზმი“. ამ დროს მე პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე ვმუშაობდი. კათედრაზე იყო რამოდენიმე მასწავლებელი, რომელთაც ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული მეორე მსოფლიო ომში. ძირითადი მასა პროფესორ-მასწავლებლებისა კი შეადგენდა ომის შემდეგ უმაღლეს დამთავრებულთა თაობას. ცოტანი ვიყავით ახალგაზრდები. უფროსი თაობის პროფესურა თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირში არსებული პრობლემები ხელოვნურია და გამოწვეულია ცუდი მმართველობით. მათი რწმენით შეიძლებოდა საბჭოთა სოციალიზმის გაუმჯობესება.ახალგაზრდების აქცენტი უფრო ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისადმი იყო მიპყრობილი. თუმცა ყველანი კათედრაზე მომხრე იყო „პოლიტიკური ეკონომიის კათედრის“ შენარჩუნების, მაშინ როდესაც სტუდენტთა უმრავლესობა და დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში მოსული პირები (მათ შორის ჩვენი კათედრის ყოფილი წევრებიც) პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დახურვას მოითხოვდნენ, თანაც აგრესიულად. პროფესურა გამარჯვებული თაობის წარმომადგენლები იყვნენ. მათ ეამაყებოდათ ფაშიზმზე გამარჯვება, კოსმოსში გაფრენა რომ მათი ახალგაზრდობის პერიოდის მოვლენები იყო. გული წყდებოდათ, მაგრამ გამოსწორებადად თვლიდნენ საღეჭი რეზინისა და სიგარეტის დეფიციტს. ეს იყო თაობა, რომელმაც გამოსცადა გაჭირვება და ეხლა გაჭირვების, შიმშილის პრობლემა მოხსნილი ჰქონდათ. ახალგაზრდები, მათი შვილების თაობა კი გაიზარდა გარემოში, სადაც არ იყო უმუშევრობა, შიმშილი, არ იდგა ბიოლოგიური არსებობის საფრთხე, სწავლა ხელმისაწვდომი იყო ყველასათვის, სტუდენტებს ჰქონდათ სტიპენდია და საერთო საცხოვრებლები, უმაღლესის დამთავრების შემდეგ გარანტირებული ჰქონდათ სამუშაო (ხდებოდა კურსდამთავრებულთა განაწილება), მაგრამ არ ჰყოფნიდათ თავისუფლება, მათთვის მიუღებელი ხდებოდა ყველაფრის, მათ შორის პირადი ცხოვრებისა და პირადი მოხმარების კონტროლიც-კი. მუშაობდა დასავლეთის პროპაგანდა. ახალგაზრდებს მიაჩნდათ, რომ ისინი გარიყულები იყვნენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობისაგან.ეს იყო თაობა, რომელსაც შიმშილი არ ენახა- ეს იყო პირველი გამძღართა თაობა საბჭოთა კავშირში. მან წარმოშვა ყველაზე მეტი დისიდენტური-ანტისაბჭოთა აზროვნება.ამას ემატებოდა ეროვნული მოძრაობა.

არგუმენტებმა, რომ „პოლიტიკური ეკონომია“ არ არის მარტო საჭოთა მოვლენა, არ გაჭრა. მასობრივად ჩამოხსნეს აბრები წარწერით „პოლტეკონომიის კაბინეტი“, „პოლიტიკური ეკონომიის კათედრა“. შეწყდა პოლიტეკონომიის სწავლება არაპროფილურ უნივერსიტეტებსა და ფაკულტეტებზე. სტიქიურადვე დაიწყო პროფესურის ადაპტაცია სტიქიურად განვითარებადი პროცესებისადმი. გაჩნდა სახელმძღვანელოები სადაც მარქსიზმი და ანტიმარქსიზმი ერთად იყო არეული. სხვანაირად შეუძლებელი იყო იმ პირობებში, როდესაც იკითხებოდა საგანი, რომელსაც ებრძოდნენ. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემები ხშირად იცვლებოდა. სასწავლო პროცესი მოეშვა და დამოკიდებული გახდა ცალკეული ლექტორების პიროვნულ უნარებსა და პროფესიონალიზმზე. პოლიტიკური ეკონომიის ნაცვლად ადგილი დაიმკვიდრა „თეორიულმა ეკონომიკამ“, „ეკონომიკსმა“.

ამრიგად, საბჭოთა განათლების სისტემის ცვლილებები გაიწყო სტიქიურად, საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში და გაგრძელდა მისი კრახის შემდგომ გარკვეული დროით, რომელშიც მისი ყველა კონტრჰაგენტი , მათ შორის ოფიციოზი, მონაწილეობდა სიტუაციისადმი ადაპტაციის მოტივით.

ყველა პროფესორი თვითონ, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ცვლიდა საბჭოთა განათლების სისტემის დოგმებს - სტუდენტების აუდიტორიაში შენარჩუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ ინდივიდუალურად შემუშავებული ლექციების კურსით, რომელსაც სილაბუსს ვერ დაარქმევ. ეს იყო რაღაც ნარევი დასავლეთში არსებულ კურსებსა და მარქსიზმს შორის. დაიწყო დასავლეთშიგავრცელებულისახელმძღვანელოების თარგმნა. ჩვენს სფეროში ეს იყო უპირველეს ყოვლისა, პოლ სამუელსონისა და ვილიამ ნორდჰაუზის სახელმძღვანელო „ეკონომიკსი“. ამ ცვილებების მოტივი მასწავლებლებში იყო „სახის შენარჩუნება“, რომ მათ შეუძლიათ მარქსიზმის ჩარჩოებს გარეთ სწავლება. ეს ასეც იყო: ყველა პოლიტეკონომს კარგად ჰქონდა ნასწავლი ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა. ეხლა საჭირო იყო ამ მასალის პოზიტიური შინაარსით გადმოცემა.

ქვეცნობიერის დონეზე ამ ცვლილებების განხორციელება დაკავშირებული იყო ალბათ კიდევ სტატუს ქვოს შენარჩუნებასთან. პროფესორის ხელფასი კატასტროფულად დაეცა, მაგრამ სტატუსი საზოგადოებაში კვლავ მაღალი იყო. წინააღმდეგობა აქ იმაში იყო, რომ ადვილია ლექციის გადართვა მარქსისტული სახელმძღვანელოდან სამუელსონის სახელმძღვანელოზე, მაგრამ პრაქტიკაში საბჭოთა ეკონომიკა იყო შენარჩუნებული, რომლის სტატისტიკა, ბუღალტერია და მმართველობა მარქსისტული თეორიის ენაზე საუბრობდა. ისტორია, რომ ის რაც ისწავლება უმაღლესში არ შეესაბამებოდა იმას რაც ხდებოდა პრაქტიკაში, ეხლა კვლავ გამეორდა. აუდიტორიაში კაპიტალიზმის კატეგორიები და ენა უფრო სწრაფად იკიდებდა ფეხს, ვიდრე პრაქტიკაში.

4. საბჭოთა სწავლების სისტემის გარდაქმნის ეტაპები

უმაღლესი განათლების საბჭოთა სისტემის ტრანსფორმაციაში შეიძლება გამოიყოს ორი დიდი ეტაპი: ძველის ნგრევისა და სტიქიურად განვითარებისა და სისტემატიზებული გარდაქმნების. პირველი ეტაპი საქართველოში მოიცავდა 1991 წლიდან 2005 წლამდე პერიოდს, ხოლო მეორე ეტაპი 2005 წლის შემდეგ დღემდე.

4.1. სტიქიური განვითარების პერიოდი (1991-2005 წლები).

სირთულეები განათლების სისტემაში იმავე წამს წარმოიშვა, როგორც კი მოიხსნა განათლებაზე სახელმწიფო მონოპოლია. საჭოთა განათლების სისტემა აღმოჩნდა მსოფლიო განათლების სისტემის კონკურენტულ გარემოში, საჭირო ამ სისტემასთან ადაპტირება, თუმცა პროცესები ვითარდებოდა სტიქიურად სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ტექტონიკური ძვრების ზეგავლენით. განათლების სისტემაში, ისე როგორც სხვა სფეროში, მოქმედებდა პრინციპი - ის რაც საბჭოთაა, საჭიროა მისი დანგრევა. თუ საბჭოთა იდეოლოგია ამტკიცებდა, რომ ყველაფერი საბჭოთა, მათ შორის განათლების სისტემა საუკეთესოა მსოფლიოში, ეხლა ხდებოდა პირიქით. უპირველეს ყოვლისა, დარტყმის სამიზნე იყო საბჭოთა კავშირის დროს არსებული განათლების დახურული, ჩაკეტილი სისტემა. ეს სისტემა ჩაკეტილი იყო პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებთან შედარებით აკადემიური და სამეცნიერო წრეების ურთიერთობა არასოციალისტურ ქვეყნების შესაბამის წრეებთან უფრო თავისუფალი იყო, მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობა ძალიან შეზღუდული იყო და თანაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ძალიან შეზღუდული წრისათვის, ფაქტობრივად რაღაც ელიტალური ნაწილისათვის. ამასთან, ნებისმიერი მონაწილეობა რომელიმე სამეცნიერო შეკრებაზე (კონფერენცია, სემინარი) გადიოდა შეთანხ მების პროცედურებს მოსკოვში. გათავისუფლების ტალღა შეეხო მეცნიერებისა და განათლების სისტემის გათავისუფლებას პარტიული პრინციპისა და კვლევის სწორ მეთოდად დიალეტიკური მეთოდის ერთადერთობის დადგენილი ნორმისაგან. სხვათა შორის ეს პრინციპები ეხებოდა მეცნიერების ყველა დარგს, როგორც საბუნებისმეტყველოს, ისე საზოგადოებრივს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სწრაფად განთავისუფლდნენ ამ იდეოლოგიური ნორმისაგან. რაც შეეხებოდა სოციალურ მეცნიერებებს აქ საკითხი უფრო რთულად იდგა. ფაქტობრივად მარქსიზმ-ლენინიზმზე უარის თქმა ნიშნავდა ყველა იმ სასწავლო კურსების გაუქმებას, ან ძირეულ ცვლილებას რაც ისწავლებოდა სოციალური და ჰუმანიტარული მიმართულებით. პოლიტეკონომია, ეკონომიკური აზრის ისტორია, ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა, საბჭოთა ვაჭრობა, სახალხო მეურნეობის დაგეგმვა და სხვა საგნების სწავლება ფაქტობრივად შეწყდა, რადგან ისინი უტყუარად წარმოადგენდნენ „საბჭოთა საგნებს“. აგრესია ნაკლები იყო მაგალითად ბუღალტერიის, სტატისტიკის მიმართ, მაგრამ მათი შინაარსიც გაჯერებული იყო მარქსიზმით. საბჭოთა სტატისტიკა სხვა მაჩვენებლებით აპელირებდა, ვიდრე დასავლეთის სტატისტიკა. საბჭოთა სტატისტიკა და ბუღალტერია იყენებდა მარქსისტული ღირებულების თეორიაზე დამყარებულ მაჩვენებლებს, ხოლო დასავლეთის სტატისტიკა ეყრდნობოდა ეროვნულ ანგარიშთა სისტემას. ეს გადასვლა მოხდა სტატისტიკის რეფორმის გზით, რომელსაც წლები დასჭირდა. ბუნებრივია ასეთ სფეროებში ტრანსფორმაცია უფრო წყნარად მიმდინარეობდა. 90-ანი წლების პირველი ნახევარი აღინიშნა საქართველოში გაუგონარი ეკონომიკური ვარდნით, სამნიშნა ინფლაციით. უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასი ფაქტობრივად სიმბოლური გახდა. განათლების სფერო თავისი თავის ამარა დარჩა მთელი ათწლიანი პერიოდის განმავლობაში. ღია, კონკურენტულ გარემოში გამომჟღავნდა საბჭოთა განათლების ბევრი ნაკლოვანებები, რომელიც ჩაკეტილი სისტემის დროს არ ჩანდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის

ეკონომიკური და სამართლებრივი ცოდნის დაბალი დონე. მოსახლეობის ცოდნის ეს დონე არ იყო საკმარისი სხვა- ახალ კაპიტალისტურ გარემოში ადაპტირებისათვის. მოსახლეობას დაემართა მანამდე უცნობი „ემიგრანტის ეფექტი". ფიზიკური არსებობის გარემო იგივე იყო, ხოლო კულტურული გარემო, ცხოვრების წესები - შეცვლილი. ეს სოციალური არაკომპეტენტურობა დღემდე არაა დაძლეული.

სხელმწიფოებრივობის აღდგენის საწყისი პერიოდიდან განათლების რეფორმაციის შესახებ მიმდინარეობდა დისკუსია. გარდაქმნის აუცილებლობაზე ყველა თანხმდებოდა, თუმცა რა გზით უნდა განვითარებულიყო პროცესები ამასთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება და პოზიცია გამოითქმებოდა. ეს პროცესი კიდევ უფრო ქაოტური გახადა ფასიანი სწავლების დაშვებამ. მანამდე არსებული განათლების სახელმწიფო ჩაკეტილი სისტემის გარღვევისათვის დაშვებულ იქნა საქართველოში კერძო უმაღლესი სასწავლებლების შექმნა. საინტერესოა, რომ პირველი უმაღლესი სასწავლებლები კვლევითი ინსიტუტების ბაზაზე შეიქმნა. პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებელი უკვე 1991 წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და მართვის და ფსიქოლოგიის ინსტიტუტების თანამშრომელთა მიერ - თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის სახით[2]. კერძო უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამები ფაქტობრივად არავითარ რეგულაციებს არ ექვემდებარებოდა და მთლიანად მისი მესვეურების ნება სურვილზე იყო დამყარებული. კერძო სასწავლებლები იყო ფასიანი. მიუხედავად სოციალუ-პოლიტიკური არეულობისა და ეკონომიკური კრიზისისა მოთხოვნა უმაღლესებზე დიდი იყო. საბჭოთა კავშირის დროს უმაღლესში მოხვედრა იყო რთული - რთული გამოცდებისა და კორუფციული სისტემის გამო. ეხლა გაჩნდა შანსი უმაღლესებში მოხვედრისა ნაკლები ცოდნით, ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე რეპეტიტორთან, ოფიციალურად ნაკლები თანხით, ვიდრე ეს იყო საჭირო ქრთამით მოწყობის დროს. . უმაღლესი განათლების მიღებამ არა თუ ფართო, არამედ ფაქტობრივად საყოველთაო ხასიათი მიიღო. ფაქტობრივად ყველას იღებდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. სწავლის პერიოდში დაიწია მომთხოვნელობის დონემ, რადგანაც მიზანი იყო „ფასიანი" სტუდენტის შენარჩუნება. ყოველივე ამან უმაღლესი განათლების დიპლომების დევალვაცია და მომზადებისა და პროფესიონალიზმის ხარისხი დაცემა გამოიწვია. დაეცა საშუალო სკოლებში სწავლების დონე - უმაღლესში მოწყობის მოტივი მაღალი ქულების მისაღებად მოიშალა. კერძო სასწავლებლებმა ლიბერალური მიღების სისტემით აჯობეს სახელმწიფო სასწავლებლებს. ამ კონკურენციის გამო მალე სახელმწიფო სასწავლებლებში გაჩნდა ფასიანი სექტორი უფასოსთან ერთად. მასობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდებოდა იაფი განათლების პროდუქტით. კერძო სასწავლებლები ახდენდნენ დასავლეთის ცნობილი უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების ფორმისეულ იმიტაციას, რასაც არ შეეფერობოდა შინაარსი. ეს იყო პროფესურის გადარჩენის გზა. უმაღლესი განათლების ჩართვამ სტიქიურ ბაზარზე მისი ორიენტირებიც შეცვალა. თუ მოთხოვნადი საგნები იყო ტექნოლოგია, სამედიცინო, საინჟინრო ეხლა წამოვიდა ეკონომიკა, ბიზნეს ადმინისტრირება, საბაჟო საქმე, სამართალი... უმაღლესში მოწყობა მაინც იყიდებოდა.... გაჩნდა კორუფცია შიდა სემესტრულ სწავლებაზე....შეწყდა მოთხოვნა საბუნებისმეტყველო სპეციალობებზე,ფიზიკურზე, მათემატიკურზე... ამავე დროს ამ დარგებიდან დაიწყო მასობრივი „ტვინების გადინება" - მეცნიერების წასვლა უცხოეთში.

საბჭოთა სისტემად აღიქმებოდა ყველაფერი რუსული. რუსოფობია არ განვითარებულა მიუხედავად რუსეთის სახელმწიფოს საოკუპაციო მოქმედებებისა, მაგრამ ის მიეხმარა ეროვნული განთავისუფლების იდეას შეექმნა რუსული სწავლების განდევნის გარემო. დაიხურა რუსული ფაკულტეტები, რუსული ენის სწავლება შეწყდა... საბჭოთა კავშირის დროს ე. წ. საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების კონცეფციის ქვეშ მართლაც მიმდინარეობდა რუსიფიკაციის პოლიტიკა, მაგრამ რაც მოხდა რუსულ ენაზე სწავლების მიმართ იყო ჯოხის მეტად გადაღუნვა. ბევრ შემთხვევაში უცხო ენის გამოცდებზე რუსულ ენას არ თვლიდნენ ასეთად. ამან შექმნა ბევრი პრობლემები. იმ პერიოდისათვის ახალგაზრდების უმრავლესობისათვის მეორე ენა იყო რუსული. მოგვიანებით, ეს გამოსასწორებელი შეიქმნა, თუმცა უკვე პრობლემა იყო რუსული ენის მცოდნე ახალგაზრდების სიმცირის გამო.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სეპარატისტული ანკლავების მიუხედავად, საქართველო ახორციელებდა ღია ეკონომიკის

2. http://tempus.ge/old/index.php?option=com_content&view=article&id=66&Itemid=73&lang=ka თითქოს სტიქიურად დაიწყო მეცნიერებისა და სწავლების პროცესის შეერთება, მაგრამ შემდგომში მოვლენები სხვანაირად განვითარდა.

პოლიტიკას. საქართველო გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. საერთაშორისო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ზრდა ითხოვდა ინგლისურ ენოვან და კომპიუტერის მცოდნე სპეციალისტებს. ეს პერიოდი ემთხვევა კონმპიუტერის მასობრივად შემოტანას 1997-98 წლებიდან. ერთი მხრივ, „ეროვნული მოძრაობის" მოტივითა და მეორე მხრივ, რეალური საჭიროებების გამო მოხდა რუსული ენის ჩანაცვლება ინგლისური ენით. მაშინ დაწყებული პროცესი დღეს უკვე ჩამოყალიბდა და ერი უცხო ენის თვალსაზრისით „გაყოფილია" რუსულენოვან და ინგლისურენოვან ნაწილებად, რაც პირობითად ემთხვევა „მამებად" და „შვილებად" დაყოფას.

მთლიანად, განათლების პოლიტიკა გასული საუკუნის 90-იან წლებში ცდა-შეცდომის გზით ვითარდებოდა. დიდი იყო სუბიექტური ფაქტორის როლი, თუ ვინ ხდებოდა განათლების მინისტრი. ყველა ახალი მინისტრი რეფორმებს რევერსით იწყებდა. საბჭოთა განათლების სისტემის კაპიტალისტურ განათლების სისტემად გარდაქმნის გამოცდილება არ არსებობდა. გენეტიკურად მსგავს ქვეყნებში (ყოფილი აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური, თუ საბჭოთა რესპუბლიკებში) სიტუაცია ისევე გაურკვეველი იყო, როგორც საქართველოში. ეს იყო რეფორმები უსისტემოდ: რეფორმები რეფორმებისათვის და თანაც უფულოდ. ეს იყო ცურვა კომპასის გარეშე. ამ სფეროში პირველი შუქურის, პირველი ორიენტირის როლი შეასრულა 1999 წლის 19 ივნისს ქ.ბოლონიაში ევროკავშირის 29 ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ უმაღლესი განათლებასთან დაკავშირებით ბოლონიის დეკლარაციის მიღებას. 1999 წელს აგრეთვე ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას (PCA). ამის შემდეგ დაიწყო ბოლონიის პრინციპების იმიტაციური დანერგვა. თუმცა პროცესს მაინც არ ჰქონდა ჩამოყალიბებული და თანმიმდევრული პოლიტიკის ხასიათი. მომწიფთა საკითხი ბოლონიის პროცესისადმი შეერთების თაობაზე. ფაქტობრივად ნიადაგი მომზადებული იყო ბოლონიის პროცესისათვის. საქართველოში უკვე 1997 წელს იყო რატიფიცირებული და ძალაში შევიდა (25 აპრილი, 1997 წ.)[3] 1954 წლის 19 დეკემბრის „ევროპის კულტურული კონვენცია", რომელიც ბოლონიის პროცესთან მიერთების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.საქართველო ბოლონიის პროცესს შეუერთდა 2005 წელს ბერგენის კონფერენციაზე (19-20) მაისი და დღეს არის ბოლონიის მონაწილე 49 ქვეყანას შორის ერთიანი ევროპული განათლების სისტემაში. ამ პერიოდიდან მოყოლებული საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემა წარმოადგენს ბოლონიის პროცესის ფარგლებში წარმატებებებისა და წარუმატებლობების ისტორიას, თუმცა სრულიად ახალ ეტაპს უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებასი და ამ პერიოდს ბოლონიის პროცესის პერიოდი შეიძლება ეწოდოს.

4.2. ბოლონიის პროცესის დამკვიდრების (2005 წლიდან) პერიოდი

ბოლონიის პროცესის საქართველოში მიმდინარეობის ოფიციალური შეფასება მოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ოფიციალურ ვებ-გვერდზე.[4] ეს სამინისტროა პასუხისმგებელი საქართველოში ბოლონიის პროცესის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, ის წარადგენს ეროვნულ მოხსენებებს პროგრესთან დაკავშირებით. თუ როგორ ასრულებს საქართველო ბოლონიის პროცესს - ეს სპეციალური კვლევის საგანია, რომლის სისტემური განხორციელება არაა ამ სტატიის მიზანი. აქ აღწერილი იქნება მონაწილის მიერ დანახული პროცესი და მოცემული იქნება ემპირიული დაკვირვების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები. საქართველოს ბოლონიის პროცესისადმი მიერთებიდან რამოდენიმე თვეში მე მიწვეული ვიყავი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) რექტორის[5] მიერ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანად[6] ძირითადი დავალებით - ბოლონიის პროცესებიდან გამომდინარე რეფორმების განხორციელების მიზნით. ამ პერიოდში უპირველესი ამოცანა იყო სისტემაში მოქცეულიყო სასწავლო პროცესი. ზოგადად ეს უნდა განხორციელებულიყო საბჭოთა განათლების სისტემაზე უარის თქმითა და მისი ევროპულ სისტემაზე გადასვლით. ბოლონიის პროცესიც ისე, როგორც საბჭოთა განათლების სისტემა ახდენს განათლების სტანდარტიზებას. თეორიულად ერთი სტანდარტები უნდა შეცვლილიყო მეორე სტანდარტებით. პრაქტიკულად კი საკითხი

3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1211271
4. http://www.mes.gov.ge/content.php?id=1856&lang=geo
5. პროფესორი რუსუდან ლორთქიფანიძის მიერ, რომელიც იყო თსუ რექტორი 2004 წლის დეკემბერი - 2006 წლის აპრილი.
6. პროფესორი მიხეილ ჯიბუტი - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი იყო 2005 წლის ნოემბერი - 2006 წლის მაისი.

სხვაგვარად იდგა. სირთულეები მდგომარეობდა იმაში, რომ საბჭოთა სტანდარტების სისტემა მოშლილი იყო ამ სისტემის თითქმის 15-წლიანი კრიზისით. ამასთან, პრობლემებს ქმნიდა ისიც, რომ ბოლონიის პროცესი სიახლე იყო თვითონ ევროპის ქვეყნებისთვის, ამიტომ განსხვავებით სხვა სფეროებისაგან აქ არ იყო მათგან მაშტაბური ტექნიკური დახმარება. იყო საკმარისი ცოდნისა და გამოცდილების კადრების მწვავე დეფიციტი. საქმე ეხებოდა არა ერთი სტანდარტების სისტემის კონვერტაციას მეორე სტანდარტების სისტემაში, არამედ ერთი სისტემის ნაშთებიდან შესაბამისი ადამიანური, ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსების მწვავე დეფიციტის პირობებში სრულიად ახალი,თვით ევროპისთვის ინოვაციური სტანდარტების დანერგვას. ამ დეფიციტის გამო გარდაქმნებისათვის უფრო მეტი დრო იყო საჭირო. დრო კი არ იყო იმიტომ, რომ განათლების პროცესი უწყვეტი პროცესია და მისი შეფერხება ადამიანების ცხოვრებაზე უშუალოდ და უარყოფითად აისახება. წარმოუდგენელი ენთუზიაზმისა და თავდადების წყალობით, პროფესორ-მასწავლებლების მიერ გაუსაძლის კომუნალურ პირობებში ზამთრის არდადეგებზე ანაზღაურების გარეშე შრომის შედეგად, 100 დღეში 2005-2006 სასწავლო წლის სტუდენტებისათვის საგაზაფხულო სემესტრის დასაწყისისათვის (2006 წლის თებერვალი) მომზადებული იყო კურიკულუმი და სილაბუსები და ისინი გადაყვანილ იქნენ სწავლის ახალ ციკლზე ბოლონიის პროცესის მიხედვით. ფაკულტეტზე არსებული ყველა კომპიუტერი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ გავაერთიანეთ ერთიან ქსელში, მათვე დაწერეს პირველი პროგრამები და მოვახდინეთ სწავლის პროცესის კომპიუტერიზაცია. 2006 წლის მარტისათვის დასრულებულ იქნა მთელი ფაკულტეტის[7] ბოლონიის პროცესზე გადაყვანის სამ წლიანი სტრატეგია. პირველი ორი კურსი დაეწია ბოლონიის პროცესს, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე კურსი სწავლობდა მილევადი რეჟიმით. ამ პერიოდში უნივერსიტეტში და ფაკულტეტზეც შეიქმნა ხარისხის სამსახური, მაგრამ განსხვავებით საბჭოთა პერიოდისაგან იყო ავტონომიურობის მაღალი ხარისხი. პროფესორები სილაბუსებს ქმნიდნენ საკუთარი შეხედულებით, რომელიც ფაკულტეტის ხარისხის სამსახურისა და საბჭოს მიერ განიხილებოდა და დეკანი ამტკიცებდა. მთავარი მიზანი იყო ბოლონიის პროცესის საფუძველზე სტანდარტიზებული უმაღლესი განათლების სისტემის შექმნა ლოკალურად საკუთარი ფაკულტეტისათვის. უმთავრესი ამოცანები კონცენტრირებული იყო საბჭოთა უმაღლესი განათლების საფეხურების (ციკლების) ახალი სისტემით ჩაცვლება. საბჭოთა კავშირის დროს იყო სასწავლო ციკლი 5+3 წლი. 5 წელი იყო უმაღლესი განათლებისათვის და 3 წელი ასპირანტურაში სწავლისათვის. ასპირანტურის კურსის გავლა სავალდებულო იყო პირველი საფეხურის სამეცნიერო ხარისხის - მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ბოლონიის პროცესის მიხედვით სასწავლო ციკლი იყო 3+2+3 წელი, ანუ: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. საბჭოთა კავშირის დროს მეორე საფეხურის სამეცნიერო ხარისხის - მეცნიერებათა დოქტორის მოსაპოვებლად სპეციალური დოქტორანტურა არ არსებობდა. მისი მოპოვება ხდებოდა ხარისხების მოსაპოვებელი დებულებებითა და ინსტრუქციებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა უმაღლესი საატესტაციო კომისია (უსკ) მოსკოვში. იქ მტკიცდებოდა ყველა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული უნდა ყოფილიყო რუსულ ენაზე. 1991 წელს მოსკოვში დისერტაციების გაგზავნა შეწყდა, შეიქმნა უსკ მსგავსი, ოღონდ ქართული ცენტრალიზებული დისერტაციების დამტკიცების სისტემა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან. დისერტაციების შესრულება შეიძლებოდა ქართულ ენაზე. მაქსიმალური ძალისხმევა იყო მიმართული, რომ არ ყოფილიყო განათლების მიღების პროცესში წყვეტა. ცვენ ვახდენით ამ სისტემურ გარდაქმნას, მაგრამ ცხოვრება ხომ არ ჩერდება. სტუდენტები მოდიან სასწავლად. ადამიანებს ჭირდებათ დისერტაციის დაცვა. პირველი სირთულეები დაკავშირებული იყო ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სისტემების დანერგვაში, ახალი კურიკულუმებისა და სილაბუსების შედგენაში. საფუძლად ვიღებდით მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების კურიკულუმებს და სილაბუსებს. შემდეგ ვახდენდით მათ მორგებას არსებულ სინამდვილესთან. სად გვყავდა სპეციალისტი და სად არა, სად იყო ლიტერარურა, სად იყო საშუალება ე.წ. "რიდერების" (მასწავლებლის მიერ შეკრული სასწავლო მასალის კრებულის) შედგენის და სად არა. ამ უკანასკნელით ვცდილობდით ქართულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის მწვავე დეფიციტის

7. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი ფაკულტეტი არა მარტო თსუ-ში, არამედ საქართველოში. აქ სწავლობდა ხუთი ათას სტუდენტზე მეტი.

დაფარვას. შემდეგ სურთულე იყო ბოლონიის სასწავლო ციკზე გარდამავალი პერიოდის განხორციელება. პირველი და მეორე კურსები ახერხებდნენ, ხოლო იმათ ვინც იყო მე-3, მე- 4 და მე-5 კურსებზე უნდა დაეხურათ ძველი სისტემით. რთული იყო ასპირანტურა დამთავრებული პირებისათვის დაცვის დისერტაციების საკითხის დალაგება. გაურკვევლობას იწვევდა საჭოთა სისტემაში ორი სამეცნიერო ხარისხის შეფარდება ერთ სამეცნიერო ხარისხთან ახალ სისტემაში. ბოლოს, საკანონმდებლო წესით გადაწყდა ყველა სამეცნიერო ხარისხი ნომინალურად გაუტოლდა აკადემიური დოქტორის ხარისხს. ბოლონიის სისტემის დანერგვის შემდეგ დაცული დისერტანტები ეკონომიკის აკადემიურ დოქტორად იწოდება. იგივე წოდებაში მოხდა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის კონვერტაცია. თუმცა „დაჩაგრულები“ დარჩნენ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები. მათ ორჯერ ხარისხის დაცვისათვის მხოლოდ მორალური კომპენსაცია დარჩათ. საბოლოოდ, ბოლონიის პროცესთან მიერთების შემდეგ, დისერტაციების დაცვებისა და დამტკიცების ცენტრალიზებული სისტემა დაიშალა და ხარისხის მინიჭების უფლებები მიეცათ უნივრერსიტეტის შესაბამისი პროფილის ფაკულტეტებზე არსებულ სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელ სადისერტაციო საბჭოებს. გარდაქმნის პერიოდის სურთულეებს წარმოადგენდა საბჭოთა „აკადემიური მოსწრების საბოლოო შედეგების შეფასების სისტემიდან“ „საკრედიტო-რეიტინგულ სისტემაზე“ გადასვლა. შეფასების ხუთბალიანი სისტემიდან (5,4,3,2) შეფასების 100 ბალიან სისტემაზე (A,B,C,D,E,Fx,F) და ECTS (European Credit Transfer and Accumulation System -კრედიტების დარიცხვისა და დაგროვების ევროპული სისტემა) გადასვლა. დასაწყისში ბოლონიის პროცესი ასრულებდა დანგრეული საბჭოთა სისტემის ადგილზე ახალი სისტემის შექმნის ამოცანებს, რომელსა წმიდა შიდა ორგანიზაციული დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე სტუდენტთა მობილობის პროცესის განხორციელება.

გარეგნულად ბოლონიის პროცესიც განათლების სისტემის ერთიანი სტანდარტების დამკვიდრებაზეა ორიენტირებული, ისე როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირის დროს, მაგრამ ამ ამოცანის გადასაწყვეტად პრინციპულად განსხვავდება მეთოდები და ხერხები. ბოლონიის პროცესი ეფუძნება აკადემიურ დამოუკიდებლობასა და უნივერსიტეტების ავტონომიურობას, საბჭოთა სისტემა პირიქით ეფუძნება ამ უფლებების ჩახშობასა და მკაცრ ცენტრალიზმს.

სამწუხაროდ, მაშინ როდესაც ბოლონიის პროცესის ფორმალური დანერგვა ყველაფრის მიუხედავად სწრაფად მიმდინარეობდა, განათლების სისტემა არ ცდილობდა საბჭოთა ცენტრალიზმის დათმობას. ყველა ხელისუფლებას სურდა მოეპოვებინა ნებისმიერ ფასად უნივერსიტეტების ლოიალობა. საბჭოთა სისტემა ამას ახერხებდა სახელმწიფო კონტროლით. ეს სურვილი შემორჩათ დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოს მთავრობასაც. მეტნაკლებად ყველა ხელისუფლებას აწუხებდა თავისუფალი აზრის დიდი კონცენტრაცია სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებსი და ყველა ცდილობდა მათ მოთოკვას. განსაკუთრებული აგრესიული ფორმები მიიღო ამ პროცესმა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2004 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროს დესოვეტიზაციის პროცესიც დაჩქარებულ განვითარების პარალელურად განხორციელდა უნივერსიტეტის „საბჭოთა“ პროფესურისაგან „წმენდის“ პოლიტიკა. რექტორი, რომელმაც მე მიმიწვია დეკანად, იყო მიხეილ სააკაშვილის ფავორიტი. პირველ ხანებში მან განახორციელა „რევოლუციურ“ გუნდში შემუშავებული პოლიტიკა უნივერსიტეტში, რასაც „დავალებით“ აქტივობები, აგრეთვე საკამათო, დაუსაბუთებელი საკადრო გადაწყვეტილებებიც მოჰყვა, მაგრამ როდესაც მისგან „მოითხოვეს“ უნივერსიტეტში მასობრივი წმენდის ჩატარება, ის წინ აღუდგა ამ პროცესს. სწორედ ამ დროს მივედი მე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე და დეკანად ყოფნის დროს არც ერთი კაცი ფაკულტეტიდან არ გათავისუფლებულა. 2006 წლის აპრილში დაუმორჩილებელი რექტორი გაათავისუფლეს და მისი ადგილი დაიკავა ახალმა რექტორმა[8], რომელმაც დაიწყო და განახორციელა თსუ-ში არნახულ საკადრო წმენდა პროფესორ-მასწავლებლების ღირსების შემლახავი ფორმებითა და მეთოდებით, რასაც თან ახლდა ადამიანთა მსხვერპლი. ახალ რექტორმა ჩემი დასაბუთებული თხოვნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კადრების არ შემცირების შესახებ არ გაითვალისწინა. 2006 წლის 6 მაისს ქართველებისათვის მნიშვნელოვან დღეს - გიორგობას - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანებულ სხდომაზე კიდევ ერთხელ ვთხოვე

8. გიორგი ხუბუა - თსუ რექტორი 2006 წ. აპრილი - 2010წ, აგვისტო.

რექტორს უარი ეთქვა კადრების მექანიკურ შემცირებაზე, მაშინ როდესაც ფაკულტეტს არ ჰყოფნიდა პროფესორ-მასწავლებლები. ფაკულტეტზე 75 სტუდენტზე მოდიოდა ერთი ლექტორი! ჩემი თხოვნა მიუღებელი აღმოჩნდა მაშინდელი მინისტრისათვისაც.[9] ამიტომ 15 მაისს მე დავტოვე დეკანის პოსტი, ისე რომ არც ერთი კაცით არ შემიმცირებია პროფესორ-მასწავლებალთა რაოდენობა და პირველი წამოვედი უნივერსიტეტიდან, ვიდრე „გამოყრიდნენ“ ჩემს კოლეგებს, მათ შორის ბევრ ჩემს მასწავლებელს, თანაკურსელსა და მოწაფეს. ამ წმენდას არ მოჰყოლია უნივერსიტეტის ავტორიტეტის ზრდა, არც მისი ავტონომიურობის ამაღლება, თუმცა უნივერსიტეტისადმი ბევრი მისი პროფესორის არალოიალური დამოკიდებულება კი შექმნა. როდესაც გამოჩნდა მასწავლებლების ნაკლებობა და კონკურსით მიღებული რაოდენობა არ იყო საკმარისი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, ფაკულტეტზე დროებითი ხელშეკრულელბებით მოიყვანეს „გაყრილი“ პროფესურა. „რეფორმატორ“ რექტორს „მავრის“ პრინციპით მოექცნენ. უფრო მეტიც, ღირსების დასაყრდენის გარეშე გაათავისუფლეს 2010 წელს,[10] 2006 წელს უნივერსიტეტიდან დაკარგული მეთექვსმეტე საუკუნის წიგნების მოპარვის ბრალდებით. მე ეს არ მჯერა, მაგრამ მორალი ნათელია - ის რომ გაეთავისუფლებინათ „წმენდისათვის“, გამოვიდოდა, რომ ეს ცუდი საქმე მომხდარა და ამ საქმის თანამონაწილეებიდან მხოლოდ ერთი დაისაჯა. არც ერთ რექტორს შემდგომში დარღვეული სამართლიანობა არ აღუდგენია. ამჟამინდელმა რექტორმა[11] მას შემდეგ დაიკავა პოსტი, როცა წინა რექტორი[12] „გადადგა“ სტუდენტთა გამოსვლებისა და „მოთხოვნის“ შედეგად. თუმცა, როგორც ამ უკანასკნელმა განაცხადა პროცესები „პოლიტიკურად მართული“[13] იყო, მისი „გადაგომის“ უშუალო მიზეზები ხელისუფლებისა და უშიშროების სამსახურებიდან[14] მომდინარეობდა. ამან გამოიწვია ის, რომ შექმნილ სიტუაციაში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში თსუ უპირობო პირველობის პერიოდი დასრულდა. ბევრმა სასწავლებელმა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის პრესტიჟულობით, გაუსწრო მას. ეს უპირველეს ყოვლისა გამოიხატება სწავლის ფასში. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში თსუ-ზე 2-3-ჯერ მეტ ფასს იხდიან!

5. დეკომუნიზაცია და დესოვეტიზაცია

საბჭოთა კავშირის დროს უმაღლესი განათლება, იყო დაფუძნებული კომუნისტურ იდეოლოგიაზე (მარქსიზმ-ლენინიზმი) და საბჭოთა მართვის სისტემაზე (დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით). როგორც ავღნიშნეთ იდეოლოგიის უარყოფა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაიწყო და სწრაფად განვითარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ანტიკომუნისტური მოძრაობის სახით (სკკპ პარტიის რაიკომებისა და ბიუროების დახურვა, სკკპ წევრობიდან მასობრივი გასვლა, უმაღლესი სასწავლებლების დეპოლიტიზება და იქ კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული ერთეულების გაუქმება და ა.შ.). საზოგადოება ერთსულოვანი იყო კომუნისტური იდეოლოგიისაგან გასათავისუფლებლად, რომელსაც, მისი ელიტის სკკპ პოლიტბიუროსა და მათ წინამორბედებს უკავშირებდნენ 1921 წელს საქართველოს რესპუბლიკის დამხობას, 1937 წლების რეპრესიებს, პოლიტიკური ნიშნით „გაციმბირებას“ („გულაგები“), 1953 წლის 9 მარტს, 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი მომიტინგეების სისხლიან დარბევას და სხვ. რადგან პროცესს თან ახლდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამიტომ კომუნისტური განიხილებოდა, როგორც კოლონიზატორი, რაც ასევე გაიგივებული იყო რუსულთან და ეროვნულ - სახელმწიფოებრივი განთავისუფლების იდეის საფუძველზე, ხორციელდებოდა მათთან ასოცირებული ორგანიზაციების ლიკვიდაცია, ხოლო ინსტიტუტების, ძეგლების, სიმბოლოების ნგრევა. დეკომუნიზაცია სწრაფად წარიმართა დეიდეოლოგიზაციის თვალსაზრისით. უფრო

9. ალექსანდრე (კახა) ლომაია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2004-2007 წწ. .
10. გიორგი ხუბუა: „ ყველაზე აუტანელი იყო, რომ უკვე ყველა ერიდებოდა ჩემთან შეხვედრას, ერთგვარი შიშიც ჰქონდათ, რომ ამ „ცოდვილ ხუბუას“ ესაუბრებოდნენ“. http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=120 (ბოლო ნახვა: 29.08.2017).
11. გიორგი შარვაშიძე -თსუ რექტორი 2016 წლისსექტემბრიდან
12. ვლადიმერ პაპავა - თსუ რექტორი 2013წ. აგვისტო -2016წ. მაისი
13. http://www.ick.ge/rubrics/society/26395-i.html
14. https://palitranews.ge/video/lado-papava-1-tslian-dumils-skandalur-interviushi-arghvevs-da-tsu-shi-ganvitarebuli-movlenebis-qvela-detalze-kviris-palitrastan-saubrobs;
http://www.tvkvemokartli.ge/ka/component/content/article/3399-news/28540-vladimer-papavaori-braldeba-tsami-yenes?image=&image=&image=&image=

მეტიც - „ანტიბოლშევიზმს“ „ბოლშევიკური“ სახე ჰქონდა- კომუნისტური პარტია, როგორც სერიოზული პოლიტიკური ძალა საქართველოს პოლიტიკის სენიდან ფაქტობრივად 1992 გავიდა (მისი წარმომადგენლებს არ მისცეს 1990 წლის პარლამენტში მუშაობის საშუალება). 1991 დეკემბერი - 1992 წლის იანვრის ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების შემდეგ, სადაც კონფლიქტის ორივე მხარე ეროვნული ძალების სახით პოზიციონირებდა, მათი ადგილი ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში აღარ დარჩა.

საბჭოთა სისტემის ქვეშ მასობრივ ცნობიერებაში განიხლებოდა მმართველობის ინსტიტუტები, საკუთრების სახელმწიფო ფორმები, კოლმეურნეობები და ა.შ. ამიტომ დესოვეტიზაცია შედარებით ნელი ტემპით განვითარდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ დეკომუნიზაცია აუცილებელი ეტაპი იყო დესოვიეტიზაციისათვის ყველა და მათ შორის უმაღლესი განათლების სფეროში.

ანტიკომუნიზმი დადგინდა კანონმდებლობით. 2011 წლის 31 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „თავისუფლების ქარტია“ რომლის მიზანი განისაზღვრა, როგორც „კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, აგრეთვე კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა“ (მუხლი 1)[15]. კანონი ამავე დროს ითვალისწინებდა კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის წევრებისათვის(ქალაქებისა და რაიონების კომიტეტის მდივნების დონეზე. კომკავშირლებისათვის შეზღუდვა უფრო ფართო იყო და ვრცელდებოდა ბიუროს წევრებზეც) თანამდებობრივ შეზღუდვებს, რომელიც 2015 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (28 ოქტომბრის №2/5/560) ძალადაკარგულად გამოცხადდა.

სულ სხვა სიტუაციაა საბჭოთა მმართველობასთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირის, როგორც რეჟიმის მოხსენიება ხდება უმეტესად ნეგატიური კუთხით, თუმცა საკანონმდებლო დონეზე არ მომხდარა მისი დანაშაულებრივ რეჟიმად შეფასება. ამიტომ „დესოვეტიზაცია“ („დესაბჭოებიზაცია“, სახალხო საბჭოების მეშვეობით მართვის სისტემის დემონტაჟი) ევოლუციურად წარიმართა და დღემდე არაა ჩანაცვლებული ახალი ფორმებით საზოგადოებრივი ურთიერთობების ბევრ სფეროში. სხვანაირად ვერც იქნებოდა. მარტო სიმბოლოებიზე უარის თქმა არაა დესოვეტიზაცია. მაშინ უარი უნდა გვეთქვა ჰესებზე, ქარხნებზე,ფაბრიკებზე..... მართალია ბევრი მათგანი განადგურდა, მაგრამ არა მისი საბჭოთა წარმოშობის გამო, არამედ საკუთრებითი ურთიერთობების შეცვლისა და სწრაფი მოგების მიღების ეგოისტური ქცევების გამო.

ყველაზე ნელა ხორციელდება მმართველობის დეცენტრალიზაციის პროცესი. დამოუკიდებლობის მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გათავისუფლდა ფაქტობრივად ერთპარტიული და ვერტიკალურად მოწყობილი ცენტრალიზებული მმართველობისაგან. ასეა დღესაც. საქართველოში მმართველი პარტია კონსტიტუციური უმრავლესობითაა წარმოდგენილი პარლამენტში. ეს დიდ გავლენას ახდენს უმაღლეს განათლებისა და მეცნიერების მართვაზე. ცენტრალიზებულია საშუალო სკოლების მართვა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე 26 წლის განმავლობასი 15 მინისტრი გამოიცვალა, ხოლო წინა საბჭოთა 70 წლის მანძილზე - 16[16]! შესაბამისად, მმართველობის ზედა ეშელონებში ხშირია კადრების ცვლილება და შეიძლება ითქვას, რომ იქ უკვე „საბჭოთა“ კადრები აღარაა, მასინ როდესაც უმაღლესს სასწავლებლებში ჯერ კიდევ ბევრია ასეთი კადრები, მიუხედავად განხორციელებული „წმენდისა“. ეს ის კადრებია, რომლებზეც რეალურად განახორციელეს ბოლონიის პროცესის დანერგვა.

ბოლონიის პროცესთან ერთად უმაღლესი განათლების სისტემის დესოვეტიზაციის პროცესს განხორციელების ჩარჩო შეუქმნა ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებამ.

6. დესოვეტიზაცია განხორციელდა, მაგრამ არ დასრულებულა

უმაღლესი განათლების კუთხით უნდა განვასხვაოთ განათლების სისტემის სამართლებრივი ბაზის დესოვიეტიზაცია და საბჭოთა პერიოდში არსებული უმაღლესი სასწავლებლების დესოვიეტიზაცია.

15. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1381526
16. http://www.mes.gov.ge/content.php?id=110&lang=geo

განათლების პოსტსაბჭოთა სისტემის საფუძვლები ფაქტობრივად ჩამოყალიბებულია. საქართველოში ამას საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად უზრუნველყოფს საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (მიღებული :21.12.2004);[17] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ (მიღებული: 8.04.2005);[18] საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ (მიღებული: 28.03.2007)[19], „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ (მიღებული:21.07.2010)[20] და სხვა ნორმატიული აქტები.

უმაღლესი სასწავლებლები საკუთრების ფორმის მიხედვით არის კერძო და სახელმწიფო. 2016/2017 სასწავლო წელს მათი რაოდენობა შესაბამისად შეადგენდა 54 და 20.[21] მიუხედავად კერძო სასწავლებლების რაოდენობრივი უპირატესობისა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებთან, სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით საწინააღმდეგო სურათია. სახელმწიფო უმაღლესს სასწავლებლებში სწავლობს 92 ათასი სტუდენტი, ხოლო კერძო უმაღლესს სასწავლებლებში 49 ათასი.[22]

ქვეყანაში დანერგილია უმაღლესი განათლების ევროპული სტანდარტები - საკრედიტო სისტემა, ხარისხის სამსახურები, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო ... საქართველო მონაწილეობს განათლების მინისტრების კონფერენციებზე[23], ადგენს ეროვნულ მოხსენებებს ბოლონიის პროცესის პროგრესის შესახებ , ემზადება 2018 წლის ივნისში საფრანგეთის კონფერენციისათვის. პროგრესი სახეზეა.

თუმცა მნიშვნელოვანია დარჩენილი საბჭოთა ბარიერების შესახებ აღნიშვნა, რომელთაც მოახდინეს ადაპტირება ბოლონიის პროცესის ფარგლებში.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სტანდარტებით უნდა გაიზარდოს სტუდენტთა და მასწავლებელთა მობილობა. მობილობის საკითხში პროგრესი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ერაზმუსის და სხვა პროგრამებით,[24] მაგრამ საუბარია თვისობრივ გარდატეხაზე, მასობრივ მობილობაზე, როგორც ეს ხდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში.

დღეისათვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მობილობა ძირითადად გამოიყენება არა ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად, არამედ ქვეყნის შიგნით სტუდენტთა გადაადგილებისათვის, რომელიც ხორციელდება რამოდენიმე უპირველესი მიზნით: უმრავლესობა სტუდენტებისა ეძებს უმაღლეს სასწავლებელს, სადაც ცოდნისადმი ნაკლები მოთხოვნებია და უფრო ადვილია სემესტრული გამოცდების ჩაბარება. სტუდენტთა მეორე ნაწილის მიზანია სწავლის უფრო მაღალი ფასის უნივერსიტეტიდან უფრო დაბალფასიანში გადასვლა ფინანსური პრობლემების გამო. ფინანსური მიზეზების გამო ბევრი სტუდენტი აჩერებს სწავლას თვითონ, ან სწავლის მომსახურებას უჩერებს უმაღლესი სასწავლებელი სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მასივია იმ სტუდენტებისა, რომლებიც მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ არა იმ სპეციალობაზე, რომელიც სურდათ და ცდილობენ ეხლა ერთიანი ეროვნული გამოცდებით „დამახინჯებული ბედის“ გამოსწორებას. არის სხვა შემთხვევები, რომელიც ნაკარნახებია ცხოვრების მრავალფეროვნებითა და ადამიანთა დაუსრულებელი ძიების შედეგად.

როგორც ვხედავთ, მობილობის რამოდენიმე მიზეზი არ შეესაბამება ბოლონიის პრინციპებს და გამოწვეულია წმინდა საბჭოთა, ანუ ხელოვნური მიზეზებით.

ესაა უპირველეს ყოვლისა ერთიანი ეროვნული გამოცდები და სწავლის ქირა.

სტუდენტთა მობილობა უცხოეთში არ ხდება მათი მომზადების დონის გამო. სტუდენტთა მომზადების დაბალი დონე უკვე დევს სკოლიდან მოსული აბიტურიენტის მომზადების დონეში. კონკურენცია უმაღლეს სასწავლებლებს შორის მიდის არა განათლების ხარისხზე, არამედ სტუდენტთა რაოდენობაზე რომელზეცაა მიბმული უმაღლესების ფინანსური მდგომარეობა. რთულადაა პროფესორ-მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის საკითხი. „საბჭოთა“ კადრებმა ის მოახერხეს, რომ მოახდინეს საბჭოთა სტანდარტები ჩაანაცვლეს ბოლონიის სტანდარტებით. მიუხედავათ იმისა,

17. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23
18. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248
19. https://matsne.gov.ge/ka/document/view/23608
20. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064%23%21
21. http://geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=geo
22. http://geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=geo
23. http://www.ehea.info/pid34363/ministerial-declarations-and-communiques.html
24. Overview of the Higher Education System , February, 2017, p.17. - https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/country-fiche_georgia_2017.pdf

რომ მათზე ხორციელდება უწყვეტი „წმენდის“ პროცესი, ისინი ჯერ კიდევ მთავარ ძალას წარმოადგენენ პროფესორ-მასწავლებელთა კორპუსში (ეკონომიკის დისციპლინების მიხედვით მასწავლებელთა საშუალო ასაკი 55-60 წელია, ზოგიერთ სასწავლებელში კიდევ უფრო მეტი), მაგრამ მათ არ შესწევთ უნარი გაუწიონ კონკურენცია ევროპისა და ამერიკის პროფესურას ღია ბაზარზე, განსაკუთრებით სამეცნიერო მიღწევების სწავლის პროცესში გამოყენების თვალსაზრისით. ზოგიერთმა უნივერსიტეტმა ორიენტაცია აიღო ახალგაზრდა მასწავლებლებზე (რაც სწორია!), მაგრამ ბაზარზე კადრების სიმცირის გამო დასწია კვალიფიციური მოთხოვნები და სალექციო კურსებზე დაუშვა მაგისტრის დონის კვალიფიკაციით (რაც არსწორია!). შედეგი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა, რადგან საქართველოს უმაღლესი სწავლების ბაზარზე კონკურენციის მთავარი მოთხოვნაა სტუდენტის შენარჩუნებაა, ამიტომ მასწავლებლებიც ახდენენ ადაპტირებას ამ მოთხოვნებთან. განსაკუთრებით დემოტივირებულია ლექტორები სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში. აქ ყველაზე მაღალია ლექტორთა საშუალო ასაკი. ხელფასები დაბალია. არ ხდება ლექტორებისათვის 6 თვიანი ან მეტი დროით აკადემიური შვებულებების მიცემა. კვლავ არსებობს არასაიმედოობისა და პოლიტიკური მოტივით ანგარიშსწორების, ისევე როგორც ასაკობრივი დისკრიმინაციის საფრთხე.

ტრანსფორმაციის პროცესი გამოყენებულ იქნა პოლიტიკური მიზნებით. ყველა ხელისუფალი ცდილობდა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებისათვის არ მიეცა რეალური ავტონომია და ხელმძღვანელობაში მოეყვანათ მათვის ლოიალური პიროვნებები. უნივერსიტეტები იყვნენ საზოგადოებრივი აზრის შემქმნელნი საბჭოთა კავშირის დროსაც და მის შემდგომაც. ყველა ხელისუფალი ცდილობდა საუნივერსიტეტო „სულის“ ჩაკვლას და ამისათვის მიზეზად „დესოვიეტიზაციის“ რეფორმას იყენებდნენ. როგორც ავღნიშნეთ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში განხორციელდა , უკვე დამოუკიდებლობის პერიოდში, „წმენდა“ ე.წ. ასაკობრივი ცენზის მიხედვით. ასაკობრივი დისკრიმინაციის „ეიჯიზმის“ (Ageism) მსხვერპლი გახდა ასობით სახელოვანი მეცნიერი და დამსახურებული მასწავლებელი. დაიხურა ბევრი ლაბორატორია და ცენტრი დაკავშირებული იმ ადამიანებთან, რომელთა ერთადერთი „დანაშაული“ იყო ასაკი - 65 და მეტი წელი. ეს ეხებოდა არა მარტო თსუ-ს. უნივერსიტეტების ხელმძღვანელებად ინიშნებოდნენ ადამიანები არააკადემიური წრეებიდან, ვისაც არც სამეცნიერო ხარისხი არ გააჩნდა და არც სამეცნიერო ნაშრომები. ყოველივე ამან მოახდინა უნივერსიტეტებისა და მისი პროფესორ-მასწავლებლების ავტორიტეტის დაცემა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მათი გავლენის მინიმიზება.

აკადემიური დამოუკიდებლობა ფორმალურად არსებობს. სტუდენტთა და მასწავლებელთა დემოტივაცია, არ იძლევა ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მიზნის - ევროპული სტანდარტის შესაფერისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფას. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში შეუმჩნეველია. საქმე იმაშია, რომ ბოლონიის პროცესის ნორმები და სტანდარტები გადმოღებულ იქნა, მაგრამ პროცესის თვისობრივი მხარე არაა განხორციელებული. ადგილი აქვს უპირატესად იმიტაციას.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები არ არიან მზად განათლების ბაზარზე რეალური კონკურენციისათვის მსოფლიო ბაზარზე. არადა ეს პროცესი მიმდინარეობს.

ამ მზადყოფნას ხელს უშლის საქართველოს შიდა განათლების კვაზი-ბაზრის სახით არსებობა, მასში სახელმწიფოს ჩარევის გამო. საქართველოს განათლების ბაზარზე არათანაბარ მდგომარეობაშია ჩაყენებული კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები.კერძო სასწავლებლები სამეწარმეო, მომგებიანი ორგანიზაციების სტატუსით

მათი ხელმძღვანელობა პატრონებია და თვითონ წყვეტენ ვინაა უფროსი. არ არსებობს უმაღლესი საწავლებლების რექტორთა კვალიფიკაციის შესაბამისობის მაღალი აკადემიური მოთხოვნები.

ამჟამინდელი უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში ვერ წყვეტს მის წინაშე ერთდროულად მდგომ ორ ამოცანას: დესოვეტიზაციიდან ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა და განათლების გლობალურ მსოფლიო ბაზარზე კონკურენციაში მონაწილეობა. ამიტომ ვღებულობთ ეკლექტიზმს. ხდება ქართული საგანმანათლებლო სივრცის დაკნინება და მასში სხვადასხვა ქვეყნებიდან და სხვადასხვა ენაზე სასწავლო პროგრამების, ზოჯერ მთელი ციკლის (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის) შემოტანა ე.წ. ორმაგი დიპლომების გაცემის მიმზიდველობით. ასეთი ქმედება იწვევს საუკეთესო კონტიგენტის მიზიდვას და ვერ უზრუნველყოფს ვერც ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას და ვერც კონკურენტული ნაციონალური უმაღლესი განათლების სივრცის შექმნას. ნაცვლად ქართული

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისა ვღებულობთ საქართველოში განათლების ინტერნაციონალურ ბაზარს , სადაც განათლების მომსახურების მიმწოდებლები არიან უცხოური (ხშირად გაურკვეველი კრიტერიუმებით შერჩეული) და მომხმარებლები კი საქართველოს სტუდენტები. ასეთი შემთხვევები აკნინებს ქართულ საგანმანათლებო ბაზარს, ავიწროებს მის სოციალურ და კულტურული ბაზას, ხოლო სტუდენტების მომზადების მიზნებს აშორებენ ქვეყნის კადრებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნებს. განათლების სისტემა ხომ ქვეყნის მოთხოვნებზეა მორგებული. სინამდვილეში კარგი იქნებოდა, რომ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს მოეზიდათ უცხოელი სტუდენტები. ასეთი შემთხვევები არის (იხ., უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით[25]). ეს შეიძლება იყოს გამოყენებული დეფიციტური კადრების შევსების საშუალებად.

თუმცა პირველი მოვლენა დიდად ჭარბობს მეორეს.

ერთი სიტყვით, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები ისევე არიან ორიენტირებული რაოდენობაზე და არა ხარისხზე, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, რაც მათ აბსოლუტურად არაკონკურენტუნარიანებად ხდის ღია საბაზრო კონკურენციის პირობებში.

ამიტომ აუცილებელია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში კონკურენციის შემაფერხებელი ბარიერების მოხსნა.

ამ ბარიერების შესახებ.

„ბოლონიზაციის“ მომიზეზით ხდება განათლების სისტემაში დელიბერალიზაცია და რესოვეტიზაცია: სულ უფრო მეტად იზრდება „ზემოდან“ კარნახი, თუ რა უნდა გააკეთონ უმაღლესმა სასწავლებლებმა: განსაკუთრებით მიუღებელია მთავრობის დონეზე იმის დადგენა თუ რომელმა უმაღლესმა სასწავლებელმა რომელი სპეციალობის და რა რაოდენობის კადრები უნდა მოამზადოს.ეს ეწინააღმდეგება აკადემიური ავტონომიურობის

2005-2006 სასწავლო წლიდან, სტუდენტთა მიღება ბაკალავრიატში, 2009-2010 სასწავლო წლიდან კი - მაგისტრატურაშიც ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდებით. აბიტურიენტების მიღებაში უნივერსიტეტები არ მონაწილეობენ -მათ უწევთ ერთიანი ეროვნული გამოცდების მიერ განსაზღვრულ „მასალასთან“ მუშაობა, რომელიც შეიძლება კონფლიქტში იყოს უნივერსიტეტის მოთხოვნებთან. მიღებული კონტიგენტის დონესთან არ მორგება და უფრო მაღალი მოთხოვნების დაყენება ნიშნავს სტუდენტების დაკარგვას და ფინანსურ პრობლემებს, კონკურენტებთან შედარებით პოზიციების დათმობას. სახელმწიფო სასწავლებლები მთლიანად სტუდენტთა ვაუჩერებზეა დამოკიდებული. საქართველოში უმაღლესი სასწავლენლების დაფინანსება მკაცრად განსაზღვრულ და კონტროლირებად სისტემას ქმნის, ხოლო კერძო სასწავლებლები ასეთი კონტროლისაგან თავისუფლები არიან. საუნივერსიტეტო დაფინანსება სერიოზული კვლევების წარმოებისათვის არასაკმარისია. მეცნიერული კვლევისა და სწავლების ინტეგრაციას გამოცლილი აქვს ფინანსური ბაზა. დოქტორანტურას შეუძლია უმაღლესი განათლების მეცნიერებასთან დაახლოების ხელშეწყობა, მაგრამ მას არ შეუძლია ამ საკითხის გადაწყვეტა. მით უმეტეს რომ დოქტორების მომზადება ხდება არა დაფინანსებული თემატიკის ფარგლებში, არამედ მათ მიერ გადახდილი ფულითა და მათივე ინტერესების თემატიკის ფარგლებში.

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არიან კერძო უმაღლეს სასწავლებლებთან.სახელმწიფო უნივერსიტეტები ფასების კონკურენციიდან გამორიცხულია, რადგანაც კერძო უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით აქ სწავლის ქირა დადგენილია.სახელმწიფოს არ შეუძლია კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით უმაღლესი სასწავლებლის დაარსება.

ეს პრობლემები ჯერ ზედაპირზე არ გამოსულა იმიტომ, რომ უმაღლესი სასწავლებლები ჯერ ფუნქციონირების კრიზისს არ განიცდიან. თითქმის ყველა საშუალო სკოლა დამთავრებული აგრძელებს სწავლასუმაღლესსასწავლებლებში.ზოგიპირდაპირ სკოლის შემდეგ, ზოგი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. 10-15 % რჩება უმაღლესი განათლების გარეშე. ეს აბსოლუტურ შეუსაბამობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ამიტომ უმაღლეს დამთავრებულთა თითქმის მესამედი სტუდენტობიდან პირდაპირ უმუშევართა კატეგორიაში გადადის. მართალია უმაღლეს დამთავრებულებისათვის უმუშევრობის რისკი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე განათლების გარეშე პირებისათვის, თუმცა უმაღლესი განათლებისადმი სწრაფვა არ გამოიხატება მარტო დასაქმებისადმი პრაგმატული მიდგომით. უმაღლესი განათლებაში

25. http://geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=geo

უმთავრესია სოციალური სტატუსის მოპოვების მიზანი. ვაჟებისათვის ხშირად მოტივია ჯარში გაწვევისაგან გათავისუფლება (სტუდენტები თავისუფალი არიან ჯარში სავალდებულო გაწვევისაგან). ჩემი სურვილია, რომ უმაღლეს საწავლებელში მიდიოდნენ პროფესიისათვის და უმაღლესი სასწავლებელი ამზადებდეს კადრებს, რომლებზეც არის მოთხოვნა. ვფიქრობ, ახლო მომავალში ცოცხალი და დისტანციური სწავლების შერეული გამოყენება გაიზარდოს, რათა ასწავლიდნენ ცოცხლად ლიდერი პედაგოგები, ხოლო დანარჩენ საგნებში იყოს დისტანციური სწავლება. შესაბამისად, ლიდერ მასწავლებლებს მიეცეთ მაღალი ანაზღაურება. პროფესორი და მასწავლებელი მხოლოდ მეცნიერი უნდა იყოს. ლიდერ მასწავლებლებზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული განათლების სისტემა ესაა ხვალინდელი დღე -ესაა ისეთი კვალიფიციური, შრომისათვის სტუდენტობის პერიოდში მომზადებული კადრების გამოშვება, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან მსოფლიო შრომის ბაზარზე.

7. რეკომენდაციები

საბჭოთა უმაღლესი განათლების სისტემის ნგრევის შეჩერება მოხერხდა ბოლონიის პროცესით - უმაღლესი განათლების ევროპულ სისტემასთან მიერთებით. ესაა ამ ეტაპზე უმთავრესი მიღწევა. ახალი ეტაპის გამოწვევებია ბოლონიის პროცესის ფორმალური, იმიტაციური დანერგვიდან მის რეალურ განხორციელებაზე, პროცესებიდან არსებითზე გადასვლა როდესაც შესაძლებელი იქნება ევროპული სტანდარტების ხარისხის განათლების მიღება, ამ სისტემაში ჩადებული ყველა სიკეთის გამოყენება მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მობილობის პროცესის რეალური განხორციელებითა და მათი ამ პროცესებისათვის მომზადების უზრუნველყოფით. ამისათვის, მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ტრანსფორმაციის პერიოდიდან გამოყვანა, ერთ სისტემაზე გადაყვანა (ამ შემთხვევაში ბოლონიის) და ამ სისტემის შესაძლებლობების რეალიზება. ნაწილობრივ არსებობის პირობებში ვერც ერთი სისტემა ვერ იმუშავებს, მათ შორის ვერც „საბჭოთა - ბოლონიური“. დასაჩქარებელია „დესოვეტიზაციის“ პროცესის დასრულება, ამისათვის საჭიროა:

1. უმაღლესი განათლების სისტემა უნდა იყოს ერთიანი, უწყვეტი განათლების სისტემის რგოლი და გარდა ზუსტი და ფუნდამენტური მეცნიერებისა (მათემატიკა, ფიზიკა) უნდა იყოს ორიენტირებული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე

2. უნდა დასრულდეს უმაღლესი განათლების სისტემის „დესოვიეტიზაცია“. ეს მიიღწევა თუ სახელმწიფოუარსიტყვისდღესარსებულუმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტებისა (სახეცვლილი საბჭოთა მისაღები გამოცდები იმ განსხვავებით, რომ ეხლა ის უფრო ცენტრალიზებულია- უფრო „საბჭოთაა“ - მას ატარებს ერთი ცენტრალური ორგანო, მაშინ კი ატარებდა უმაღლესი სასწავლებელი) და სტუდენტთა კვოტირების სისტემაზე(იგივე სისტემა რაც საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც საგეგმო კომიტეტი ახდენდა უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით ცალკეულ სპეციალობებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრას). კერძოდ, დღეს ბაკალავრიატში და მაგისტრატურაში სტუდენტები ხვდებიან ე.წ. ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით. მაგისტრატურაში სწავლის გამგრძელებელთა მსურველებს ორი ბარიერის გადალახვა უწევთ. ჯერ ერთიანი ეროვნული გამოცდებით მოიპოვებენ უფლებას მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შესახებ, ხოლო შემდეგ დამატებით კიდევ უნდა ჩააბარონ იმ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები, რომლის მაგისტრატურაშიც სურთ სწავლის გაგრძელება.

ბაკალავრიატში მსურველებს შეუძლიათ მიუთითონ უმაღლეს სასწავლებლები და სპეციალობები, სადაც მათ სურთ რომ მოხვდნენ თავიანთი საგამოცდო ქულების მიხედვით. აქ მთავარი მიზანია უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა და მას ერთეული გამონაკლისების გარდა ყველა აღწევს. თუმცა დაბალია იმ სპეციალობაზე მოხვედრის წილი, რომელზეც აბიტურიენტს პრიორიტეტულად სურდა სწავლის გაგრძელება (რომელიც მიუთითა 1,2,3 პრიორიტეტად). ეს იწვევს სტუდენტების სწავლისადმი დემოტივაციას. ამასთან, ერთიანი ეროვნული გამოცდები საერთოდ იგნორირებას უწევს საშუალო სკოლაში სწავლის შედეგებს. ამან ძალიან დასწია სწავლის დონე სკოლებში და სტუდენტებში.

უმაღლეს სასწავლებელში მიღება უნდა ხდებოდეს საშუალო სკოლაში სწავლის შედეგების მიხედვით და კრიტერიუმებს უნდა ადგენდეს უმაღლესი სასწავლებელი. ამავე დროს უნდა გაუქმდეს უმაღლესი სასწავლებლებისათვის კვოტების დადგენის სისტემა, როდესაც თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს უდგინდება თუ ამა თუ იმ სპეციალობის რამდენი სტუდენტის

მიღებისა და მომზადების უფლება აქვს. უმაღლეს სასწავლებლები თუ მიიღებენ საკუთარი კრიტერიუმებითა და საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისი ოდენობით სტუდენტებს, შეიქმნება კონკურენტული გარემო, მოხდება უმაღლესი სასწავლებლების დიფერენცირება ელიტალურად და აუტსაიდერებად და დაძლეულ იქნება ის საერთო საშუალო დონე, რაც დღეს ჩამოყალიბდა უმაღლესი განათლების სისტემასი ზემოთ მითითებული ანტისაბაზრო, საბჭოთა რუდიმენტების გამო.

3. უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების სინთეზის უზრუნველყოფა. საბჭოთა კავშირის დროს უმაღლესი განათლების სისტემა (დარგობრივი სამინისტროს ხელმძღვანელობით) და მეცნიერება (მეცნიერებათა აკადემია და მასში შემავალი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, ცენტრები, ლაბორატორიები) ურთიერთკავშირში, მაგრამ მაინც ავტონომიურად ფუნქციონირებდა. დღეს საქართველოში ამ სფეროში დესოვიეტაზია განხორციელებულია საბჭოთა კავშირის დროს არსებული სისტემის დაშლის დონეზე, მაგრამ ახალი სისტემა შექმნილი არაა. მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში არსებული ინსტიტუტები ძირითადად ლიკვიდირებულია (შენობები პრივატიზებული), ნაწილი შეერთებულია სასწავლო უმაღლეს სასწავლებლებს, მაგრამ დღემდე გაურკვეველი სტატუსით, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი საპატიო კლუბის მაგვარ დაწესებულებადაა გადაქცეული. მისი გავლენა მეცნიერების პოლიტიკასა და მეცნიერების განვითარების პროცესებზე თითქმის ამ ინსტიტუტში წარმოდგენილ პიროვნებათა ავტორიტეტის დონეზეა დასული. დესოვიეტიზაციის დაუსრულებლად სწავლისა და მეცნიერების სინთეზი იმაზე დაბალ დონეზეა, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს, რაც კონკურენტუნარიანობას უკარგავს უმაღლეს სასწავლელებს განათლების - ხოლო მათ კურსდამთავრებულებს - შრომის მსოფლიო ბაზრებზე.

4. უნდა გაიზარდოს განათლების დაფინანსება და მოტივაცია უმაღლესი განათლების სფეროში ახალგაზრდა კადრების გაზრდისათვის. ეს შესაძლებელი იქნება უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერებისა და სწავლის პროცესის სინთეზითა და შესაბამისი დაფინანსებით.ეს მისცემს შესაძლებლობას, რომ ქვეყანამ ცოდნის ეკონომიკაზე აიღოს ორიენტაცია.

5. გათანაბრდეს კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები თავიანთ უფლებებში. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის საკანონმდებლო დონეზე დადგინდეს რეალური ავტონომიზაცია და კერძო სასწავლებლებთან კონკურენციაში ჰქონდეთ მათ თანაბარი უფლებები.

6. მართალია იზრდება კონკურენცია განათლების ბაზარზე, მაგრამ ის შეზღუდულია ზემოთ მითითებული ხელოვნური ბარიერებით, ამიტომ უმაღლესების მიმზიდველობის ამაღლების პოლიტიკა პრაღის კომუნიკეში გაცხადებული პრინციპი ბოლონიის ფარგლებში ნაწილობრივ სრულდება. თუმცა გონაბაზე, პრესტიჟსა და ფულზე ორიენტირებული საბრძოლო ამოცანებიდან, უმაღლესი სასწავლებლები ორიენტირებული არიან ძირითადად ფულზე, ნაკლებად პრესტიჟზე და თითქმის საერთოდ არა გონებაზე. ბუნებრივია გამონაკლისების მოძებნა შეიძლება, მაგრამ ისინი ამინდს არ ქმნიან.

7. პოლიკულტურული ურთიერთობები ფეხს იკიდებს და ის უნდა განვითარდეს როგორც ქართველი სტუდენტების ევროპულ უნივერსიტეტებში მობილობის ამაღლების გზით, ისე ქართული უნივერსიტეტებსი სწავლის ისეტი დონის მიღწევით, როდესაც ის გახდება მიმზიდველი სხვა ქვეყნების სტუდენტებისათვის.

8. საქართველოში მმართველობის ფუნქციონირების მთავარი ფაქტორი საგარეო ვალდებულებები უფროა, ვიდრე შიდა საზოგადოებრივი აზრი, სამოქალაქო სექტორის ჩანასახობრივ მგომარეობაში ყოფნის გამო. ამიტომ ბოლონიისპროცესისგვერდითდიდიმნიშვნელობას იძენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება (2014 წ) და მის ფარგლებში დაგეგმილი უმაღლესი განათლების რეფორმები. ასოცირების ხელშეკრულება და ბოლონიის პროცესი ერთმანეთთან თავსებადია. საჭიროა ამ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება. კერძოდ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა განხორციელება, რომელიც სხვათა შორის ითვალისწინებს განათლების სექტორის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებაბს:„ 1. ახალი სასტიპენდიო და გაცვლითი პროგრამების შექმნა და გაფართოება, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს საშულებას მისცემს საზღვარგარეთ მიიღონ განათლება ან გაიღრმავონ ცოდნა და გამოცდილება. 2. საქართველოში მცხოვრები უცხოელი მოსწავლეების და სტუდენტების საჭიროებების რეგულარული შესწავლა. 3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მაღალი ხარისხის და პროგრამების ინტერნაციონალიზციის ხელშეწყობა და შესაბამისი ადმინისტრაციული რესურსის განვითარება“[26].

ამრიგად, დესოვეტიზაციის დასრულების მთავარი იმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების განხორციელებაშია.

26. http://migration.commission.ge/files/migraciis_strategiis_2016-2017_ww._samoqmedo_gegma.pdf

რუბრიკა მიჰყავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრს, ომარ შუდრას.

კულტურა - საქართველო და მსოფლიო

შალვა ფოფხაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი
ტელ.: 591 811 842 / 598 003 444

კულტურა ფართოდ გავრცელებული სიტყვაა და მას მრავალი მნიშვნელობა აქვს, რაც კულტურის ფენომენის სირთულითა და მრავალფეროვნებითაა განპირობებული.

ცნების უნივერსალურობა საშუალებას იძლევა განხილულ იქნეს იგი მრავალ ასპექტში:

- საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო.
- სოციალური ინსტიტუტი;
- პიროვნების განვითარების დონის მახასიათებლები;
- საზოგადოების მარეგულირებელი ნორმების სისტემა;
- სოციალური გამოცდილების გადაცემის მექანიზმი;
- თვითდეტერმინაციის მექანიზმი და ა.შ.

კულტურის ზოგადი განმარტებები სხვადასხვა წყაროებშიბევრია,თუმცაზოგირეალურადახლოსაა ამ ცნების არსთან, ზოგი - შორს. მიუხედავად კულტურის ცნების 300-მდე განსაზღვრისა, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი ცნების ერთ განაზღვრაზე ვერ შეჯერდა.

ამ ცნების ამოხსნით არ დავკავდებით, თუმცა ვთვლით, რომ დასაწყისში გამოვთქვა ჩემი მოსაზრება ამ ცნების შესახებ. ვფიქრობ, ,,კულტურაა - მოიქცე კანონის, ზოგადად საზოგადოების მიერ დამკვიდრებული წესების, ტრადიციების, ქცევის, რელიგიის ქადაგების და საერთოდ ამ ყოველივეს თანახმად“.

გერმანელი ნაცისტი, დრამატურგი და პოეტი ჰანს იოტი ამბობს; ,,როდესაც სიტყვა ,,კულტურა“ მესმის, ხელი იარაღისკენ მიმიდისო“. რას გულისხმობს ეს? იყო კულტურული, ნიშნავს შეიზღუდო თავი სხვადასხვა სიტუაციებში. ყველაზე ფართო მნიშვნელობით, კულტურა ეს არის ის, რის გამოც შენ უცხოდ იქცევი, როგორც კი შენს სახლს დატოვებ. ნაცნობებთან, რომლებთანაც საერთო კულტურა გვაქვს, არ გვიწევს ფიქრი საკუთარ აზრსა თუ ქცევაზე, რადგან ჩვენ თითქმის ერთნაირად ვხედავთ სამყაროს. მაგრამ თუ სხვა კულტურის მატარებელ ხალხში მოვხვდებით, უსუსურობისა და დეზორიენტულობის გრძნობა გვეუფლება.

ფართო აზრით, კულტურის ცნება ხაზს უსვამს ადამიანის განსხვავებას სხვა ბიოლოგიური არსებებისგან. იყო კულტურული, ეს ნიშნავს განათლებულობის მაღალ დონეს, რამეთუ კულტურულად აღზრდილმა ადამიანმა უნდა იცოდეს სხვადასხვა სფერო, უნდა იცნობდეს კარგად სხვადასხვა მეცნიერებებს და, რაც მთავარია უნდა ,, იცნობდეს საკუთარ თავს“. მეთიუ არნოლდი ამბობდა: ,,კულტურა ნიშნავს იცოდე ყოველივე საუკეთესო, რაც თქმულა და რაც გაფიქრებულა ქვეყანაზე“.

ეს ცნება მე-18 საუკუნიდან გამოიყენება და მიჩნეულია, რომ იგი პირველად გამოიყენა გერმანელმა იურისტმა და ისტორიკოსმა სამუელ ჰუფენდორფმა, რომელიც კულტურას ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას უპირისპირებდა.

კულტურაში იგულისხმება არა ცალკეული შემოქმედებითი აქტი, არამედ შემოქმედება, როგორც ადამიანის უნივერსალური დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომლის მეშვეობით იგი ქმნის ,,ახალ სამყაროს“ და საკუთარ თავს.

მაგრამ, მაინც რა არის კულტურა? ვფიქრობთ, ყველაფერი კულტურაა, სადაც ადამიანის ხელი ურევია. კულტურამ ადამიანს რეალური სახე დააკარგვინა და სულ სხვა ,,ნაბადი“ მოარგო. ადამიანსა და კულტურას შორის ხდება გაუცხოება. ყოველი თითოეული ადამიანი ერთი სამყაროა და

კულტურაც ინდივიდუალურია, რომელიც აგრეთვე ცალკე სამყაროა თითოეული ადამიანისათვის. ამ ცნების არსს და მნიშვნელობას კიდევ უფრო კარგად დავინახავთ, თუ ცხოველთა სამყაროს გადავხედავთ...

მსოფლიოში კულტურა ერთი არ არის, იგი რადიკალურად განსხვავდება ქვეყნების, რელიგიების და სხვათა მიხედვით. რა წარმოიდგინეთ, როცა მსოფლიო კულტურა ვახსენეთ? ალბათ, უპირველესად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, სხვადასხა დროს შექმნილი არქიტეტქტურული ძეგლები, ფერწერის ნიმუშები, ლიტერატურული და მუსიკალური ქმნილებები... მაგრამ მხოლოდ ეს არის კულტურა? რატომ იმოსებიან და იკვებებიან ადამიანები სხვაგვარად? რატომ აქვთ განსხვავებული წარმოდგენა სილამაზეზე, უსამართლობაზე, თავისუფლებაზე? რატომ გლოვობენ, ზეიმობენ, სხვადასხვაგვარად? რატომ ინაწილებენ დროს განსხვავებულად, რომელიც ყველგან ერთნაირად გადის? თუ სიღრმისეულად დავფიქრდებით, აღმოვაჩენთ და მივხვდებით, რომ ეს კულტურით არის განპირობებული.

როგორც ვიცით, ჩვენ კულტურულად მრავალფეროვან მსოფლიოში ვცხოვრობთ და ამის შესწავლა და გაზიარება ადამიანებისთვის ძალზე საინტერესო და ემოციური იქნება.

თითოეული ადამიანის ვალია, რომ იცოდეს კულტურული განსხვავებები და შეიცნოს იგი. ეს დაგვეხმარება კონფლიქტური სიტუაციის თავიდან არიდებაში. ასევე ეს დაგვაზღვევს ქსენოფობიური და რასისტული განწყობებისგან, რაც არაერთხელ გამხდარა მსოფლიოს ყველაზე სისხლის მღვრელი ტრაგიკული მოვლენის საფუძველი.

ადამიანები სხვათა კულტურას ზოგი მარტივად, ზოგი სწრაფად ვეგუებით. მაშინ, როდესაც უცხო გარემოში, უცხო ქვეყანაში მოვხვდებით, კულტურულ შოკს მეტნაკლებად ყველა განიცდის. არსებობს ხუთი დონე, რომელთა გავლაც უწევს ადამიანს უცხო გარემოში.

- ,,თაფლობის“ დონე.
- დარდის, წუხილის დონე.
- რე-ინტეგრაციის დონე.
- ავტონომიის დონე.
- დამოუკიდებლობის დონე.

ადამიანის ცხოვრებაში კულტურა მნიშვნელოვანია და შესაბამისად იგი გარკვეული ფუნქციებითაა დატვირთული. კულტურის ფუნქციების განხილვისას დავსვათ კითხვა: რისთვის კულტურა? რისთვის სჭირდება ადამიანს კულტურა? რა სიკეთე მოაქვს მას?

ქვემოთ მოცემული კულტურული ფუნქციების განხილვისას შევეცდებით გავცე ამ კითხვებს პასუხი. კულტურა ადამიანის მთლიან ცხოვრებას მოიცავს იგი ეხება ყველას და ყველაფერს. აქედან გამომდინარე კულტურის ფუნქციები მრავალფეროვანია.

1. სულიერების ფუნქცია - უდიდესი ძალებია საჭირო, რათა ადამიანმა მრავალი ცდუნებისგან უარი თქვას, რადგან დადგეს ადამიანი ღირსების დონეზე. უფრო მარტივად რომ ავხსნათ, ავკაცობას დიდი სიმტკიცე არ სჭირდება, კარგი კაცობა ძნელი საქმეა. ამ ორ სიბრტყეზე კულტურა, სწორედ რომ უდიდესი ძალაა. კულტურულობა ნიშნავს - იყო სულით ძლიერი. აქედან გამომდინარე, კულტურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ადამიანის სულიერი ძლიერება.

2. მომწესრიგებელი ფუნქცია - ეს არის კულტურის მთავარი ფუნქცია. ის მიმართულია პიროვნებისკენ და მის თვითრეგულირებას ემსახურება.

3. გამაერთიანებელი ფუნქცია.

4. მემკვიდრეობის ფუნქცია.

5. შემეცნების ფუნქცია-ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობა თავისთავად ითვლება მისი კულტუროლოგიური მოღვაწეობის ნაწილად. ,,წიწამურთან, რომ მოკლეს ილია, მაშინ დამთავრდა ეპოქა დიდი“. აქ გალაქტიონს ეპოქის ცნებაში ნაგულისხმევი აქვს არა ერთი საუკუნის შეცვლა მეორით, არამედ ერის ცხოვრების წესის შეცვლა , რაღაც სხვა წესით (კულტურით).

6. ადაპტაციის ფუნქცია.

7. კომუნიკაციისა და დიალოგის ფუნქცია.

8. დაცვითი ფუნქცია.

კულტურული მრავალფეროვნების, როგორც ფასეულობის აღქმა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რადგან საქართველო ყოველთვის იყო და დღესაც არის სხვადასხვა რელიგიის და კულტურის მქონე ადამიანების სამშობლო.

საქართველოს კულტურას საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდა მძიმე, თუმცა მრავალფეროვანი ისტორია, მდიდარი ტრადიციები, ძლიერი ეროვნული თვითშეგნება, ქართულ ენაზე შესრულებული ლიტერატურული მოღვაწეობა.

ჩვენი, ქართული კულტურა რადიკალურად განსხვადება სხვა ქვეყნის კულტურისგან. ვფიქრობ, ეს ერის აზროვნების,ხედვის შედეგითაა განპირობებული. ერს როგორი - კოსმოპოლიტური

თუ არაკოსმოპოლიტური ხედვები აქვს, ისეთივე კულტურას ქმნის. ფაქტი ერთია, რომ ჩვენი კულტურის უნიკალურობა აოცებს სხვა ეროვნების წარმომადგენლებ: ეს იქნება ქართული ისტორია, ცეკვა, სიმღერა, პოეზია, ქართული ლიტერატურული შემოქმედება, სარწმუნოება, სასაუბრო ენა, მამული (ადგილმდებარეობა, რელიეფი), ღვინის დაწურვის კულტურა, ქართული ეროვნული კერძები, ხელთნაკეთი ნივთები, ქარგვა და სხვა.

ჩვენ, ქართველები, და ჩვენი ქვეყანა, როგორც აღვნიშნეთ, გამოვირჩევით ჩვენი ,,სანატრელი“ კულტურით, მაგრამ ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ ეს ყოველივე ღირსეულად შევინარჩუნოთ და შევინახოთ. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ,,სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?!

ამდენად, ჩვენი ღირებული და შეუფასებელი კულტურის, შექმნაც და დაცვაც ყველა ჩვენგანის ვალია!

პეტრე მელიქიშვილი



რუბრიკა მიჰყავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრს, ომარ შუდრას

„როცა ნაკლზე, შეცდომებზე არ წერთ, საკითხავადაც ისე საინტერესო არ არის. აი, ნახეთ, როგორ წერენ ფრანგები თავიანთ დიდ მწერლებზე, მსახიობებზე... ადამიანური სისუსტე უფრო საინტერესოა მკითხველთათვის, ვიდრე ქება.“

ეროსი მანჯგალაძე

იანვრის თვეში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსების 100 წლისთავს აღნიშნავს. საიუბილეო თარიღს ჟურნალის რედაქცია უძღვნის სტატიას მისი პირველი რექტორის შესახებ.

1919 წლის ოქტომბერი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპროფესო¬როში ჩვენებური ხმაურიანი კამათის შემდეგ, ხანშიშესული, 69 წლის კაცი გულმოსული შინ წავიდა. უცოლშვილო პროფესორი, ე.წ. „ერევნის“ (ახლანდელ თავისუფლების) მოედანთან ცხოვრობდა. რუსეთის ლაბორატორიებში მეცნიერული მუშაობის შედეგად ისეთი ხასიათი ჩამოუყალიბდა, რომ სამხრეთულ ხმაურიან ურთიერთობებს ვერ იტანდა, იოლად მოსდიოდა გული. თავიდან ქართულად საუბარიც უჭირდა...

ივანე ჯავახიშვილი ამ დროს სიბრძნისმეტყველების (ე.ი. საბუნებისმეტყველო) ფაკულტეტის დეკანი იყო. მაგრამ ფაქტობრივად, 43 წლის ასაკში, უნივერსიტეტის პრორექტორის მოვალეობას ასრულებდა და მის „შიდა საქმეებს“ მართავდა. მან ექვთიმე თაყაიშვილი პროფესორს შინ მიუგზავნა, რომელიც ისე გულამოსკვნილი ტიროდა, რომ ექვთიმეს ჭიქა წყლის მიწოდება მოუწია...

ეს იყო თსუ რექტორი პეტრე მელიქიშვილი, რომელმაც ამ ინციდენტის შემდეგ რექტორად დარჩენაზე უარი განაცხადა და მხოლოდ პროფესორად მუშაობაზე დათანხმდა.

ამის შემდეგ მან რამდენიმე წელი იმუშავა, ბოლოს, წიგნის ფურცლების გასაჭრელი დანით თითი გაიჭრა, ჭრილობა გაურთულდა და 77 წლის ასაკში გარდაიცვალა.

პეტრე გრიგოლის-ძე მელიქოვი (მელიქიშვილი) დაიბადა 1850 წლის 29 ივნისს ტფილისში. მისი მშობლები ახალციხიდან იყვნენ დედაქალაქში გადმოსული. პეტრე განათლებულ ოჯახში იზრდებოდა – მამის ღვაწლი დიდი იყო ქართული სტამბის დაარსების საქმეში.

პეტრე მელიქიშვილმა ტფილისის პირველი გიმნაზია 1868 წელს დაამთავრა, ხოლო 1872 წელს

– ნოვოროსიის (ქ. ოდესა) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო სპეციალობა (ექსტერნად, ორი წლით ადრე).

საზღვარგარეთ მუშაობის შემდეგ, 1876 წელს მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტის ქიმიის ლაბორატორიაში. 1881 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო ოთხი წლის შემდეგ სადოქტორო დისერტაცია. აქ ის პროფესორის მოვალეობას 1917 წლამდე ასრულებდა.

პ. მელიქიშვილის კვლევების ძირითადი მიმართულება იყო ორგანული ქიმია და აგროქიმია. კერძოდ, ორგანული მჟავები. მან პირველმა მიიღო გლიციდმჟავა, დაადგინა მისი ფორმულა, სწავლობდა სხვადასხვა მეტეორიტის შემადგენლობას, ბუნებრივი სოდის წარმოშობის პირობებს, ანალიზური ქიმიის ახალ მეთოდებს.

პ. მელიქიშვილი (დიმიტრი მენდელეევთან ერთად) ითვლება არაორგანული ზეჟანგური შენაერთების ქიმიის ფუძემდებლად.

ნოვოროსიის უნივერსიტეტში ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ პროგრესული მეცნიერები: ფიზიოლოგი სეჩენოვი, ბიოლოგი მეჩნიკოვი, სოკოლოვი, ვერიგო და სხვ. მელიქიშვილი (ისევე როგორც მომავალი პროფესორი, ვასილ პეტრიაშვილი), ნ. სოკოლოვის და ა. ვერიგოს მოწაფე იყო. ახლადგახსნილ უნივერსიტეტში ახალგაზრდებმა ძალიან დიდი როლი შეასრულეს, როგორც საქმისადმი ერთგულმა მეცნიერებმა, პედაგოგებმა და ხელმძღვანელებმა.

პ. მელიქიშვილის ერთ-ერთი მოწაფე კი იყო ცნობილი ქიმიკოსი, აკადემიკოსი ნ. ზელინსკი (აირწინაღის გამომგონებელი).

1899 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ პ. მელიქიშვილს (თანაავტორთან ერთად), ლომონოსოვის პრემია მიანიჭა.

1918 წლის 26 იანვარს ტფილისში, წყნეთის ქუჩის N 41-ში, ქართული გიმნაზიის შენობის სამ ოთახში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა. ივ ჯავახიშვილი თავიდანვე არ დაეთნხმა ახლადდაარსებული უნივერსიტეტის რექტორობას, რადგან ქართული უნივერსიტეტის ნაცვლად, გარკვეულ ძალებს ამიერკავკასიის (რუსულენოვანი) უნივერსიტეტის გახსნა სურდათ. რუსეთში და უცხოეთში სახელმოხვეჭილი მეცნიერის, პეტრე მელიქიშვილის ავტორიტეტის გარეშე ეს დიდი საქმე ჩაკვდებოდა.

1918 წლიდან პ. მელიქიშვილი თსუ რექტორი (ხელფასის გარეშე) და ორგანული ქიმიის კათედრის გამგეა. მან შექმნა ქიმიის რამდენიმე ლაბორატორია, ორი კათედრა, ქართული ქიმიური ტერმინოლოგია. 1920 წელს გამოვიდა მისი წიგნი (ღვინის ქიმიურ შემადგენლობაზე). 1921 წლიდან ის აგროფაკულტეტის დეკანია, წერს შრომებს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალური გამოყენების შესახებ.

1923 წელს მელიქიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის იუბილე ქართულმა საზოგადოებამ დიდი ზეიმით აღნიშნა. 1927 წლის იანვარში კი მან სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობა მიიღო.

პ.მელიქიშვილი1927წლისმარტშიგარდაიცვალა. ის უნივერსიტეტის ბაღში დაკრძალეს. ბიუსტის ავტორი ცნობილი ი. ნიკოლაძეა. მისი სახელი მიენიჭა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტს, დაარსდა პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (ქიმიის და ფიზიკის დარგში).

მისი მონოგრაფია კი ათიოდე წლის შემდეგ დაიბეჭდა.

ომარ შუდრა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი 1980-1995 წლებში.

შალვა ნუცუბიძე – რუსთაველის მკვლევრის ამპლუაში (რუსთველოლოგი)

რუბრიკა მიჰყავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს,
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრს,
ომარ შუდრას

თამთა კაპანაძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიში
ტელ.: 598 43 71 25
ელ. ფოსტა: Tamtakapanadze72@gmail.com

„მხოლოდ დიდი პიროვნებანი ადგამენ ერს უკვდავების გვირგვინს“, წერს კონსტანტინე გამსახურდია – სწორედ დიდ პიროვნებას წარმოადგენდა ფილოსოფოსი და პოეტი, აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე, რომელსაც უყვარდა საქართველო ისე, როგორც მეცნიერება და მეცნიერება ისე, როგორც საქართველო.

შალვა ნუცუბიძემ ღრმა კვალი დატოვა ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის საქმეში. ფილოსოფია, ლოგიკა, ლიტერატურის ისტორია, რუსთველოლოგია, ესთეტიკა, ხელოვნების ისტორია, პედაგოგიკა – ეს, ის არასრული ჩამონათვალია სფეროებისა, რომლებიც ნუცუბიძემ ახალი კვლევებით გაამდიდრა.

შალვაზე, როგორც ორატორზე, ლეგენდებიც შეიქმნა, მისი ოქროპირობა აოცებდა მრავალრიცხოვან მსმენელს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ფილოსოფოსის მოღვაწეობის მდიდარი პერიოდებიდან მინდა გამოვყო 30-იანი წლები, როდესაც იგი უშუალოდ ემსახურება ქართული ლიტერატურს განვითარების საკითხებს, ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას და განსაკუთრებითაა დაინტერესებული რუსთაველის კვლევით, რუსთველოლოგიით.

შალვა ნუცუბიძე დაიბადა 1888 წელს, წყალტუბოს რაიონის სოფელ ფაცხაყანაში. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დროს წერდა ლექსებს, დააარსა ჟურნალი „განთიადი“. 1906 წელს სწავლობდა პეტერბურგში ისტო-რია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1908 წლებში კითხულობდა ლექციებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, 1910 წელს გიმნაზიის დასრულების შემდეგ მუშაობდა ყუბანის ოლქში. 1913 წელს მოსკოვის ერთ-ერთ სოლიდურ გაზეთში გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“. 1918 წელს, თბილისის უნივერსიტეტის გახსნის საქმეში დიდი წვლილი გასწია და მანვე წარადგინა „პეტრიწის სახელობის ფილოსოფიური საზოგადოება“. იგი, ასევე იყო, უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორი, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე.

„30-იანი წლებიდან მოყოლებული შალვას შემოქმედების უპირველეს ადგილს, ქართული კულტურის პრობლემები იკავებს, კერძოდ, გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რასაც ხელი შეუწყო პოემის 750 წლის იუბი-ლემ, რომელიც 1937 წელს გაიმართა“.

1953 წელს აკადემიის საერთო კრებამ შ. ნუცუბიძეს ჩამოართვა აკადემიის წევრის წოდება და გაათავისუფლეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. 1960 წელს კი სრულად აღუდგინეს მეცნიერის სტატუსი.

მეცნიერის სტატუსის აღდგენის შემდეგ შალვა ნუცუბიძეს ნიკო მუსხელიშვილისთვის, უთქვამს: „-ნიკო, შენი მადლიერი ვარ, ყველა იმათიც, ვინც სიმართლე დაიცვა. მზად ვარ შევასრულო ყველა დავალება, რაც საქართველოს მეცნიერების წინსვლას შეუწყობს ხელს, რაც ქართველი

ხალხის უკვდავებას რასმე კიდევ შემატებს. შენ იცი, მე მშიშარა კაცი არასოდეს ვყოფილვარ, რაც დავიბადე, სულ მძაფრ ბრძოლაში ვარ, ყოველთვის გამიტანია ლელო, ახლაც ის ძველი შალვა ვარ".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შალვა ნუცუბიძეს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ლიტერატურულ საქმიანობაში, მეტწილად რუსთველოლოგიაში, მაგრამ ამასთანავე დიდი ღვაწლი აქვს ჩახრუხაძის „თამარიანისა" და ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის" სრულად თარგმნის საქმეში.

განსაკუთრებულია ნუცუბიძის ღვაწლი ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და ცნობილი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერის იდენტობის კვლევაში. ეს ჰიპოთეზა შალვამ წამოაყენა 1942 წელს, მისგან დამოუკიდებლად ამავე დასკვნამდე მივიდა ბელგიელი მეცნიერი და ბიზანტიოლოგი ერნესტ ჰომინგმანი 1952 წელს, რის შედეგადაც აღნიშნულ თეორიას ნუცუბიძე – „ჰონიგმანის თეორიას" უწოდებს.

ნუცუბიძემ ასევე დიდი წვლილი შეიტანა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული, ძველი საგანმანათლებლო კერებისა და მათში მოღვაწე ქართველი განმანათლებლების კვლევის საქმეში, რითაც მნიშვნელოვნად განისაზღვრა ქართული კულტურის საუკუნოვანი მნიშვნელობა და წინაპარ მოღვაწეთა ნაკვალევზე დაშენდა ახალი საგანმანათლებლო, სასულიერო თუ საერო მწერლობა, რამაც ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნა თუ რა იმემკვიდრა მის შემდგომ საუკუნეების მწერლობამ, კერძოდ ახალმა ქართულმა ლიტერატურამ ძველისგან, რას დაეყრდნო იგი და რა სიახლე შემოიტანა.

შალვა ნუცუბიძემ, როგორც რუსთველოლოგმა, ახალი სიტყვა თქვა ქართულ ლიტერატურაში. მან სამეცნიერო სახე მისცა შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის" კვლევას, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით წარმართა. მართალია, მას შემდეგ, რაც პოემამ მზის სინათლე იხილა, ბევრი მკვლევარი დაინტერესდა „ვეფხისტყაოსნის" და მისი ავტორის ყველა ასპექტში განხილვით, იქნება ეს ლიტერატურული, ისტორიული თუ კულტურული. მაგრამ შალვა ნუცუბიძემ ახალი კვლევა აწარმოა თვით შოთა რუსთაველის, როგორც პოემის ავტორის ვინაობის დასამტკიცებლად, რომელსაც წინ უძღვოდა ექსპედიცია პალესტინაში, ჯვრის მონასტრის ფრესკაზე, სადაც გამოსახულია შოთა რუსთაველი. კვლევამ ცხადად აჩვენა, სხვა მრავალ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ პოემის ავტორი ნამდვილად შოთა რუსთაველი იყო.

„ვეფხისტყაოსნის" განხილვისას შალვა ნუცუბიძე წარმოგვიდგება ლიტერატორის ამპლუაში, სადაც განიხილავს ავტორის ჰუმანიტარულ მსოფლმხედველობას, ახლებურად გადაწყვიტა პოემის ეროვნულ-ფილოსოფიური წყაროების შესწავლის საკითხი. წერს პოემის ორიგინალობის შესახებ, სადაც სტროფების მოშველიებითა და უკვე ნაწარმოები კვლევების საფუძველზე ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსანი", შოთა რუსთაველის ორიგინალური ნაწარ-მოებია. მოგეხსენებათ ქართულ კრიტიკაში ცალსახად არსებობდა მოსაზრება, რომ თითქოს შოთამ ქართულად თარგმნა იგი და თავად არ დაუწერია.

განსაზღვრა რუსთაველის ადგილი რენესანსში. ნუცუბიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანი" მოწინავე აღმოსავლეთის ქვეყნების საერთო კულტურული ცხოვრების პოეტურ გამოსახვას და ქართული რენესანსის მწვერვალს წარმოადგენს. აკადემიკოსის დასაბუთებით „ვეფხისტყაოსნის" ფილოსოფიური წყარო ქართული ნეოპლატონიზმია, რომლის ძირითადი იდეა – სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება – პოემაში მხატვრულად არის განსახიერებული.

განსაკუთრებულად განიხილავს ქართული რენესანსული პოეზიის საკითხს „ვეფხის-ტყაოსანში", სადაც აღნიშნავს, რომ: „რუსთაველის შემოქმედებითი ამოცანა ფილოსოფიური პოეზიაა, პოეტიკაში, რომელიც ავტორმა პოემას წაუმძღვარა, ადგენს სიბრძნის, ე.ი. ფილოსოფიისა და პოეზიის კავშირს.

პოეზიისა და სიბრძნის ურთიერთ მიმართების ფორმულის მოცემით, შოთა რუსთაველი პოეზიის შინაგან არეებსაც გვიხსნის.

შალვა თანმიმდევრულად ხსნის და აზუსტებს პოემის ყველა სტროფს, გამოჰყოფს ყველა მახასითებელს ქართული რენესასული პოეზიის ჭრილში. ყურადღებას ამახვილებს პოემის მხატვრულ სახეზე, აფორიზმებსა თუ ტროპულ სახეებზე. განსაკუთრებით გამოჰყოფს პოეტურ სახეებს და ამბობს, რომ: „პოეტური სახეების შექმნისას რუსთაველი შორსაა საეკლესიო რელიგიული სამოსელისგან. რადგანაც იმ განათლებულ კაცს აუცილებლად მოეთხოვებოდა საღმრთო წერილის ცოდნაც, ამიტომაც რუსთაველთან იშვითად როდი შევხვდებით საღმრთო წერილიდან აღებულ სახეებს და ცნებებს, მაგრამ მისი პოეზიის შემოქმედებითი ხერხემალი მთლიანად საერო მასალისგანაა აღებული და საერო განწყობილებითაა ნასაზრდოები." – ნუცუბიძე ასევე აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში" წარმოდგენილი რელიგიული სახეები, ჰაგიოგრაფიულ დატვირთვას არ იძენს,

პოემა მეტად საერო ხასიათისაა.

შალვა ნუცუბიძე, რუსთველოლოგიაში რა თქმა უნდა მხოლოდ ჩვენენს მიერ წარმოდგენილი მცირე საკითხებით არ შემოიფარგლება, მას საფუძვლიანად აქვს შესწავლილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", ამიტომაც წარმოგვიდგება იგი ლიტერატურეს მკვლევრის ამპლუაში, კერძოდ რუსთველოლოგიის დარგში.

მიუხედავად იმისა, რომ შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობის მთავარ სფეროს ფილოსოფია წარმოადგენდა, მან თავისი ნიჭითა და ფართო ეროდუციით მრავალ დარგში გაითქვა სახელი.

დროთა განმავლობაში ლიტერატურა ვითარდება, ახალი კვლევები და საკითხები იჩენს თავს, ამ მხრივ არც შოთა რუსძთაველის „ვეფხისტყაოსანი" კარგავს ინტერესს, მაგრამ შალვა ნუცუბიძის გაწეულ ღვაწლს რუსთველოლოგიაში ვერავინ უარყოფს, მისი კვლევები ყოველთვის იქნება საფუძველი ყოველი ახალი კრიტიკული ნააზრევისა.

შალვა ნუცუბიძე გარდაიცვალა 1969 წლის 6 იანვარს, დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზო-პანთეონში.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ როზეტა ასათიანის სახელმძღვანელოზე „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა“

(თბილისი,„სიახლე“, 2017, 456 გვ.)

პროფესორ რ. ასთიანის მიერ წარმოდგენილი ინოვაციური მნიშვნელობის შრომა - სახელმძღვანელო „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა“ შედგება 10 თავისაგან და უკავშირდება ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში საზოგადოებრივი სექტორის როლის გააზრებისა და განვითარების კანონზომიერების საკითხებს.

ქედს ვიხრი ქალბატონი როზეტას მართლა ფასდაუდებელი ღვაწლის წინაშე, რომელიც მან, აღნიშნული შრომით, ქართული და ზოგადად მეცნიერების მისამართით გაწია. ამ ღვაწლს მართლა გამოუთქმელად უზრდის მასშტაბებს მისი დროებითი მძიმე ჯანმრთელობა, რომლის მიუხედავად, მან სასწაული თავდადებით მოახერხა ურთულესი საკითხების საუკეთესოდ განხილვა და განზოგადება, ამასთანავე, წარმოადგინა მისი ერთ-ერთი საუკეთესო შრომა და ნამდვილად პიონერული მნიშვნელობის დასკვნები.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რღვევასთან ერთად, სამწუხაროდ, მოდას აყოლილი ეკონომისტების ნაწილმა, სწრაფადვე ჩამოწერა ყველაფერი ის დადებითიც, რაც საზოგადოებრივ სექტორს გააჩნია და რასაც განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამედროვე ეკონომიკურად განვითარებულ მსოფლიოშიც.

როგორც კონკურენციის საკითხების მკვლევარს, განსაკუთრებით დამაინტერესა მე-4 თავის მე-4 პარაგრაფმა - „კეთილდღეობა ყველასათვის, კეთილდღეობა კონკურენციის გზით“, რომელშიც, ძალზე მოხდენილი ქართულითა და სტუდენტებისათვის ადვილად გასაგები ლოგიკით არის წარმოდგენილი კონკურენციის უმნიშვნელოვანესი და ურთულესი საკითხები მონოპოლისტური კონკურენციის მოდელის, შესაბამისად, არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებების შესახებ ბაზრების დანაწილებისა და ფასების დადგენის მიზნით, კოლექტიური ცოდნის თეორიისა და მაღალტექნოლოგიური პარკების - კლასტერების წარმოშობის წინაპირობების შესახებ, შიგა ბაზარზე სათანადო საფუძვლის გაჩენასთან ერთად.

შედეგად, პროფესორი როზეტა ასათიანი სამართლიან გულისტკივილს გამოთქვამს საზოგადოებრივი სექტორის როლის არასრულფასოვანი შეფასებების გამო და, რომ „დღეს, ტექნოლოგიური ბუმი ტრაექტორიას უცვლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, უდიდესი პოზიტივი შეაქვს მასში, რომლის არგათვალისწინება ჩამორჩენილობის დაუძლევლობას ნიშნავს და საეჭვოს ხდის საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას“.

გულწრფელ მადლიერებას გამოვხატავ სოციალური სტრატიფიკაციის, ტრანსაქციული ხარჯებისა და ეკონომიკის მესამე სექტორის - სამოქალაქო საზოგადოების შესახებ სახელმძღვანელოში გამოთმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, რაც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს მართვის ხარჯებისა და სიღარიბის რაციონალური მინიმიზებასა და ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესებს.

იმედს ვიტოვებ, რომ ქალბატონი როზეტა გააგრძელებს ამ უაღრესად აქტუალური პრობლემის სიღრმისეულ დამუშავებას და ეკონომიკურ მეცნიერებას გაამდიდრებს უმაღლესი კომპეტენციის შრომებით.

P.S. პროფესორი როზეტა ასათიანი პირველი ქართველი ქალბატონია, რომელმაც სადოქტორო დისერტაცია ეკონომიქსში დაიცვა და ის, წარმოდგენილი შრომით, ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს მადლიან საქართველოში, ქართველი ქალის ფენომენის გამოხატულებად მოგვევლინა ჩვენი ნონას, მაიას, მარიამის, ნანას, მზექალასა და სხვა სახელოვანი ქალბატონების დარად. დარწმუნებული ვარ, ქალბატონი როზეტას მსოფლიო აღიარება თეორიაში, პრაქტიკაშიც სათანადოდ გამოვლინდება.

რევაზ ლორთქიფანიძე
ე.მ.დ., პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

საინტერესო და მნიშვნელოვანი მოხსენება

2017 წლის 15 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გაფართოებულ სხდომაზე მოვისმინეთ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის მოხსენება თემაზე: „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა: წანამძღვრები, მიზნები, ამოცანები“. მოხსენება გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული დონით, გამართული ქართულით, ლოგიკური თანმიმდევრობითა და გადმოცემის კულტურით.

ქლბატონ როზეტას შემოქმედებას ვიცნობ ძალიან კარგად, ვინაიდან იგი ჩვენი ჟურნალის ხშირი ავტორია. ის მუდამ გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობით, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა აღნიშნული მოხსენების მოსმენისას.

ქალბატონი როზეტა მისთვის ჩვეული გულმოდგინებით მთლიანად იხარჯება ამა თუ იმ ნაშრომზე მუშაობისას. ეს ჩანს ყველგან და ყველაფერში, მის სტატიებსა თუ მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებსა თუ ლექსიკონებში. ის არ წერს ვალის მოსახდელად, რომ ესა თუ ის ნაშრომი რომელიმე კონკურსში მონაწილეობისათვის გამოიყენოს. მას, როგორ მეცნიერს, თავის ვალდებულებად გაუხდია თავი მიუძღვნას ეკონომიკურ მეცნიერებას. პარალელისთვის, მახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად, თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგივა ხელიდან.“ დიახაც რომ ეს ასეა, და ეს ასეა მეცნიერებაშიც. ეს სიტყვები ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეეფერება ქალბატონ როზეტას. მის ყოველ ნაშრომში, ყოველ სტატიაში ვხედავთ არა მხოლოდ მეცნიერულ კვლევებს, ანალიზსა და დასკვნებს, არამედ უდიდეს სიყვარულს მეცნიერებისადმი, სამშობლოსადმი. ამიტომ არ გამკვირვებია, რომ სახელმძღვანელო „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა“, მიძღვნილია სამშობლოსადმი.

შეუძლებელია არ შენიშნო მისი დამოკიდებულება დედა ენისადმი. რაოდენ დახვეწილი ქართულით, ზუსტი ტერმინოლოგიითა და უზადო გრამატიკით გადმოსცემს თითოეულ წინადადებას. ქალბატონი როზეტას ყოველი ნაშრომი საინტერესოსთან ერთად სასიამოვნოცაა წასაკითხად. მე მით უმეტეს, როგორც ჟურნალის რედაქტორმა, უკვე 11 წელია, არ შემიძლია ამას არ მივაქციო ყურადღება და ეს არა მარტო ჩემი, არამედ საზოგადოების აზრიცაა.

ქალბატონი როზეტა ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია ჟურნალის დაარსების პირველი დღეებიდანვე და აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალთან, იყო ჟურნალის ნომრის რედაქტორი. ის ყველა მითითებას პუნქტუალურად ასრულებდა, რაც იშვიათია დღევანდელ საზოგადოებაში. მიგვაჩნია, რომ მისი შრომები ძალიან საჭიროა დღევანდელი ჩვენი საზოგადოებისათვის, ხოლო თავად ქალბატონი როზეტა მეტ ყურადღებას იმსახურებს საზოგადოების მხრიდან.

კვლავაც წარმატებულ და ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ვუსურვებთ ქალბატონ როზეტას მისი საყვარელი სამშობლოს - საქართველოს საკეთილდღეოდ.

ლოიდ ქარჩავა

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი.

ივანე ჯავახიშვილის ანდერძი: „ილიალოგია“ - ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიაა

სრულდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) დაარსების 100 წლისთავი და უპრიანია გავიხსენოთ ზოგიერთი რამ, რაც ამ თარიღთან არის დაკავშირებული. საერთოდ, XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიას უამრავი „თეთრი ლაქა“ ახლავს თან და ჩვენი ვალია „მართლად თქმის“ პრინციპით შევავსოთ ისინი.

ესეც ნაკლებად ცნობილი და შესწავლილი ფაქტია: ივანე ჯავახიშვილმა მეტად რთული და ტანჯვა-წამებით მოცული ცხოვრების გზა გამოიარა, გზა, რომელმაც დიდ სულიერ ტანჯვასთან ერთად, მისი ჯანმრთელობაც შეიწირა. აკი წერდა თავის პეტერბურგელ მეგობარს - ჩემი თავი ჯანდაბას, ალბათ, გადავყვები ამდენ უსამართლობას, სადარდებელი ისა მაქვს, შიმშილსა და უბედურებაში ვაცხოვრებ ოჯახსაც. . .

მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა „ბურჟუაზიული იდეოლოგიის მსახური შავი პროფესორი“ ე. წ. „პროლეტკულტურელების“ მხრიდან დევნისა და სიკვდილის მოლოდინის დამთრგუნველი სტრესებისაგან, მძაფრსიუჟეტიან ფილმებში რომ ვხედავთ. . . ეს ცალკე თემაა, აქ კი გვინდა ვთქვათ:

მისი ცხოვრების ბოლოს ამ სასწაულებრივმა ფერიცვალებამ საშუალება მისცა შეექმნა საპროგრამო მნიშვნელობის ორი ნაშრომი - 1938 წელს გამოცემული „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, ხოლო 1940 წელს - „ახალი ქართლის ცხოვრება“, რომლის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„ცნობილია, რომ „ძველი ქართლის ცხოვრება“გიორგი ბრწყინვალის მეფობით თავდებოდა და ამის აქეთი ხანის საქართველოს პოლიტიკური თავგადასავლის აღწერილობა არ მოიპოვებოდა. ეს გარემოება მაშინდელ თაობებს საშუალებას არ აძლევდა თავიანთი სამშობლოს წარსულის ნამდვილი ვითარება სცოდნოდათ.

. . . ცხადია, თუ რამდენად საზიანო უნდა ყოფილიყო ეს ქართველთა ეროვნული თვითშემეცნებისა და პოლიტიკური შეგნების გაძლიერება-განვითარებისთვის. სამშობლოს წარსულის ცოდნა ხომ, უაღრესად საჭირო იყო!

ამ დიდი ნაკლის შევსების თაოსნობა ვახტანგ VI იკისრა. საქართველოს XIV-XVIII საუკუნეების ისტორიის აღდგენა სწორედ მან შეიგნო. . . შექმნა „სწავლულ კაცთა დასი“. . .

ბატონი ივანე შეფარვით და ეზოპეს ენით აქ ახლანდელ თაობებს ანდერძად გზავნილს გვიგზავნის: ახალ საქართველოს და ახალ სახელმწიფოებრიობას მხოლოდ ეროვნულ მემკვიდრეობაზე „აღმოვშობავთ მკვიდრად“. მისეული გააზრების ეს „უახლესი ქართლის ცხოვრების“ ისტორიული მისიაა.

მას კი იგი XIX საუკუნით იწყებს: ეს საუკუნე თავისებური წყალგამყოფია საქართველოს ისტორიაში - სამხრეთული იმპერიები ჩრდილოეთულმა შეცვალა, ერთიანად რომ მოსპო ქართული სახელმწიფოებრიობა ამერ-იმერით. პირველმა აჯანყებებმა აჩვენა, რომ „ჰკა მაგას“ პოლიტიკა აქ არ გამოდგებოდა. . . გამოჩნდა კაცი, რომელმაც შესძლო ახალი გზის მოძებნა, - „რუსეთს ომი უომრად უნდა მოვუგოთ“ - ასეთი იყო ამ გზის არსი. არაერთი წერილი მიუძღვნა ამას, მათგან ჩაეყარა საფუძველი „საერთო ნიადაგის“ თეორიასაც.

მაგრამ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გამოჩნდა ანტიეროვნული ძალა, რომელიც დაუპირისპირდა ილიას ამ თეორიას „კლასობრივი ბრძოლის“ თეორიით. მესამედასელებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას შეეწირა კიდეც, გენიალურად რომ გადმოსცა გალაკტიონმა ამ ორი პოეტური სტრიქონით - „წიწამურთან რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის პათოსიც ისაა, რომ აღვადგინოთ ილიას ეს „დიდი ეპოქა“, ესეც მისი ანდერძია. . .

ნაშრომს ბატონი ივანე პესიმისტური ტონით ამთავრებს: „ჩვენს ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი - კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“ და საუბედუროდ ილია ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია. . ., მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არაა?!. . .“

80 წელი გადის ამ მისი რიტორიკული კითხვიდან და სამწუხაროდ, იგი დღესაც აქტუალურად ჟღერს: ჯერ კიდევ 60-იან წლებში მისმა მოწაფეებმა - შალვა ნუცუბიძემ, შოთა მესხიამ, გიორგი გოზალიშვილმა, იასე ცინცაძემ. . . დააფუძნეს „თსუ ილიალოგთა კლუბი“. მას ახალგაზრდობაც შევუერთდით, მერე და მერე, ჯერ დისიდენტურად, შემდეგ კი, ოფიციალურადაც გამოიცა შესატყვისი შრომებიც - 1998 წელს „ილია და საქართველო“, 2003 წელს თსუ სპეციალური სამეცნიერო კრებულიც - „ქართული სახელმწიფო“, მაგრამ ილიას „დიდი ეპოქის“ აღდგენას საშველი არ დაადგა. . .

ე. წ. „ნაციონალებს“ თსუ სამეცნიერო კრებულთან ერთად, მივმართეთ რიგი პრაქტიკული წინადადებითაც და ცინიზმი და პარადოქსიც თუ გინდათ ესაა, - ამ ფსევდო-ნაციონალებმა ილიას დაბადებიდან ზუსტად 170 წლისთავზე ისეთი სისხლიანი დრამა მოაწყეს, მესამედასაელებსაც კი შეშურდებოდათ. . .

არაერთხელ თქმულა სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ტრიბუნიდან - ილია წარსული კი არა, ჩვენი მომავალია. ჭეშმარიტად რომ ასეა, მაგრამ თუ მართლაც გვინდა, რომ ეს განხორციელდეს, ილიალოგია ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიად უნდა ვაქციოთ: ილიას „საერეთო ნიადაგის“ თეორია, ამ თეორიის ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები გაგება-გათავისება-გათანამედროვებას და საქმედ ქცევას ელიან. მაშინ გახდება ილია ჩვენი მომავალი და მაშინ აღსრულდება ივანე ჯავახიშვილის „დიდი ეპოქის“ აღდგენის ანდერძიც.

უპირველესად კი, ფიქრი და განსჯა სჭირდება ამას. . .

ელბერდ ბატიაშვილი
პროფესორი,

ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელ-ეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებ-ისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.loi.ge
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.
3. The article must have reziume in Georgian, English and Russian languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE61HB0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

Smarty
Print House

შპს "Smarty" გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული ბეჭდვა

ფართოფორმატიანი ბეჭდვა

ბანერი
სტიკერი
ბადე სტიკერი

ოფსეტური ბეჭდვა

- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწებადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი: ჯიბის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

ადგილზე მიტანის სერვისი უფასოდ!!!

მის.: ქ. თბილისი, აგლაძის ქ.83

551 30 33 20

smartyLTD@gmail.com

smarty.ltd

Smarty

www.smarty.ge